საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## მხოლოდ დინამო და ვიტ ჯორჯია

შაბათს საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო » გვერდი 3-6

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 აგვისტო **ორშაბათი** 2010
№ 191 (13 179) ფასი 60 თეთრი



## კალაძე გროსოში იცვლება

» გვერდი 7

# ბულგარეთში მოგებაც ვისწავლეთ!





» გვერდი 2-3

იგორ კოკოშკოვი

## ცხრილში არ ვიხედები, წინ მივდივართ, ნაბიჯ-ნაბიჯ...

» გვერდი 3

## რათა ღამე არ გავტეხოთ...

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან » გვერდი 3





### შვიდი ქართული გასროლა

ლეგიონი

» გვერდი 6



### მესიჯი გაგზავნილია

პრემიერლიგა

» გვერდი 10



### ბარსას 90 წუთი აქვს

სუპერთასი

» გვერდი 7

# ბულგარეთში მოგებაც ვისწავლეთ!

## ქრონოლოგია

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:40 | ვიდენოვი 2ქ (2:0) |
| 09:14 | გრინი 2ქ (2:2) |
| 08:48 | გრინი 2ქ (2:4) |
| 08:40 | ვიდენოვი 3ქ (5:4) |
| 08:38 | ფაჩულია 2ქ (5:6) |
| 08:38 | ფაჩულია: 1ქ (5:7) |
| 08:30 | დ. ივანოვი 2ქ (7:7) |
| 07:08 | სანიკიძე 2ქ (7:9) |
| 06:47 | შენგელია 2ქ (7:11) |
| 06:39 | შენგელია 2/1ქ (7:12) |
| 06:05 | კოსტოვი 2ქ (9:12) |
| 05:48 | გრინი 2ქ (9:14) |
| 05:01 | კალუეი 3ქ (12:14) |
| 04:19 | ცინცაძე 2/1 (12:15) |
| 04:02 | კოსტოვი 2ქ (14:15) |
| 03:19 | კალუეი 3ქ (17:15) |
| 02:53 | კალუეი 2/1 (18:15) |
| 02:39 | მარკოიშვილი 3ქ (18:18) |
| 02:20 | ა. გეორგიევი 2ქ (20:18) |
| 01:58 | ფაჩულია 2ქ (20:20) |
| 01:28 | ცქიტიშვილი 2/1ქ (20:21) |
| 00:52 | მარკოიშვილი 2ქ (20:23) |
| 00:31 | ვიდენოვი 2ქ (22:23) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:55 | ცქიტიშვილი 2ქ (22:25) |
| 08:51 | ზ. გეორგიევი 2/2ქ (24:25) |
| 08:39 | შერმადინი 2ქ (24:27) |
| 08:11 | კ. ივანოვი 2ქ (26:27) |
| 07:49 | მარკოიშვილი 2ქ (26:29) |
| 07:02 | ვიდენოვი 3ქ (29:29) |
| 06:39 | გამყრელიძე 2/2 (29:31) |
| 06:08 | დ. ივანოვი 2ქ (31:31) |
| 05:53 | მარკოიშვილი 3ქ (31:34) |
| 05:13 | გამყრელიძე 3ქ (31:37) |
| 04:57 | დ. ივანოვი 2/2ქ (33:37) |
| 04:30 | ავრამოვი 3ქ (36:37) |
| 04:07 | ფაჩულია 2/2ქ (36:39) |
| 03:28 | ვიდენოვი 2ქ (38:39) |
| 03:18 | ვიდენოვი 3ქ (41:39) |
| 00:20 | ვიდენოვი 2ქ (43:39) |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:01 | სანიკიძე 3ქ (43:42) |
| 08:38 | სანიკიძე 2/1ქ (43:43) |
| 07:07 | შენგელია 2ქ (43:45) |
| 06:40 | ვიდენოვი 2ქ (45:45) |
| 06:40 | ვიდენოვი 1/1 (46:45) |
| 06:26 | ცინცაძე 3ქ (46:48) |
| 05:20 | ს. გეორგიევი 2ქ (48:48) |
| 04:43 | ს. გეორგიევი 2/2ქ (50:48) |
| 03:37 | მარკოიშვილი 3ქ (50:51) |
| 03:18 | ს. გეორგიევი 2ქ (52:51) |
| 03:00 | დ. ივანოვი 2/1ქ (53:51) |
| 02:49 | მარკოიშვილი 2ქ (53:53) |
| 01:59 | მარკოიშვილი 2ქ (53:55) |
| 01:21 | მარკოიშვილი 2/1ქ (53:56) |
| 00:26 | ცქიტიშვილი 2/2ქ (53:57) |
| 00:10 | დ. ივანოვი 2/1ქ (54:58) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:47 | ცქიტიშვილი 3ქ (54:61) |
| 08:45 | კალუეი 2ქ (56:61) |
| 08:08 | ს. გეორგიევი 2ქ (58:61) |
| 07:38 | კ. ივანოვი 2ქ (60:61) |
| 07:20 | კალუეი 2ქ (62:61) |
| 07:20 | წუთშესვენება (საქართ.) |
| 07:20 | კალუეი 1/1ქ (63:61) |
| 07:12 | ფაჩულია 2ქ (63:63) |
| 07:12 | ფაჩულია 1/1ქ (63:64) |
| 06:35 | ფაჩულია 2ქ (63:66) |
| 05:50 | მარკოიშვილი 3ქ (63:69) |
| 05:23 | სანიკიძე 2ქ (63:71) |
| 04:58 | ვიდენოვი 2ქ (65:71) |
| 04:26 | დ. ივანოვი 2ქ (67:71) |
| 03:52 | დ. ივანოვი 2ქ (69:71) |
| 03:32 | გრინი 3ქ (69:74) |
| 03:09 | ვიდენოვი 2/2ქ (71:74) |
| 02:44 | მარკოიშვილი 2ქ (71:76) |
| 02:30 | ვიდენოვი 2ქ (73:76) |
| 02:23 | გრინი 2/2ქ (73:78) |
| 02:13 | დ. ივანოვი 3ქ (76:78) |
| 00:51 | გრინი 2/1ქ (76:79) |
| 00:42 | ვიდენოვი 2/1ქ (77:79) |
| 00:24 | გრინი 2/2ქ (77:81) |
| 00:08 | ცინცაძე 2ქ (77:83) |
| 00:02 | ვიდენოვი 2ქ (79:83) |

## სატურნირო მდგომარეობა

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 3 | 1 | 304/275 | 7 |
| 2. ბელგია | 4 | 3 | 1 | 299/295 | 7 |
| 3. პოლონეთი | 4 | 2 | 2 | 314/295 | 6 |
| 4. ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 289/286 | 6 |
| 5. პორტუგალია | 4 | 0 | 4 | 249/304 | 4 |

14 აგვისტო. სოფია. უნივერსიადა. 3 000 მაყურებელი

**ბულგარეთი 79:83 საქართველო**

22:23, 21:16, 11:19, 25:25

მსაჯები: მილან მაზიჩი (სერბეთი), პეტროს პაპაპეტრუ (საბერძნეთი), რობერტ პაულიკი (ჩეხეთი)

| ბულგარეთი | წთ | 2-ქულიანი ჩ | ნ | % | 3-ქულიანი ჩ | ნ | % | საჯარიმო ჩ | ნ | % | მოხსნა მ | ს | ჯ | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 *დ. ივანოვი | 23 | 4 | 10 | 40.0 | 1 | 1 | 100.0 | 4 | 7 | 57.1 | 0 | 4 | 4 | 1 | 4 | 0 | 0 | 1 | 15 |
| 5 კ. ივანოვი | 24 | 2 | 7 | 28.6 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 2 | 3 | 5 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 4 |
| 6 ავრამოვი | 10 | 0 | 1 | 0.0 | 1 | 1 | 100.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 |
| 7კოსტოვი | 20 | 2 | 3 | 66.7 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 4 |
| 8 *ვიდენოვი | 30 | 8 | 10 | 80.0 | 3 | 8 | 37.5 | 4 | 5 | 80.0 | 1 | 2 | 3 | 3 | 4 | 2 | 0 | 0 | 29 |
| 9 *კალუეი | 30 | 2 | 5 | 40.0 | 2 | 4 | 50.0 | 2 | 3 | 66.7 | 0 | 4 | 4 | 4 | 3 | 1 | 4 | 1 | 12 |
| 10 *ს. გეორგიევი | 17 | 3 | 7 | 42.9 | 0 | 0 | 0.0 | 2 | 2 | 100.0 | 2 | 1 | 3 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 8 |
| 12 ზ. გეორგიევი | 10 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 1 | 0.0 | 2 | 2 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 |
| 13 *ა. გეორგიევი | 20 | 1 | 1 | 100.0 | 0 | 2 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| 15 ვარბანოვი | 15 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2 | 2 | 4 | | 0 | 1 | 0 | | |
| ჯამი | | 22 | 45 | 48.9 | 7 | 19 | 36.8 | 14 | 20 | 70.0 | 8 | 22 | 30 | 12 | 26 | 9 | 7 | 2 | 79 |

*შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს*

| საქართველო | წთ | 2-ქულიანი ჩ | ნ | % | 3-ქულიანი ჩ | ნ | % | საჯარიმო ჩ | ნ | % | მოხსნა მ | ს | ჯ | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 გამყრელიძე | 14 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 2 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 3 | 0 | 0 | 5 | |
| 7 *ფაჩულია | 33 | 4 | 6 | 66.7 | 0 | 0 | 0.0 | 4/4 | 100.0 | 1 | 7 | 8 | 3 | 3 | 3 | 0 | 2 | 12 | |
| 8 *ცინცაძე | 28 | 1 | 4 | 25.0 | 1 | 3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 2 | 4 | 0 | 0 | 6 | |
| 9 შერმადინი | 7 | 1 | 2 | 50.0 | 0 | 0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | |
| 10ტულუში | 4 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | |
| 11 მარკოიშვილი | 25 | 5 | 5 | 100.0 | 4 | 5 | 80.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 6 | 7 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 23 | |
| 13 *სანიკიძე | 32 | 2 | 5 | 40.0 | 1 | 3 | 33.3 | 1/4 | 25.0 | 2 | 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 1 | 8 | |
| 15 მეტრეველი | 1 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | |
| 21 *გრინი | 31 | 3 | 5 | 60.0 | 1 | 4 | 25.0 | 5/6 | 83.3 | 1 | 0 | 1 | 5 | 2 | 0 | 1 | 0 | 14 | |
| 22 ცქიტიშვილი | 16 | 1 | 3 | 33.3 | 1 | 2 | 50.0 | 3/4 | 75.0 | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 8 | |
| 23 *შენგელია | 11 | 2 | 2 | 100.0 | 0 | 1 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 4 | 0 | 0 | 1 | 5 | |
| გუნდი | | | | | | | | | | | 0 | 4 | 4 | | 0 | 1 | 0 | | |
| ჯამი | | 19 | 33 | 57.6 | 9 | 20 | 45.0 | 18 | 26 | 69.2 | 6 | 32 | 38 | 18 | 24 | 17 | 2 | 5 | 83 |

*შენიშვნა: წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა*




შეტევაზეა ქართველთა სნაიპერი მანუჩარ მარკოიშვილი



ზაზა ფაჩულია ბულგარელთა გარემოცვაში

## ემოცია

ვიდრე მიმოხილვას მიადგებოდით, საფინალო ანგარიშსაც წაიკითხავდით და ოქმსაც გადაათვალიერებდით. აქ ერთხელაც შეგახსენებთ: საქართველომ ბულგარეთში 83:79 გაიმარჯვა, **მანუჩარ მარკოიშვილმა** 23 ქულა ჩააგდო, **ტორინ გრინმა** გადამწყვეტ მომენტში ექვსიდან ხუთი საჯარიმო გამოიყენა, **ზაზა ფაჩულიამ** ქართველთა ფარი კარგად დაიცვა, **ვიქტორ სანიკიძემ** 8 ქულა, 9 მოხსნა და 6 პასი მოაგროვა, **ნიკა ცქიტიშვილმა, თორნიკე შენგელიამ, გიორგი ცინცაძემ, გიორგი შერმადინმა, ლაშა გამყრელიძემ, კოტე ტულუშმა, ნიკა მეტრეველმა** (შაბათს ოფიციალური დებიუტი ჰქონდა), **ანატოლი ბოისამ**... საქართველოს დიდი სიხარული მოუტანეს.

მათ ქართველობა პოლონეთთან გამარჯვებითაც გაახარეს, თუმცა 2 აგვისტოს დიდი სხვაობით მოიგეს და მეოთხე პერიოდში უკვე ყველა მშვიდად შესცქეროდა ჩვენი გუნდის ლაღ თამაშს. ბულგარეთთან კი ბოლო წამებამდე დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა და მასში ქომაგიც თავიდან ბოლომდე ჩაეფლო. დარბაზში ჩვენი კალათბურთელების თითოეულ ნაბიჯს გულშემატკივრები ემოციებით ხვდებოდნენ. ასე იყო „COFFEE.GE-ში" (სადაც კალათბურთელთა ახლობლები, საკალათბურთო საზოგადოება და მთავრობის წევრები იყვნენ შეკრებილნი) და ყველგან, სადაც შაბათს 19 საათიდან ტელევიზორი „პირველ არხზე" იყო მომართული. სწორედ ასეთ დაძაბულ მატჩში ბოლო წამებზე გამარჯვებას აქვს საოცარი გემო.

საქართველოს ნაკრების თამაშს ისევე არ აკლდა მარილი, როგორც კახურ ხაშლამას - გუნდმა მთელი მატჩი სტაბილურად ჩაატარა და სერიოზული ჩავარდნა ერთხელაც არ მოსვლია; ფარქვეშიდან ჩაგდებულ ორქულიანებს ქართველები ხშირად აყოლებდნენ რაჭული ლორივით მსუყე სამქულიანებს; მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შეტევაში თამაში ჭირდა, დაცვით მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ - საქართველოს ნაკრების დაცვა ისევე მწარე აღმოჩნდა ბულგარელთათვის, როგორც მეგრული წიწაკა...

მასპინძელთა ნაკრებს კი ბულგარული წიწაკასავით აკლდა სიმწარეცა და ფერიც: **ფილიპ ვიდენოვს** თუ არ ჩავთვლით, ყველამ უფერულად ითამაშა. თუმცა ბულგარელებს კარგი ახალგაზრდები ჰყავთ და 2-3 წელიწადში დამწიფდებიან.

...როგორც ხედავთ, მატჩის შემდეგ ემოციები ჯერ არც ამ სტატიის ავტორს განელებია. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბულგარეთში გამარჯვება ერთი ბარიერი იყო - საქართველოს ნაკრებს კი ფინიშამდე მისაღწევად (ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად) კიდევ ოთხი ბარიერი აქვს დასაძლევი.

## თავისუფლად

შეხვედრის წინ ჩვენთვის სახეირო ფსიქოლოგიური ფონი შეიქმნა: ბულგარეთსა და საქართველოს 2-2 მოგება ჰქონდათ. მასპინძლებს წაგება ორ საუკეთესოში მოხვედრის საქმეს ძალიან გაურთულებდა, რადგან ბულგარელებს მომდევნო მატჩები პოლონეთსა და საქართველოში აქვთ სათამაშო. ჩვენს ნაკრებს მარცხის შემთხვევაშიც ევრობასკეტზე მოხვედრის კარგი შანსი დარჩებოდა. მოგება კი **იგორ კოკოშკოვის** გუნდს ჯგუფის ფავორიტად აქცევდა.

ალბათ ამიტომ, ქართველები ფსიქოლოგიურ წნეხს არ გრძნობდნენ და მატჩი თავიდან ბოლომდე თამამად ჩაატარეს. თუ დააკვირდით, რთულ სიტუაციებშიც კი **ზაზა ფაჩულიას** პირიდან ღიმილი არ მოშორებია.

შეხვედრის დასაწყისში ჩვენი კალათბურთელები დარწმუნდნენ, რომ ბულგარეთის ნაკრები უშეცდომო არ იყო - **ტორინ გრინმა ერლ კალუეის** ორჯერ კარგად აართვა ბურთი, ხოლო შენგელია-სანიკიძე-ფაჩულიას ტრიოს ტყუპი **ივანოვების** ბარიერის დაძლევა არ უჭირდა. პირველი მეოთხედის დასრულებამდე 2:39 წუთით ადრე მანუჩარ მარკოიშვილმა კალუეის ორ სამქულიანს ასევე შორეული ტყორცნით უპასუხა და - 18:18. ამ სამქულიანს მხოლოდ ანგარიშის გამთანაბრებლის მნიშვნელობა არ ჰქონდა - მანუმ მეტოქის კალათისკენ პირველივე გასროლა მიზანში მოარტყა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ შაბათი მისი დღე უნდა ყოფილიყო.

თანაბრად ჩატარებული პირველი პერიოდის შემდეგ გუნდებმა სპურტები გაცვალეს: მეორე ათწუთეულში სასტარტოებისგან საქმე სათადარიგოებმა გადაიბარეს, **ცქიტიშვილის, შერმადინის**, მარკოიშვილის ორქულიანებს **გამყრელიძემ** საჯარიმოები მიაყოლა, ხოლო მატჩის მე-16 წუთზე მარკოიშვილი-გამყრელიძის სამქულიანებმა ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელ **როსენ ბარჩოვსკის** წუთშესვენების აღება აიძულა (37:31).

ერთწუთიანმა დასვენებამ ქართველები მართლაც დააცხრო, ხოლო გამოფხიზლებულმა ფილიპ ვიდენოვმა სწრაფი დრიბლინგებით თანაგუნდელები 43:39 დააწინაურა. ამ ეპიზოდში დაცვაზე მეტად წუნი ქართველთა შეტევაში შეინიშნებოდა. თავად განსაჯეთ: ხუთ წუთში ჩვენმა გუნდმა 2 ქულა ჩააგდო (რაც ძალიან ცოტაა), ხოლო მეტოქისგან 12 მიიღო (რაც კატასტროფული მაჩვენებელი სულაც არ არის).

ბულგარელთა გაქცევას ქართველები სულაც არ აუნერვიულებია. ისინი დიდი შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ უფრო თავისუფლად ათამაშდნენ - სანიკიძემ, ცინცაძემ და მარკოიშვილმა შორეული ტყორცნებით თანაგუნდელებს უპირატესობა დაუბრუნეს. შეტევაში სილაღეს დაცვაში სიმტკიცე ახლდა, ამიტომ ბულგარელებმა მესამე პერიოდში მხოლოდ 11 ქულა ჩააგდეს.

თავისი სამქულიანი ნიკა ცქიტიშვილმა მეოთხე პერიოდის დასაწყისში ჩააგდო - 61:54. თუმცა მასპინძლებმა პოლონეთთან მატჩის სცენარის გამეორება სცადეს - ტემპს უმატეს და სამ წუთში 63:61 დაწინაურდნენ. მათ პოლონეთთან სამქულიანებით შეამცირეს სხვაობა, ქართველებს კი შორეული ტყორცნების უფლება არ მიუციათ.

>> მე-3 გვერდზე

| | | | |
|---|---|---|---|
| **2 აგვისტო:** | | საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| | | პორტუგალია-ბულგარეთი | 59:67 |
| **5 აგვისტო:** | 22:15 | ბელგია-საქართველო | 74:64 |
| | 20:00 | პოლონეთი-პორტუგალია | 86:64 |
| **8 აგვისტო:** | 20:00 | ბულგარეთი-პოლონეთი | 74:70 |
| | 23:30 | პორტუგალია-ბელგია | 69:78 |
| **11 აგვისტო:** | 19:00 | საქართველო-პორტუგალია | 73:57 |
| | 22:00 | ბელგია-ბულგარეთი | 74:69 |
| **14 აგვისტო:** | 19:00 | ბულგარეთი-საქართველო | 79:83 |
| | 20:00 | პოლონეთი-ბელგია (ლოძი) | 93:73 |

| | | |
|---|---|---|
| **17 აგვისტო:** | 22:15 | პოლონეთი-საქართველო (ლოძი) |
| | 20:00 | ბულგარეთი-პორტუგალია (სოფია) |
| **20 აგვისტო:** | 19:00 | საქართველო-ბელგია (თბილისი) |
| | 23:30 | პორტუგალია-პოლონეთი (კოიმბრა) |
| **23 აგვისტო:** | 20:00 | პოლონეთი-ბულგარეთი (კატოვიცე) |
| | 22:00 | ბელგია-პორტუგალია (ანტვერპენი) |
| **26 აგვისტო:** | 23:30 | პორტუგ.-საქართველო (ალბუფეირა) |
| | 20:00 | ბულგარეთი-ბელგია (სოფია) |
| **29 აგვისტო:** | 19:00 | საქართველო-ბულგარეთი (თბილისი) |
| | 22:00 | ბელგია-პოლონეთი (ანტვერპენი) |

კალათბურთი

ევრობასკეტი 2011. შესარჩევი ტურნირი


ვიქტორ სანიკიძე (მარცხნივ) დეიან ივანოვის წინააღმდეგ

# ბულგარეთში მოგებაც ვისწავლეთ!

« მე-2 გვერდიდან

სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი - ბულგარელებმა თავისი კოზირის (შორეული სროლების) გამოყენება ბოლო წუთებამდე ვერ მოახერხეს. ფარქვეშ შესულებს კი სანიკიძე-ფაჩულია-შენგელია-ცქიტიშვილი ხვდებოდნენ და სროლის უფლებას არ აძლევდნენ.

მეოთხე პერიოდში ქართველები მოედნის ყველა წერტილიდან შედეგიანად უტევდნენ. 61:63 ჩამორჩენის შემდეგ ორი მნიშვნელოვანი იერიში ზაზა ფაჩულიამ დააგვირგვინა, ხოლო პერიმეტრიდან მარკოიშვილმა და გრინმა მასპინძლებს ღრმა ჭრილობები მიაყენეს. ტორინის შორეული ტყორცნის შემდეგ ტაბლოზე ანგარიშის გრაფაში 74:69 დაფიქსირდა, ხოლო წამზომზე - 03:32 (მატჩის დასრულებამდე).

დარჩენილ დროში სიტუაცია უფრო დაიძაბა. იგორ კოკოშკოვმა გამთამაშებლობა ამერიკელ ტორინს დაავალა, რაც სწორი ნაბიჯი იყო - გრინი ბურთს ცოცხალი თავით არ თმობდა და გადამწყვეტ მომენტში ალბათ ფარქვეშაც შეიჭრებოდა, თუმცა დრიბლინგი არ დასჭირვებია - ბულგარელები მასზე სამჯერ დაჯარიმდნენ და გრინის ზუსტმა საჯარიმოებმა საბოლოოდ რა ანგარიში დააფიქსირა, შესავალში მოგახსენეთ. ახლაც სიამოვნებით გავიმეორებთ - 83:79 ქართველთა სასარგებლოდ.

## ციფრები

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მხოლოდ ოთხქულიანი სხვაობა დაფიქსირდა, საქართველოს ნაკრებმა მასპინძლებს თითქმის ყველა კომპონენტში აჯობა: 20-დან 9 სამქულიანი ჩააგდო (ბულგარეთმა 19-დან 7), 33-დან 19 ორქულიანი გამოიყენა (ბულგარელებმა 45-დან 22), 26-დან 19 საჯარიმო ზუსტი იყო (ბულგარეთელთა 20-დან 14), 38-ჯერ მოხსნეს (ბულგარეთმა 30)... შეცდომა კი მასპინძლებზე მეტი დავუშვით - 17:9, თუმცა, საბედნიეროდ, ამით ბულგარელებმა ვერ ისარგებლეს.

გუშინწინდელ მატჩში ძალიან მნიშვნელოვანი იყო მანუჩარ მარკოიშვილის 23 და გრინის 14 ქულა. ტორინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მრავალმხრივი კალათბურთელია და შეიძლება უკეთესიც იყო მისი ელისის ნაცვლად ჩამოყვანა...

ხოლო მარკოიშვილმა სამქულიანები სწორედ ბულგარეთისთვის შემოინახა: თუ წინა სამ შეხვედრაში მას მხოლოდ 3 სამიანი ჰქონდა ჩაგდებული, ბულგარეთთან 5-დან 4 შორეული ტყორცნა გამოიყენა. სწორედ გრინის და მანუს ძალისხმევით მოიგო ნაკრებმა „ჩარიანი" (მონარდეთა ენაზე) სხვაობით. შაბათს მანუჩარი და ტორინი გამოირჩნენ, პორტუგალიასთან - ფაჩულია და სანიკიძე, პოლონეთთან - ცინცაძე და ფაჩულია... ეს გუნდური თამაშის მაჩვენებელია.

ბოლოს კიდევ ერთხელ: ბულგარეთი-საქართველო 79:83!

ვაჟა სიმონიშვილი



გადამწყვეტ მომენტებში ტორინ გრინმაც (№21) ივაჟკაცა

მატჩის შემდეგ

# ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ

**იგორ კოკოშკოვი** ბულგარეთთან გამარჯვების შემდეგაც გაწონასწორებული ლაპარაკობდა:

- აქ მოსაგებად ჩამოვედით, თუმცა წარმატებაში ბოლომდე დარწმუნებულები არ ვიყავით. ამიტომ ამ გამარჯვებით ძალიან გახარებული ვარ. ბულგარეთი ძლიერი გუნდია და ვიცოდით, რომ რთული ბრძოლა გველოდა. მასპინძლები დიდ პატივისცემას იმსახურებენ, მათ მართლაც ბოლომდე და ღირსეულად იბრძოლეს. ჩვენი წარმატება ტაქტიკურად გამართულმა თამაშმა მოიტანა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს ნაკრებში გუნდური ატმოსფეროა და კალათბურთელები საბრძოლველად არიან შემართულნი. გადამწყვეტ მომენტში ბულგარელებმა ბურთი რამდენჯერმე დაკარგეს. სწორედ ამ დროს საჭირო ქულები მოვაგროვეთ. გვქონდა პრობლემებიც - ზაზა ფაჩულია ტრავმის გამო ბოლოს სათანადოდ ველარ მოძრაობდა, თუმცა გუნდის გამარჯვებაში მაინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. სიმართლე გითხრათ, სატურნირო მდგომარეობა არ მაინტერესებს, თუმცა ისე არ გაიგოთ, რომ ჯგუფიდან გასვლა არ გვინდა. უბრალოდ, ამ ეტაპზე ცხრილს არ ვუყურებთ და წარმატებისკენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ. ახლა ჩვენი მთავარი სამიზნე პოლონეთში თამაშია და მხოლოდ ამ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი. ჯგუფში ჯერ არაფერია გარკვეული. ბულგარეთს წარმატებას ვუსურვებ.

ზაზა ფაჩულიას იმედი აქვს, რომ პოლონეთთან მატჩისთვის მწყობრში იქნება:

- ამ გამარჯვებით გახარებულები ვართ. ვიცოდი, რომ ურთულესი ბრძოლა გველოდა და ამის საფუძველს ბულგარეთში ჩატარებული წინა ორი მატჩი მაძლევდა. პირველად, 9 წლის წინ ოფიციალური მატჩი ვითამაშე, დაახლოებით 3 წლის წინ კი, ბულგარეთს ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ვსტუმრობდი. ჩემს თანაგუნდელებს ვუთხარი, რომ წარმატება იოლად არ მოვიდოდა. საქართველოს ნაკრები თამაშს ჩინებულად მომზადებული შეხვდა, თანაც ბულგარელთა თამაში კარგად გვქონდა შესწავლილი, რაც ძალიან დაგვეხმარა. კალათბურთელები მაქსიმალურად ვცდილობდით, შეგვესრულებინა ის დავალებები, რასაც მწვრთნელები და გუნდის ხელმძღვანელები გვაძლევდნენ. რა თქმა უნდა, მატჩის განმავლობაში გვქონდა ჩავარდნები, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ვიყოჩაღეთ. ამ ჯგუფში ოთხი თანაბარი ძალის გუნდია და სამი მოგება არაფერს ნიშნავს. წინ კიდევ ოთხი მატჩია და სწორედ იმ თამაშებში გადაწყდება ბევრი რამ. ახლა პოლონეთთან მატჩისთვის ვემზადებით. ამ გუნდს თბილისში დიდი სხვაობით მოვუგეთ, თუმცა ძალიან აგრესიულად გვეთამაშა. ლოძში თამაში გაცილებით რთული იქნება.

ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი **როსენ ბარჩევსკი** ფარ-ხმალს არ ჰყრის:

- ძალიან ცუდი შედეგი დაფიქსირდა. საშინაო გამარჯვება გვჭირდებოდა, რათა ჯგუფიდან გასვლისთვის ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავით. ჩვენი დაცვა ისევ არ აღმოჩნდა იმ დონეზე, როგორც მოსამზადებელ პერიოდში იყო. ფაქტობრივად, შევაჩერეთ ფაჩულია, რომელიც საშუალოდ 21 ქულას აგდებს, ჩვენთან კი მხოლოდ 12 დააგროვა. შევაჩერეთ ქართველთა მოძალება სამწამიან ზონაში, მაგრამ პრობლემები სამქულიანის ხაზიდან შეგვექმნა. ქართველები ამ თამაშამდე სამქულიანებს მხოლოდ 27-პროცენტიანი სიზუსტით ისროდნენ, დღეს 20-დან 9 სამქულიანი (45 პროცენტი) ჩააგდეს. ეს ჩვენთვის მოულოდნელი იყო. არ მინდა საკუთარი გუნდის გამართლება, მაგრამ წაგებაში გარკვეული როლი ტრავმებმაც ითამაშა - ფილიპ ვიდენოვი და ტყუპი ივანოვები მწყობრში ვერ იყვნენ, გუნდის რიტმში ბოლომდე ვერ ჩაჯდნენ. მეტს ველოდით ნატურალიზებულ ამერიკელ ერლ კალოუეისგან, მაგრამ მასაც ვერ დავადანაშაულებ, რადგან აშკარად გადაღლილი იყო. გასამარჯვებლად მოედანზე მყოფი ყველა კალათბურთელის აქტიურობაა საჭირო, ერთი-ორი კალათბურთელი შეხვედრას ვერ მოიგებს. მიუხედავად მარცხისა, ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ, წინ ოთხი მატჩია, არაფერი დაგვიკარგავს. პოლონეთსა და საქართველოში გამარჯვებებს შეუძლებლად სულაც არ მივიჩნევ.

ვაჟა სიმონიშვილი

მეტოქეები

## პოლონეთი-ბელგია 93:73

26:24, 25:20, 20:8, 22:21

პოლონეთი: ბერიშა (7ქ, 4პ), ლამპე (24ქ, 6მ, 2პ), დილევიჩი (8ქ, 2მ, 2პ), პრიჩანიუკი (6ქ), მაიევსკი (5ქ, 2მ), კელატი (3ქ, 6მ, 5პ, 3ჩ), გორტატი (29ქ, 7მ, 3პ, 2დ), კოზარეკი (11ქ, 7პ), ჩანასი

ბელგია: მოორსი (5ქ, 2მ), ვან როსომი (3ქ), ბეგინი (7ქ, 4მ.), ერველე (6ქ, 3მ, 2პ), ოვენეკე (12ქ, 2მ, 2პ), ვან დერ იონკჰეიდი (3ქ), ლოუერსი (14ქ, 2მ, 2პ), ტაბუ-ებომა (6ქ, 6პ), მუია (6ქ, 2მ), ვან დერ შპიგელი (3ქ, 3მ), ფეისონი (8ქ, 6მ)

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

# ჩარტერით პორტუგალიაში

**სოფიური მატჩის შემდეგ ბულგარეთში კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს დავუკავშირდით. მან სასიამოვნო ახალი ამბავი გვამცნო:**

- ბულგარეთში წამოსვლამდე გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში ჩარტერული რეისით გაემგზავრება. ეს გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იქნება, რადგან ღამის გატეხვა არ მოუწევს და პორტუგალიაში დამშვიდებული ჩავა. არანაკლებ მნიშვნელოვანია პორტუგალიის შემდეგ სამ დღეში გასამართი მატჩი - თბილისში ბულგარეთს ვუმასპინძლებთ. ტრანზიტული რეისით მგზავრობა ნაკრებს ძალიან გადაღლიდა, არადა, შეიძლება სწორედ ბულგარეთთან დაპირისპირება აღმოჩნდეს გადამწყვეტი...

**- ახლა ამ გუნდთან გამართულ სოფიურ დაპირისპირებაზე ვთქვათ.**

» მე-12 გვერდზე




ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატი

# განსაკუთრებული ტაიმები

14.08. ქუთაისი. ცენტრალური
7 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| ოლიმპი | 1 |

1:0 ხაჭიპერაძე (44. კვასხვაძის პასით), 1:1 რაზმაძე (49. ჭედიას პასით)

| ტორპედო | ოლიმპი |
|---|---|
| 4-3-2-1 | 4-3-2-1 |
| მიგინეიშვილი | ბედიაშვილი |
| ფოფხაძე | ლონაძე |
| მაჭავარიანი | ძემოკლიძე |
| თოლუა | ა. კვახაძე |
| გურული | რეხვიაშვილი |
| ჩიკვილაძე | დობროვოლსკი |
| გიგაური | რაზმაძე |
| დათუნაიშვილი | ბოლქვაძე |
| ნ. კვასხვაძე | ჭედია |
| ჩხეტიანი | გენაძე |
| ხაჭიპერაძე | მოდებაძე |

**ტორპედო**

63. გიგაური - თარხნიშვილი
74. ნ. კვასხვაძე-ცნოგილაძე
87. ჩხეტიანი-კვერნაძე

სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, კირკიტაძე, როსტიაშვილი

**ოლიმპი**

46. დობროვოლსკი-ბერიაშვილი
71. ჭედია-ჭელიძე
87. გენაძე-ჯაფარიძე

სათადარიგოები: ბათიაშვილი, უგულავა

გაფრთხილება: **მაჭავარიანი (9), დობროვოლსკი (41), ბოლქვაძე (84), რეხვიაშვილი (88)**

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

„არ ვნებდებით ფრეს, არ ვნებდებით ნოლს, ქუთათურ მზეს ვფიცავთ, გავიტანთ გოლს..." - ეს სიტყვები ჯგუფ „ფრანის" მიერ შესრულებული ენერგიული სიმღერიდანაა, რომელიც სპეციალურად „ტორპედოსთვის" დაიწერა და 22-ე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩზე შესრულდა. ქუთაისური გუნდის ჰიმნში ერთგვარად ახალი „ტორპედოს" დევიზია გადმოცემული - გამარჯვებისკენ სწრაფვა და ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე ბრძოლა. სამწლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ქუთათურებს, სადებიუტო მატჩში საქართველოს მოქმედ ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპთან" მართლაც დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. პირველ ტაიმში უკეთ **რამაზ მუმლაძის** შეგირდები გამოიყურებოდნენ და გულშემატკივრები გოლითაც გაახარეს. შესვენების შემდეგ კი ინიციატივა რუსთაველთა ხელში გადავიდა, რასაც ანგარიშის გათანაბრება და საბოლოოდ სამართლიანი ფრე მოჰყვა...

„ტორპედო"-"ოლიმპის" დაპირისპირებამ ქუთაისში დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩემპიონთან მატჩი თავისთავად დამაინტრიგებელია, მაგრამ ქუთათურებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ რამდენიმეწლიანი უძრაობის შემდეგ სავარდო და სამაისო ქალაქს „დიდი ფეხბურთი" დაუბრუნდა. ელიტაში დაბრუნებულ „ტორპედოს" კომპანია „ვისოლის" სახით შეძლებული მფლობელი გაუჩნდა. ამასთან, ქუთაისურმა გუნდმა ძველი სახელწოდება და ამბიციებიც დაიბრუნა. გულშემატკივრებიც ოპტიმისტურად განეწყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ შემაწუხებელი სიცხეების გამო ქალაქი თითქმის დაცლილია მოსახლეობისგან, განახლებულ სტადიონზე უმაღლეს ლიგას მონატრებული 7000-ზე მეტი ქომაგი მაინც შეიკრიბა. კლუბის მფლობელებმა გულშემატკივრების ინტერესი გაითვალისწინეს და გახსნით მატჩზე დასწრება უფასო იყო, მომდევნო თამაშებზე კი ბილეთები გაიყიდება...

» მე-4 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



# დინამომ რიხით დაიწყო

მეორე გოლი ზესტაფონელთა კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ო

15.08. თბილისი. ეროვნული
1500 მაყურებელი

**დინამო 2**
**ზესტაფონი 1**

1:0 ვანაძე (7. ჯუისის პასით), 1:1 ალადაშვილი (17), 2:1 ფირცხალავა (89. კოშკაძის პასით)

| დინამო 4-3-2-1 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| ლორია | რ. კვასხვაძე |
| კაკუბავა | ალადაშვილი |
| თომაშვილი | გ. ონიანი |
| გ. კაშია | ხიდეშელი |
| ხმალაძე | ელიავა |
| თექთურმანიძე | აფციაური |
| ელნილსონი | ძარია |
| კოშკაძე | დაუშვილი |
| რობერტინიო | ბაბუნაშვილი |
| ჯუისი | დვალი |
| ვანაძე | გელაშვილი |

**დინამო**

15. ვანაძე - **კახელიშვილი**
65. თექთურმანიძე - **მეტრეველი**
83. ჯუისი - **ფირცხალავა**
*სათადარიგოები:* შეყრილაძე, სიხარულიძე, გველესიანი, გავაშელიშვილი

**ზესტაფონი**

54. გელაშვილი - **გრიგალაშვილი**
55. ბაბუნაშვილი - **კობახიძე**
87. აფციაური - **წინამძღვრიშვილი**
*სათადარიგოები:* მამალაძე, ფიფია, გორგიაშვილი, ბენაშვილი

გაფრთხილება: ხიდეშელი (22), ჯუისი (27), გ. ონიანი (35), ხიდეშელი (49), გ. კაშია (71), ალადაშვილი (88)
გაძევება: გ. ხიდეშელი (49), კობახიძე (90+3)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ახალი სეზონი რიხით დაიწყო. თბილისის „დინამომ" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი და ალბათ მთავარი კონკურენტი „ზესტაფონი" გუშინ საკუთარ მოედანზე 2:1 დაამარცხა. მატჩის დაწყებამდე დინამოელებს გასულ სეზონში მოპოვებული ვერცხლის მედლები გადასცეს და ამ თამაშის მასპინძლებისთვის ეს ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა. ამ პრინციპული შეხვედრის მოგებაში „დინამოს" კაპიტანმა **ალექსანდრე კოშკაძემ** ლომის წვლილი შეიტანა. მართალია მას ბურთი არ გაუტანია, მხოლოდ საგოლე პასს დასჯერდა, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ ჩინებულ ფორმაშია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. კოშკაძის გარდა, დიდი სამუშაო გასწიეს კამერუნელმა **დონალდ ჯუისმა** და ბრაზილიელმა **რობერტინიომ**. „ზესტაფონის" ორი მცველის გაძევება სწორედ მათი დამსახურებაა. რაც შეეხება იმერლებს, ეს გუნდი გუშინ საგრძნობლად ცუდად გამოიყურებოდა. არადა, „ზესტაფონი" შემადგენლობით ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეული მაინც არის ეროვნულ ჩემპიონატში. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუმრებმა გუშინ თითქმის მთელი მეორე ნახევარი კაცნაკლულმა ჩაატარეს და მატჩის ბოლო წუთებში რომ გაეძლოთ, შინ ქულასაც წაიღებდნენ.

გუნდებმა ჩვეულ ტაქტიკას ამჯერადაც არ უღალატეს. „დინამოში" ერთი გადაადგილება იყო თვალში საცემი. დინამოელთა თავკაცმა **კახა კაჭარავამ** გუნდში დაბრუნებული **გურამ კაშია** თავის პოზიციაზე, კვლავ ცენტრალურ მცველად ათამაშა, **ლევან კაკუბავას** კი მარჯვენა მცველობა დაავალა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მეტოქეებმა გახსნილი თამაში აირჩიეს და ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა კარგი სანახაობა იხილა. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი თამაშები, მით მეტად შეივსება ტრიბუნები...

დინამოელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. მე-7 წუთზე კოშკაძე მარცხნიდან კარგად შეიჭრა და ჯუისი მოძებნა. კამერუნელის დარტყმული სტუმართა მეკარე **როინ კვასხვაძემ** მოიგერია, დამატებაზე **მათე ვანაძემ** ყველას დაასწრო და ანგარიშიც ასე გაიხსნა, 1:0. მიღებულმა გოლმა იმერლები გამოაცოცხლა და მათ 10 წუთში აღადგინეს წონასწორობა. **გიორგი ონიანის** დარტყმულისა და **ნიკოლოზ გელაშვილის** თავურისას მასპინძელთა მეკარე **გიორგი ლორიამ** იმარჯვა. მე-17 წუთზე კი კახა ალადაშვილმა საჯარიმო ოსტატურად შეასრულა და ეფექტური გოლით ანგარიში გათანაბრა, 1:1. ამჯერად უკვე „დინამო" გაცხარდა. ტრავმირებული ვანაძის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა **გიორგი კახელიშვილმა** თამაში გაამწვავა, რომელსაც კარგად აუბა მხარი თავდამსხმელად გადაწეულმა ჯუისმა. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ორივე კართან იქმნებოდა ხიფათი. ჯერ იყო და რობერტინიომ გადააცილა თავური, მერე კაშიას შესრულებული საჯარიმო დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს. **ხიდეშელისა** და **ბაბუნაშვილის** დარტყმებს ლორია გადაეფარა. გელაშვილის პასით **ძარიამ** ააცილა. **თექთურმანიძისა** და რობერტინიოს მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგ რობერტინიოსა და გელაშვილის დარტყმებისას იყოჩაღეს მეკარეებმა. ტაიმის ბოლოს კი დვალისა და გელაშვილის გარჯას არ მოჰყვა შედეგი.

დინამოელებმა მეორე ტაიმი კარგად დაიწყეს. 49-ე წუთზე ხიდეშელს ჯუისი გაექცა, მან მაისურით დაიჭირა და მეორე გაფრთხილების გამო მოედანი დატოვა. ზესტაფონელთა თავკაცმა **გია გეგუჩაძემ მამუკა კობახიძის** მინდორზე შესვლამდე, ცენტრალურ მცველად **მურთაზ დაუშვილი** ჩამოწია. კობახიძესთან ერთად **შოთა გრიგალაშვილი** შეიყვანა მოედანზე და ნახევარდაცვას „ახალი სისხლი გადაუსხა". მოგვიანებით გეგუჩაძე რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად ვა-ბანკზე წავიდა და თავდასხმაში ჯაბა დვალს **რატი წინამძღვრიშვილი** შეაშველა. თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. გეგუჩაძისგან განსხვავებით, კახა კაჭარავას შეცვლამ ნამდვილად გაამართლა. **მეტრეველმა** მცირედი სიმწვავე შესძინა თამაშს, **ფირცხალავამ** კი დააგვირგვინა და მატჩის მიწურულს გამარჯვების გოლი გაიტანა. თუმცა დინამოელებს მანამდე მართებდათ ბურთის გატანა. 53-ე წუთზე თექთურმანიძის დარტყმულს რიკოშეტის შემდეგ კუთხური მოჰყვა. 57-ე წუთზე კი კოშკაძის ჩინებული პასი რობერტინიოს გოლით უნდა დაეგვირგვინებინა, მაგრამ მცველმა დაფარება მოასწრო და ბრაზილიელმა რეალური მომენტი ვერ გამოიყენა. კოშკაძის მიერ კარგად შესრულებილი საჯარიმო დარტყმისას მეკარე კვასხვაძემ იმარჯვა. გრიგალაშვილმა კარს გადააცილა, **აფციაურის** ჩაწოდებისას კობახიძის თავური ლორიამ მოიგერია. ალადაშვილმა კიდევ ერთი ჯარიმა შესრულა, მაგრამ ამჯერად არაზუსტად. 75-ე წუთზე „დინამოს" კიდევ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ რობერტინიოს ონიანმა ბოლო წამს დაუფარა. მერე გრიგალაშვილმა და მეტრეველმა გადააცილეს, 84-ე წუთზე ისევ რობერტინიოს შეეძლო გატანა, მაგრამ კვასხვაძემ იხსნა გუნდი. ბოლო წუთებზე მასპინძლებმა სტუმრებზე ზეწოლა გააძლიერეს, რასაც შედეგი მოჰყვა: კახელიშვილის ჩაწოდებისას კვასხვაძემ იმარჯვა, 89-ე წუთზე კოშკაძის პასი ფირცხალავამ მოულოდნელად, ძლიერად და ზუსტად კარში დაარტყა და გამარჯვების გოლი გაიტანა, 2:1. დარჩენილ დროში მასპინძლები ანგარიშში სხვაობის გაზრდას შეეცადნენ. კოშკაძის პასით რობერტინიო პირისპირ გადიოდა მეკარესთან, მაგრამ კობახიძემ აკრძალული ილეთით შეაჩერა, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა. თამაშიც ამით დასრულდა. „ზესტაფონმა" თბილისში ქულებიც დაკარგა და ორი ცენტრალური მცველიც - მომდევნო ტურში იმერლებს, ცხინვალის „სპარტაკთან" ხიდეშელისა და კობახიძის გარეშე მოუწევთ შინ თამაში.

**მატჩის შემდეგ**

**კახა კაჭარავა (დინამო):** „სანახაობრივად მდიდარი თამაში იყო. შედეგითა და თამაშით კმაყოფილი ვარ და ფეხბურთელებს დიდ მადლობას ვუხდი. იმედი მაქვს გვეყოფა ძალები და სეზონის ბოლომდე კარგ თამაშებს ვაჩვენებთ. ვანაძეს უკანა კუნთი დაეჭიმა და ჯერ არ ვიცით რამდენ ხანს მოუწევს უძულებით დასვენება. ეს ხვალ-ზეგ უფრო ნათლად გამოჩნდება".

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „სამწუხაროდ, თამაში ჩვენი სცენარით არ წარიმართა. ასეთი სტარტი ჩვენს გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ვიმედოვნებ, გვეყოფა ფიზიკური მომზადება და სანახაობრივ, შედეგიან მატჩებს ჩავატარებთ... დასანანია, რომ მომდევნო ტურში ორი ცენტრალური მცველი არ გვეყოლება. დავფიქრდები და გადავწყვეტ, თუ ვინ ითამაშებს დაცვის ცენტრში".

**დავით ცაბაძე**

# განსხვავებული ტაიმები

« მე-3 გვერდიდან

მატჩს ბევრი სტუმარიც ჰყავდა - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, სახელგანთქმული მომღერალი და ქველმოქმედი **პაატა ბურჭულაძე**, იმერეთის გუბერნატორი **ლაშა მაქაცარია** და სხვა ჩინოსნები თუ ცნობილი სახეები, რომლებმაც სადებიუტო მატჩის კვალობაზე საკმაოდ საინტერესო პაექრობას ადევნეს თვალი. აქვე უნდა ითქვას, რომ სიცხისაგან ნახევრად გადამხმარი მოედანი ფეხბურთელებს გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა, თორემ შესაძლოა, შეხვედრა გაცილებით უკეთესიც გამომდგარიყო.

გუნდების კაპიტნებმა - **სევასტი თოდუამ** და **დენის დობროვოლსკიმ** ეროვნული ჰიმნის ფონზე საქართველოს დროშა აღმართეს და შეხვედრაც დაიწყო. „ფრანის" მიერ შესრულებულმა სიმღერამ იმოქმედა თუ სხვა რამ იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია - „ტორპედო" დებიუტში ძალზედ ენერგიულად გამოიყურებოდა.

მე-3 წუთზე **კვასხვაძემ** მარცხენა ფრთაზე დანიშნული ჯარიმიდან პირდაპირ კარის მიმართულებით მოჭრა ბურთი და რუსთაველები გოლისგან მეკარე **ბედიაშვილმა** იხსნა. რამდენიმე წუთში კვასხვაძეს კვლავ მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ თანაგუნდელთა მწვავე შეტევა უზუსტო დარტყმით დაასრულა. ტაიმის შუაწელიდან რუსთაველებმა თამაში გამოასწორეს და მასპინძელთა კარს რამდენჯერმე დაემუქრნენ. განსაკუთრებით **გეწაძე** აქტიურობდა, რომელიც მარცხენა ფლანგის ბატონ-პატრონი იყო. მე-20 წუთზე მის სოლო რეიდს ქუთაისელთა საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა მოჰყვა, თუმცა **მოდებაძემ** და **რაზმაძემ** ბურთისთვის მიმართულების შეცვლა და კარში გადაგზავნა ვერ მოახერხეს.

ამის შემდეგ კვლავ ტორპედოელთა სახიფათო შეტევა ვიხილეთ, **ფოფხაძემ** მარჯვენა ფრთაზე გაინავარდა და ბურთი რუსთაველთა საჯარიმოში კვასხვაძის მისამართით ჩაკიდა, თუმცა ამ უკანასკნელმა თავი ხეირიანად ვერ დაუხვედრა...

30-ე წუთზე უკვე ჩემპიონებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ მოდებაძის პასის შემდეგ გეწაძის სახიფათო დარტყმა სულ მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს. ცოტა ხანში კი ტორპედოელები მეკარე **მიგინეიშვილმა** იხსნა აშკარა გოლისგან - **რეხვიაშვილის** ჩაწოდების შემდეგ **ჭედია** ახლო მანძილიდან ურტყამდა და „ტორპედოს" კიპერმა დიდოსტატური რეაქცია გამოავლინა.

სტუმართა მწვავე შეტევებმა ქუთათურები „გააბრაზა" და ტაიმის ბოლოს რუსთაველთა კართან სახიფათო მომენტებმა იმატა. 39-ე წუთზე **თემურ მახარაძის** შეგირდები აშკარა გოლს გადაურჩნენ - კვასხვაძის კუთხურის შემდეგ გურული კარის მიმართულებით თავით ურტყამდა, ამ ეპიზოდში ბედიაშვილი უძლური იყო, მაგრამ დაუცველი კარიდან ბურთი **ლონლაძემ** გამოიტანა.

ამას კვლავ ტორპედოელთა სახიფათო შეტევა და **ხაჭიპერაძის** დარტყმა მოჰყვა, რომელიც რუსთაველთა მეკარემ მოიგერია. ქუთაისელთა აქტიურობამ შედეგი 44-წუთზე გამოიღო - კვასხვაძემ მარჯვენა ფლანგზე იაქტიურა და მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ხაჭიპერაძემ **ქემოკლიძეს** დაასწრო და მასპინძლები დააწინაურა - 1:0.

პირველი ტაიმის შემდეგ გულშემატკივრები „ტორპედოს" თამაშით კმაყოფილები იყვნენ და გამარჯვების ეიმედებოდათ, მაგრამ მეორე ტაიმში მატჩის სცენარი საგრძნობლად შეიცვალა. ქუთათურებს დაღლა დაეტყოთ და ბურთზე კონტროლი დაკარგეს, მახარაძემ კი **ბერიაშვილის** შეყვანით შეტევითი პოტენციალი კიდევ უფრო გაზარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ტაიმი სამიოდე წუთის დაწყებული იყო, როცა „ტორპედოს" კართან შექმნილი არეულობით რაზმაძემ ისარგებლა, ჭედიას პასის შემდეგ **მაჭავარიანთან** ორთაბრძოლისას შემობრუნებით დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მიგინეიშვილი ბურთს კი გადაელოზა, მაგრამ რაზმაძემ იმდენად ძლიერად დაარტყა, „ტორპედოს" კიპერმა ბურთის დამორჩილება ვერ მოახერხა...

გოლმა სტუმრებზე დადებითად იმოქმედა და ინიციატივა მათ ხელში გადავიდა. ქუთათურებმა კი კარგა ხნის განმავლობაში ვერ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. 56-ე წუთზე გეწაძემ საკუთარი ფლანგიდან კიდევ ერთი სოლო რეიდი განახორციელა, მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ მიგინეიშვილმა გამოსვლაზე კარგად ითამაშა.

ამის შემდეგ **ბოლქვაძეს** და შეცვლაზე შესულ **ჭელიძეს** ჰქონდათ გატანის შანსი, მაგრამ ორივე შემთხვევაში მიგინეიშვილმა ივაჟკაცა. 78-ე წუთზე გეწაძემ ჯარიმიდან სახიფათოდ დაარტყა და ბურთი გარედან მოხვდა ბადეს. მანვე ორიოდე წუთში ქუთაისელთა მთელი დაცვა მოატყუა და მეკარეს რომ არ ეჯაჩალა, გაიტანდა კიდეც.

მატჩის მიწურულს მასპინძლებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და მწვავედ შეუტიეს. **ცნობილაძის** დარტყმა ბედიაშვილმა კუთხურზე მოიგერია, იქიდან მოწოდებისას კი ჩხეტიანს მიეცა გატანის შესაძლებლობა, თუმცა დააყოვნა და მცველებმა მდგომარეობა განმუხტეს.

მატჩის ბოლო აკორდი **ჩიკვილაძის** საჯარიმო დარტყმა იყო, რომელიც რუსთაველთა ხარიხას გადაევლო და იქვე მატჩიც დასრულდა. სტადიონზე შეკრებილ საზოგადოებას მატჩის დასრულების შემდეგ კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა - არბიტრ **დავით ხარიტონაშვილის** საფინალო სასტვენისთანავე „ტორპედოს" ელიტაში დაბრუნების აღსანიშნავად ცაზე ულამაზესი ფეიერვერკები აინთო...

**მატჩის შემდეგ**

**თემურ მახარაძე (ოლიმპი):** „ქუთაისში ძალიან ლამაზი საფეხბურთო გარემო დაგვხვდა. მიხარია, რომ უმაღლეს ლიგას კარგი გუნდი დაუბრუნდა. რთული მატჩი გამოვიდა. პირველ ტაიმში თამაში ვერ ავაწყვეთ. შესვენების შემდეგ გაცილებით უკეთ ავთამაშდით, ანგარიში გავათანაბრეთ, მოგებაც გვინდოდა, მაგრამ თამაშის ხასიათიდან გამომდინარე ფრე ლოგიკური შედეგია".

**რამაზ მუმლაძე (ტორპედო):** „ძალიან ძლიერ მეტოქეს ვეთამაშებოდით. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ „ოლიმპი" ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია. პირველი ტაიმი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა და გოლიც გავიტანეთ. სამწუხაროდ, მეორე ნახევარში პოზიციები დავთმეთ და საკუთარ კარში გოლი მივილეთ. ჩვენი გუნდი ორი თვის წინ შეიკრიბა და ამ ეტაპზე ბიჭებისთვის მეტის მოთხოვნა გადაჭარბებული იქნება. „ოლიმპს" რაც შეეხება, რუსთაველებმა ჩვენზე ადრე დაიწყეს საფეხბურთო სეზონი, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მიიღეს მონაწილეობა და ჩემპიონატსაც გაცილებით კარგ ფორმაში შეხვდნენ".

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან
**არჩილ გეგენავას** ფოტო



ტორპედოელები ზაურ ხაჭიპერიძის გოლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონდომება და მოძრაობა

**15.08. რუსთავი. ფოლადი**
**500 მაყურებელი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| ბაია | 1 |

1:0 ლიპარტია (5-პენ), 2:0 კვარაცხელია (16. ლიპარტიას პასით), 2:1 მეგრელაძე (17)

| ვიტ ჯორჯია 4-3-2-1 | ბაია 4-2-3-1 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | სომხიშვილი |
| ბეჭვაია | კვეკვესკირი |
| ლომაია | რ. ონიანი |
| ადამაძე | ქიქველიშვილი |
| ჭანკვეტაძე | აკობია |
| კლიმიაშვილი | კ. ჩხეტიანი |
| მაისაშვილი | გოგობერიშვილი |
| გურეშიძე | დოლიძე |
| ჯანელიძე | გ.მ. ხიდეშელი |
| ლიპარტია | გუგუჩია |
| ვ. კვარაცხელია | მეგრელაძე |

**ვიტ ჯორჯია**
64. გურეშიძე - **ვასაძე**
73. ლიპარტია - **ჩიმაკაძე**
87. ვ. კვარაცხელია - **კასრაძე**
*სათადარიგოები: ძაძამია, კორიფაძე, ზაქრაძე, ლანიაშვილი*

**ბაია**
19. გ. მ. ხიდეშელი - **კვესეიშვილი**
74. გოგობერიშვილი - **ხუბუა**
78. გუგუჩია - **სიხარულია**
*სათადარიგოები: ზუხბაია, ვართაგავა, კანდელაკი, ეხვაია.*

გაფრთხილება: **ბეჭვაია (44), გურეშიძე (48), ჯანელიძე (54), გუგუჩია (64), ჭანკვეტაძე (69), ჯანელიძე (83)**
გაძევება: **რ. ონიანი (4), ჯანელიძე (83)**
არბიტრი: **ა. ნონიკაშვილი**

ჩემპიონატის საწყისი ტურის პირველ დღეს დაფიქსირებული ერთდროულად სამი საყაიმო ანგარიშის შემდეგ, როგორც იქნა, ერთ-ერთი გუნდის მოგებული თამაშიც ვნახეთ; თანაც, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი არ მოელოდა ერთიანად გაახალგაზრდავებული „ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებას - „ვეტერინართა" მეტოქე ხომ გამოცდილი ფეხბურთელებით გაძლიერებული „ბაია" იყო; თუმცა გუშინდელმა მატჩმაც დაადასტურა, რომ თანამედროვე ფეხბურთში მხოლოდ „სახელი და გვარი" ან წარსულის დამსახურება ბევრს არაფერს წყვეტს; ჰო, ახალი რა უნდა ვთქვათ: მონდომებისა და მოძრაობის გარეშე ვერც ერთ გუნდს ვერ მოუგებ. თუგინდ მეტოქის შემადგენლობაში მხოლოდ ახალგაზრდები ჭარბობდნენ...

...შეხვედრა მართლაც „უცნაურად" და ემოციურად დაიწყო: მასპინძლებმა თავიდანვე მედგრად შეუტიეს მეტოქეს და **ჯაბა ლიპარტიას** კუთხურის მერე **გიგა ბეჭვაიას** თავური ოდნავ ასცდა „ბაიას" კარს. ამ ეპიზოდიდან რამდენიმე წამი იყო გასული, „ვიტ ჯორჯიამ" მორიგი იერიში რომ წამოიწყო: **ირაკლი კლიმიაშვილმა** ეფექტური პასით გარღვევაზე ჯაბა ლიპარტია გაიყვანა, რომელიც მეტოქის საჯარიმოში თამაშის წესების დარღვევით **როინ ონიანმა** წააქცია. შეხვედრის არბიტრი **არსენ ნონიკაშვილი** მოვლენათა ეპიცენტრთან ახლოს იმყოფებოდა და სტუმრებს უმკაცრესი, მაგრამ სამართლიანი ვერდიქტი გამოუტანა: პენალტიც დანიშნა და ლიპარტიასთან ორთაბრძოლისას ტრავმამიღებული ონიანი... მოედნიდან გააძევა!

11-მეტრიანი თავად დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა და თავისი გუნდიც დააწინაურა; თუმცა, „ბაია" მოვლენების ასეთ განვითარებას არ შეეგუა და ზედიზედ ორი მწვავე იერიშიც მიიტანა **არდალიონ მიქაბერიძის** კართან; თუმცა, „ვიტ ჯორჯიას" მეკარეს ორივე ეპიზოდში მცველები დაეხმარნენ - ჯერ **გიორგი ხიდეშელის**, შემდეგ კი **ალექსანდრე გოგობერიშვილის** უძლიერესი დარტყმები თავიანთ თავზე რომ აიღეს. ასეთი თავბრუდამხვევი სტარტის მერე თამაში ოდნავ დაწყნარდა, მაგრამ ეს „სიმშვიდე" მხოლოდ 10 წუთი გაგრძელდა; ახალგაზრდა **დავით ჯანელიძემ** ეფექტური რეიდი წამოიწყო, ბურთი მარცხენა ფლანგზე მყოფ ჯაბა ლიპარტიას გადააწოდა, ხოლო ამ უკანასკნელმა ასევე დროული პასით მეტოქის საჯარიმოში **ვახტანგ კვარაცხელია** მოძებნა - „ვიტ ჯორჯიას" ცენტრფორვარდმა კი თანაგუნდელთა ლამაზი კომბინაცია არანაკლებ ჩინებული თავური დარტყმით დაამთავრა!

აი, ეს კი მართლაც დიდი მოულოდნელობა იყო: მასპინძელთა ორივე შეტევა გოლით დასრულდა, თანაც, მეტოქე რიცხობრივ უმცირესობაში იყო დარჩენილი და ამ შემთხვევაში უკვე მასპინძელთა შანსები ერთიორად გაიზარდა. თუმცა, „ბაიამ" მალე შეძლო ამ შოკიდან გამოსვლა და მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული სტანდრატულიდან ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თანაც გოლსაც ხომ გააჩნია: საქართველოს ჩემპიონატში ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა **გიორგი მეგრელაძემ** გამორბენის გარეშე, მოჭრილი დარტყმით ბურთი მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში ზუსტად გაგზავნა! როგორი საქმეა - 17 წუთში უკვე სამი გოლი იყო გასული და, არ დავმალავთ, მატჩის ბოლომდე კვლავაც „გოლების წვიმას" ველოდით, თუმცა...

„ბაიას" სამწვრთნელო შტაბმა მხოლოდ ამის მერე მოახდინა ტაქტიკური ცვლილება (გუნდი, ფაქტობრივად, ერთი ცენტრალური მცველით თამაშობდა) და აქედან გამომდინარე, სტუმართა განლაგებამ უკვე 4-4-1 სახე მიიღო. პირველი ტაიმის ბოლომდე „ბაიამ" კიდევ ერთი მწვავე შეტევა განახორციელა, როცა ალექსანდრე გოგობერიშვილის პასით **გრიგოლ დოლიძე** მარჯვენა ფლანგიდან, ერთობ მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ არდალიონ მიქაბერიძემ საიმედოდ ითამაშა (ერთ ეპიზოდში კი სტუმრები მიიჩნევდნენ, რომ „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა). ერთი მომენტი მასპინძლებსაც ჰქონდათ: ვახტანგ კვარაცხელია ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ორ მეურვეს გასცდა, მაგრამ საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული ბურთი „ბაიას" კარს ოდნავ ასცდა.

მეორე ტაიმი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და საწყისი 15 წუთის განმავლობაში „ბაიას" უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა რეალურ მომენტამდე საქმე არ მიდიოდა. ერთ ეპიზოდში გრიგოლ დოლიძე უმიზნებდა შორეულ კუთხეში, მაგრამ ოდნავ ააცილა, მეორედ კი **ლუკა გეგუჩიას** დარტყმა ძლიერი არ გამოუვიდა. ამის მერე ერთი-ორი შეტევა მასპინძლებმაც განახორციელეს, მაგრამ ირაკლი კლიმიაშვილის შორეულ და **დავით მაისაშვილის** თავურ დარტყმებს სიზუსტე აკლდათ. ისიც უნდა ითქვას, რომ „ვიტ ჯორჯიამ" აბსოლუტურად სწორი ტაქტიკა აირჩია: **მერაბ კოჭლაშვილის** შეგირდები თავს ორგანიზებულად იცავდნენ და იმის იმედადაც იყვნენ, მეტოქე სწრაფი კონტრშეტევებით დაესაჯათ...

თუმცა ასე ნამდვილად არ მოხდა, თანაც, მოედანზე თანაფარდობა აღდგა - ახალგაზრდა **დავით ჯანელიძემ** უხეში თამაშისათვის ამ მატჩში მეორე გაფრთხილება მიიღო (პირველი, სრულიად უწყინარ სიტუაციაში) და მასპინძლებიც 10 კაცით დარჩნენ. ისე კი, მატჩის ბოლომდე ორი მეტ-ნაკლებად დინამიკური ეპიზოდი ვნახეთ და ორივე შემთხვევაში მოვლენათა ეპიცენტრში გიორგი მეგრელაძე მოექცა: გამოცდილი ფორვარდი თავით ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ ერთ ეპიზოდში ოდნავ არაზუსტად დაარტყა, მეორეჯერ კი მიქაბერიძემ იმარჯვა.

საბოლოოდ კი, მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდა „ვეტერინარებმა" მაინც დამსახურებულად გაიმარჯვეს, თუმცა „ბაიასაც" საკმარისი პოტენციალი ეტყობა. განსაკუთრებით, ამ გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, 18 წლის **ნიკა კვეკვესკირი** გვინდა გამოვარჩიოთ - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი თანაგუნდელებს შორის უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ...

**გია ტუხაშვილი**
**რუსთავი-თბილისი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მხიარული სტარტები ვაკეში

**14.08. თბილისი. მ. მესხი**
**300 მაყურებელი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 2 |
| სამტრედია | 2 |

1:0 კლოვისი (24. დეკანოიძის პასით), 2:0 დეკანოიძე (33), 2:1 ბაკურაძე (66. ჩომახიძის პასით), 2:2 ეცადეიშვილი (83. ჩომახიძის პასით)

| სპარტაკი 4-5-1 | სამტრედია 4-4-2 |
|---|---|
| გრიშიკაშვილი | ძაგანია |
| ჭაფოძე | სოსელია |
| ბოიომო | დვალიშვილი |
| თავბერიძე | კირთაძე |
| კორსანტია | თ. შალიკაშვილი |
| შ. კაშია | ბაკურაძე |
| შონია | გურუა |
| მგელაძე | ჩომახიძე |
| სარალიძე | ტყემალაძე |
| კლოვისი | პავლიაშვილი |
| დეკანოიძე | ბაკარაძე |

**სპარტაკი**
65. სარალიძე- **ჩალაძე**
76. დეკანოიძე - **მაისურაძე**
*სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, ხაჭვანი, აქუბარდია, მ. ჯიშკარიანი, ფურცელაძე.*

**სამტრედია**
46. პავლიაშვილი - **დ. კირკიტაძე**
62. გურუა - **ეცადეიშვილი**
80. ბაკურაძე - **ფურთუხია**
*სათადარიგოები: ჯინჭარაძე, ხუმარაშვილი, კუპრეიშვილი, ი. შალიკაშვილი.*

გაფრთხილებები: **ჩომახიძე (67), მაისურაძე (87)**
არბიტრი: **ლ. სილაგავა**

ეროვნული ჩემპიონატის სტარტზე ერთმანეთს ორი სახელმწიფო კლუბი შეხვდა, რომელთაც სეზონი სერიოზული საფიქრალით დაიწყეს - ეყოლებათ თუ არა კერძო სპონსორები. ამის გარეშე მალე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არავის დაუშვებენ...

თამაში საკმაოდ სახალისო გამოდგა. აღსანიშნავია „ლოკომოტივის" მოედნის მშვენიერი მდგომარეობა, არადა, აპრილში მასზე თამაში სწორედ საფარის უვარგისობის გამო აკრძალეს. სტადიონის დირექტორმა **გივი ჭანტურიძემ** ეს ყველაფერი უფულობაში მოახერხა. ცოტა მეტი ფინანსები და „ლოკომოტივის" გაზონი საქართველოში საუკეთესო ექნება...

...მე-3 წუთზე **შოთა კაშიამ** და **დეკანოიძემ** მარჯვენა ფლანგზე ულამაზესი (თან სწრაფი) კომბინაცია გაითამაშეს, რომლის დაგვირგვინებაც საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი დარტყმით **შონიამ** სცადა - მეკარე **ძაგანიამ** ბურთი კარის ხაზზე გააჩერა.

მე-4 წუთზე **ბაკურაძემ** გამჭოლი გადაცემით მცველებს შუა გახსნილი **პავლიაშვილი** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ მცველი ფეხებში ჩაუწვა და ვითარება განმუხტა. ზუსტად ერთ წუთში სტუმრებმა მორიგი მწვავე კომბინაცია წამოიწყეს. სახიფათოდ უტევდა **ტყემალაძე**, რომლის დარტყმულზე სომხეთიდან დაბრუნებულმა მეკარე **სოსო გრიშიკაშვილმა** დროული რეაქცია გამოავლინა და „სპარტაკი" გადაარჩინა.

მე-15 წუთზე ტრიბუნებზე შეკრებილი მცირერიცხოვანი სამტრედიელი გულშემატკივარი აღშფოთდა - საჯარიმოში მყოფი ტყემალაძე ბოიომოსთან ბრძოლაში წაიქცა და სტუმრებმა პენალტი მოითხოვეს. ერთი შეხედვით, მოთხოვნა სამართლიანი იყო. არბიტრმა კი სხვაგვარად განსაჯა - შემტევს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა.

მე-16 წუთზე **ჩომახიძემ** ტყემალაძე კვლავ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა - გრიშიკაშვილმა ამჯერადაც ივაჟკაცა. აი, ამ ეპიზოდის შემდეგ უპირატესობას ცხინვალელები დაეუფლნენ, სამტრედიელები მოეშვნენ და გაუგებარ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. მათ მოედნის ცენტრი დათმეს და შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ...

24-ე წუთზე **თორნიკე შალიკაშვილმა** სერიოზული შეცდომა დაუშვა (მერე გავარკვიეთ, რომ მაღალი ტემპერატურით უთამაშია) და მეკარესთან პირისპირ გავიდა დეკანოიძე, რომელმაც ეს დუელი ვერ მოიგო, სამაგიეროდ, დამატებაზე **ტიერი კლოვისმა** იმარჯვა - 1:0.

„სამტრედია" საერთოდ მოეშვა, მოთამაშეები ბურთს ელემენტარულ სიტუაციებში კარგავდნენ და ამ ყველაფრის ლოგიკური გაგრძელება მეორე გოლი იყო: 17 წლის დეკანოიძემ, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თავდამსხმელია, საჯარიმოს ხაზიდან უცნაური ტრაექტორიით დაარტყა - ბურთმა მიმართულება შეიცვალა და სტუმართა კარში აღმოჩნდა - 2:0.

ეტყობა, სპარტაკელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და დაისაჯნენ კიდეც, თუმცა ამაში სტუმართა მთავარი მწვრთნელის **გელა სანაიას** დამსახურებაც უნდა დავინახოთ. მან სწორი შეცვლები გააკეთა, იქვე სამტრედიელი ქომაგიც გამოცოცხლდა და სტუმრებმა აგრესიულად შეუტიეს.

ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში 17 წლის **დავით კირკიტაძე**, რომელმაც მონდომებული თამაშით თავისიანები აიყოლია. სასარგებლოდ ითამაშეს **ეცადეიშვილმა და ფურთუხიამაც** - მოედნის ცენტრში თამაში დაალაგეს და მეტოქეს გასაქანი არ მისცეს. თუმცა სტუმართა შორის მაინც ჩომახიძე გამოირჩეოდა. ის მწვავე შეტევებსაც იწყებდა და ზოგადად, თამაშსაც წარმართავდა...

64-ე წუთზე კირკიტაძემ 25 მეტრიდან ძლიერი დაარტყა და გრიშიკაშვილმა კვლავ საიმედოდ ითამაშა. გავიდა ერთი წუთი და „სპარტაკი" უკვე მარჯვენა მცველმა **ჭაფოძემ** გადაარჩინა, როცა **სოსელიას** დარტყმულს გადაეღობა. აი, 66-ე წუთზე „სპარტაკი" ვეღარ გადარჩა: ჩომახიძის კუთხური **ბაკურაძემ** თავურით დააგვირგვინა - 1:2.

სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ერთხელაც გამოჩნდა, რომ „სამტრედიას" საკმაოდ მტკიცე ხასიათი აქვს. 73-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება ტყემალაძეს შეეძლო, მაგრამ ეს მისი დღე არ იყო - ვერც ამჯერად აჯობა გრიშიკაშვილს. შემდეგ „სპარტაკს" ზედიზედ ორი მომენტი ჰქონდა, მაგრამ კლოვისმა დააყოვნა და მომენტი გააფუჭა - ძაგანიამ **მგელაძეს** რთული დარტყმა აუღო.

ანგარიში 83-ე წუთზე გათანაბრდა - მარჯვენა ფლანგზე ჯარიმა კვლავ ჩომახიძემ შეასრულა, ყველას ეცადეიშვილმა დაასწრო და მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ბადეში აღმოჩნდა - 2:2.

მადა ჭამაში მოდისო და, სამტრედიელებს მოგება მოუნდათ. მსაჯის მიერ დამატებულ დროში, ჩომახიძის ჯარიმის შემდეგ, ტყემალაძეს შეეძლო კიდეც 3 ქულის მომტანი გოლის გატანა, მაგრამ... კარს მცირე მანძილით ააცილა.

შეიძლება ითქვას, საკმაოდ სახალისო, სანახაობრივი და მხიარული სტარტი ვიხილეთ, მაგრამ სახუმაროდ საქმე ნამდვილად არ არის - ცხინვალელებს მეორე ტაიმში ძალა აღარ შერჩათ და გადაღლილები თამაშობდნენ, რაც უცნაური იყო. ფიზიკური მომზადებით დიდად არც სტუმრები ბრწყინავდნენ, ოღონდ სპარტაკელები მაინც უკეთ გამოიყურებოდნენ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ესეც უსიამოვნო ტრადიციად მკვიდრდება - ქართული გუნდების ფიზიკური მომზადების დონე ისედაც არ იყო სასურველი და ახლა ხომ კატასტროფულ ზღვრამდე დაეცა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ XXII ჩემპიონატს მოიგებს გუნდი, რომლის მწვრთნელიც მოწინააღმდეგეს ტაქტიკური ჩანაფიქრით, სატურნირო სტრატეგიითა თუ სხვა ამგვარი კომპონენტებით კი არა, არამედ, კარგად მორბენალი და ფიზიკურად სხვაზე უკეთ მომზადებული ფეხბურთელებით დაუპირისპირდება. ჩემპიონატის სტარტსა და ევროთასებზე ნანახი სხვა დასკვნის საშუალებას არ გვაძლევს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

# უმაღლესს თამამად დაუბრუნდნენ...

14.08. ბოლნისი.თ. სტეფანია
400 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 0 |
| კოლხეთი | 0 |

გოლები: 0:1 ლ. მელქაძე (16. უგრეხელიძის პასით), 0:2 გოგობერიშვილი (24. პენალტით), 1:2 კლოვისი (55. ბურდულის პასით), 1:3 უგრეხელიძე (70. კობაურის პასით)

| სიონი 4-4-2 | კოლხეთი 4-4-1-1 |
|---|---|
| ბობლიაშვილი | გ. შენგელია |
| კობაური | ჭითანავა |
| ლ. ჭელიძე | მახვილაძე |
| ორბელაძე | ინწკირველი |
| რაქვიაშვილი | გველესიანი |
| ნემსაძე | სილაგავა |
| ლ. ნოზაძე | თედიაშვილი |
| დიდავა | ჯოჯუა |
| ვ. უგრეხელიძე | სიჭინავა |
| ჩივაძე | გვალია |
| გ. თოდუა | ციცხვაია |

**სიონი**

42. ნემსაძე - ქურასბედიანი
64. ჩივაძე - ბოგოხიძე
84. ქურასბედიანი - ლ. ჩხეტიანი

სათადარიგოები: მერლანი, გ. ოქროპირიძე, ქორიძე, ისიანი

**კოლხეთი**

76. ციცხვაია - რ. ჯიქია
81. სილაგავა - გულუა
90. გვალია - წიქარიშვილი

სათადარიგოები: სტურუა, ზ. ექონია, ცხვიტარია, ბუკია

გაფრთხილება: მახვილაძე (30), გველესიანი (42), ვ. უგრეხელიძე (52), კობაური (73), ინწკირველი (87), თედიაშვილი (89)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

ფოთის „კოლხეთი" უმაღლეს ლიგას რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და თავისუფლად შეეძლო, დაბრუნება გამარჯვებით აღენიშნა. გამარჯვების გოლის გატანასთან ახლოს, თანაც არაერთხელ, **ბესიკ შეროზიას** გუნდი ბოლნისური მატჩის მეორე ტაიმში იყო, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა და ფრეს დასჯერდა. თუმცა ამის მიუხედავად, ბოლნისში დაფიქსირებული შედეგით სტუმრები უფრო კმაყოფილები დარჩნენ.

უქმად არც „სიონი" ყოფილა, რომლის მწვრთნელ **გიორგი ყიფიანს** ამ ამპლუაში უმაღლესლიგური დებიუტი ჰქონდა. მასპინძლებმა შეტევაში პირველ ტაიმში უფრო იაქტიურეს. ყველაზე რეალური საგოლე შესაძლებლობა „სიონს" ტაიმის შუაწელში ჰქონდა, როცა **გივი დიდავას** თავური ძელს მოხვდა. ამას გარდა, **ლაშა ნოზაძის** დარტყმა იყო აღსანიშნავი, რომელიც **გიზო შენგელიამ** კუთხურზე მოიგერია.

საწყის 45 წუთში მეტოქის კარის დალაშქვრის მეტი შემთხვევა არავის მისცემია. სამაგიეროდ, მოხდა ერთი სამწუხარო ფაქტი – „სიონის" ახალწვეულმა **ვაჟა ნემსაძემ** ხელის თითი მოიტეხა და ბუნებრივია, შესაცვლელი შეიქნა.

შეხვედრა არცთუ სანახაობრივი გამოდგა, მაგრამ ვერც ერთ გუნდს მონდომებას ვერ დავუკარგავთ. 90 წუთის განმავლობაში მოედნის ყველა მონაკვეთში ფიცხელი ბრძოლა მიმდინარეობდა და საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე თამაშის ტემპიც ნორმალური იყო. თუკი პირველ ტაიმში გამოცდილმა სიონელებმა გარკვეული უპირატესობის მოპოვება შეძლეს, შესვენების შემდეგ ფოთელების უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ თავისი გაიტანა და „კოლხეთის" ფეხბურთელები უფრო და უფრო თამამად გადადიოდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე.

მეორე ტაიმი მთლიანად სტუმართა უპირატესობით წარიმართა, „სიონს" კი მხოლოდ იმის ძალალა ჰქონდა შემორჩენილი, რომ მეტოქის იერიშებისთვის შეძლებისდაგვარად გაეძლო. მატჩის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, **ლაშა გვალიას** მოჭრილი დარტყმა მიზანს ოდნავ რომ ასცდა, გამარჯვების გოლის გატანა კი ორჯერ შეეძლო **დათა სიჭინავას**. ამ უკანასკნელმა ორ ეპიზოდში კი მოახერხა ბოლნისელთა კარში დარტყმა, მაგრამ „სიონის" კარის დარაჯმა **მინდია ბობლიაშვილმა**, რომელიც თავის გუნდში უდავოდ საუკეთესო იყო, ჯერ მისი საშუალო დისტანციიდან დარტყმული მოიგერია, შემდეგ კი მასთან პირისპირ გასულ სიჭინავასაც აჯობა.

ეს ყველაფერი თამაშის დასკვნით ნაწილში მოხდა. ბუნებრივია, „კოლხეთის" წევრებს ამ მომენტების გამოუყენებლობამ გული დასწყვიტა, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ბოლნისიდან წაღებულმა ქულამ ფოთელები მაინც დააკმაყოფილა. შეროზიას გუნდმა ნამდვილად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. „კოლხეთი" სწრაფი, კომბინაციური ფეხბურთის თამაშს ცდილობს და ხშირად ეს ხარისხიანადაც გამოსდის. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების გვერდით, რომლებიც გუნდის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთა მნიშვნელობა ამ შეხვედრაშიც გამოჩნდა.

ალბათ, ეს ორივე გუნდი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოლებს და ვფიქრობთ, „კოლხეთის" მსგავსად, ამის რეალური შანსი „სიონსაც" აქვს. ბოლნისელთა რიგებში ხომ არაერთი კვალიფიციური ფეხბურთელი ირიცხება, რომლებიც ერთმანეთთან წლებია, შეთამაშებულები არიან და ამიტომაც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შაბათს „სიონის" შესაძლებლობათა მაქსიმუმი არ გვინახავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

## დაბრუნებული

### სოსო გრიშიკაშვილი

# სომხებს ფიზიკასა და ფინანსებში ჩამოვრჩებით

ორწლიანი პაუზის შემდეგ **სოსო გრიშიკაშვილი** საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდა. ეროვნული ნაკრებისა და „ალანიას" ყოფილი მეკარე ბოლო ორი სეზონის განმავლობაში სომხეთის ერთ-ერთ ლიდერ „მიკაში' გამოდიოდა. სეზონის დაწყებამდე 36 წლის გამოცდილი მეკარე ცხინვალის „სპარტაკში" ჩაირიცხა. პირველ ტურში გრიშიკაშვილი ყველანაირად ეცადა, ახალ გუნდს გამარჯვებაში დახმარებოდა, რამდენჯერმე თავისიანები აშკარა გოლისგანაც იხსნა, მაგრამ საბოლოოდ ცხინვალელები მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ.

*„თავიდან უპირატესობა მოვიპოვეთ და მეგონა, გავიმარჯვებდით. თუმცა, მეორე ტაიმში „სამტრედიამ" გვაჯობა. ჩვენ ახლადშეკრებილი გუნდი ვართ და ალბათ, მოუმზადებლობა ამის შედეგია. 70-ე წუთიდან ორივე გუნდს დაღლა დაგვეტყო. ეს ცოტა არ იყოს, გამიკვირდა: ბოლო წლები სომხეთის პირველობაზე ვთამაშობდი, რომელზეც ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მაღალი დონის პირველობაა. ტექნიკური არსენალით, მოქნილობით და ზოგადად ნიჭიერებით, ჩვენთან ბევრად უკეთესი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ფიზიკური მომზადებით აშკარად ჩამოვრჩებით. ამას არა მხოლოდ „სამტრედიასთან" მატჩიდან გამომდინარე, მოსამზადებელ ეტაპზე სხვა გუნდებზე დაკვირვების შედეგადაც ვამბობ. სომხეთში ბევრი ლეგიონერია და ფინანსურადაც ჩვენზე ძლიერი კლუბები ჰყავთ, ჩვენზე ათჯერ მეტი ფული აქვთ. სამწუხაროდ, ამის ლოგიკური შედეგია, ბოლო დროს ჩვენი პირველობის დონე რომ დაეცა. იმ დროს, როდესაც კარიერას ვიწყებდი, ბევრად ძლიერი ჩემპიონატი გვქონდა და ფიზიკურადაც უკეთესად მომზადებული ფეხბურთელები გვყავდა"*, - ამბობს გრიშიკაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

## ლეგიონის უქმეები

# არჩევანი სირაძესა და გოგუას შორის

### ქართველთა შვიდი გასროლა



გოგიტა გოგუა

გასულ უქმეებზე 7 ქართული გოლი გავიდა ევროპის ლიგებში. ყველაზე მეტად თავი ნალჩიკის „სპარტაკის" ნახევარმცველმა **გოგიტა გოგუამ** გამოიჩინა, რომელიც ეროვნულ ნაკრებშიც ლიდერად ჩამოყალიბდა.

მართალია, ინგლისშიც გაგორდა ბურთი, მაგრამ ჩვენს ეულ ლეგიონერს „ნისლიან ალბიონზე" კვლავ არ დაადგა საშველი. **ზურაბ ხიზანიშვილს** „ბლექბერნის" შემადგენლობაში თამაშის შანსი არა აქვს და ვერც სხვაგან გადადის. ზურაბს ჩაეშალა „რედინგში" გადასვლის კარგი ვარიანტი, თურქულ კლუბზე (როგორც ინგლისელები წერენ) კი თავად თქვა უარი. „ბლექბერნმა" პირველ ტურში 1:0 მოუგო „ევერტონს", **სემ ელერდაისმა** კი „პირობა" შეასრულა - ქართველი მცველისთვის ადგილი განაცხადშიც კი არ გამოიძებნა. დრო მიდის, მალე სანაკრებო ბატალიები გვეწყება და ათენში ორი უთამაშებელი მცველით თამაში (მეორე **კახა კალაძეა**) არას გვარგებს...

29 წლის ხიზანიშვილისთვის მხოლოდ პირველი ინგლისური სეზონი გამოდგა წარმატებული, როცა მან პრემიერლიგაში 24 თამაში ჩაატარა და ერთი გოლიც გაიტანა. მას შემდეგ დაღმასვლა აშკარაა: 17 თამაში 2006/07 წლებში, 10 თამაში 2007/08 წლებში, 3 თამაში 2008/09 წლებში და არც ერთი მატჩი შარშან!

საფრანგეთიდან არ გვაქვს ცუდი სიახლეები: საწყისი ტურის წინ სარეზერვო გუნდში გადასროლილმა **გიორგი მაკარიძემ** კარგად ითამაშა ამ გუნდის შემადგენლობაში და ისევ დაიბრუნა „ლე მანის" მე-2 მეკარის სტატუსი, ის „რეიმსთან" 2:2 დასრულებულ მატჩში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თანაც შეცდომებით ითამაშა **დიდიე ოვონომ**... რაც შეეხება „ლე მანის" მეორე ქართველ **ამირან სანაიას**, ერთ-ერთი ფრანგული საიტი მის მომავალს ლიგა 1-ის კლუბ „სოშოს" უკავშირებს.

ერთ კვირაში დაიწყება იტალიის სერია B, სადაც **ლევან მჭედლიძე** თამაშობს. საიტი „ალტარიმინი" მიიჩნევს, რომ ახალ სეზონში „ემპოლი" ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ითამაშებს და ის 27 წლის **კლაუდიო კორალი** იქნება, რომელსაც პერიოდულად 18 წლის **ნიკოლაო დუმიტრუ** შეცვლის ხოლმე, მჭედლიძეს კი სათადარიგო სკამისთვის იმეტებენ.

სომხეთის ჩემპიონატის მე-17 ტურში ქართული გოლი აუტსაიდერთა დაპირისპირებაში გავიდა: „განძასარმა" 2:0 მოუგო სტუმრად „შირაკს". მატჩის 86-ე წუთზე თავი კაპანელთა 28 წლის ნახევარმცველმა **დავით ხანიშვილმა** გაიტანა. „განძასარი" 19 ქულით მე-6 ადგილზეა 8-გუნდიან ჩემპიონატში. ტურის ცენტრალურ მატჩში ქართული კვარტეტის (**თენგიზ უგრეხელიძე, გიორგი კრასოვსკი, გაგა თიბილაშვილი, შოთა ჯიქია**) „ულისმა" შინ ლიდერი „ბანანცი" 1:0 დაამარცხა. „ულისი" 38 ქულით მე-2 ადგილზეა და „ბანანცს" უკვე მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება. გუნდის მიერ 29 გატანილი ბურთიდან 6 ქართულია (3 - ჯიქია, 2 - თიბილაშვილი, 1 - კრასოვსკი).

აზერბაიჯანში II ტურის მატჩები გაიმართა. **ნუგზარ კვირტიას** აზალ-მა „თურანს" 1:0 მოუგო. კვირტია მოედანზე 71-ე წუთზე გამოჩნდა. წაგებულთა გუნდში ითამაშა ექსსამტრედიელმა **შალვა ფირცხალავამ**. ზაქათალის ოლიმპიურ კომპლექსში „სიმურგი" 0:2 დამარცხდა „ხაზართან". მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ბაჩანა ცხადაძემ**, გამარჯვებულთა შორის არ უთამაშია **დავით იმედაშვილს**. **დავით სვანაძის** „მუღანმა" მოულოდნელად მოუგო **ვინფრედ შეფერის** „ბაქის" - 1:0, ქართველმა 90 წუთი ითამაშა. „აზერბაიჯანული არმიის გმირი გვენცაძე", - ასე დაასათაურა სტატია „აზერისპორტმა" „ინტერისა" და მოიკ-ის მატჩის შესახებ. არმიელთა კარს **ამირან გვენცაძე** იცავდა და მეტად საიმედოდაც. **კახა ცხადაძის** შეგირდთაგან **ვალერი აბრამიძე** და **დავით ოდიკაძე** აქტიურობდნენ, საბოლოოდ მატჩი მაინც 1:0 მორჩა, გოლი პენალტით ინტერელმა **მარიო სოუზამ** გაიტანა.

დანიის ვიასატდივიზიონში თავისი პირველი გოლი გაიტანა **დავით დევდარიანმა**, რომლის „ორჰუსმა" „ბრიონშიოის" აჯობა - 3:1. ქართველმა 29-ე წუთზე გამოიჩინა თავი, დევდარიანი 79-ე წუთზე შეცვალეს. **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი" შინ 1:2 დამარცხდა „ვესტსიელანდთან". ქართველი მცველი 57-ე წუთზე შეცვალეს.



ვაჟა თარხნიშვილი



დავით დევდარიანი

ესტონურ მეისტრილიგაში „ფლორამ" „ლოტუსი" 5:0 გაანადგურა, **ზაქარია ბეგლარიშვილი** მეორე ტაიმის დასაწყისში შემოვიდა და 58-ე წუთზე გუნდის მე-2 გოლი გაიტანა. ეს ქართველი ლეგიონერის მე-4 გოლია ჩემპიონატში, „ფლორა" 54 ქულით მე-2 ადგილზეა.

უნგრეთის ჩემპიონატის II ტურში „ეტო" „ვაშაშთან" სტუმრად 1:2 დამარცხდა. ამ თამაშში დიორელთაგან ერთადერთმა ჩვენებურმა ითამაშა - **რატი ალექსიძემ** 90 წუთში 5 ბალი დაიმსახურა. სხვათა შორის, ყოფილი ეტოელი **ვახტანგ ფანცხავა** „ვაშაშში" ირიცხება, მაგრამ ამ თამაშში მას მონაწილეობა არ მიუღია.

ისრაელში ტოტოს თასზე ჰაიფურ დერბიში „მაქაბიმ" „ჰაპოელი" 3:0 დაამარცხა. ანგარიში ამ შეხვედრაში **ლადო დვალიშვილმა** პენალტით გახსნა. ფინეთის იკონენლიგაში გოლი გაიტანა **ანზორ კალაძემ**, მაგრამ მისი გუნდი პოპა მაინც 1:2 დამარცხდა „კოტეპესთან".

ყაზახურ პრემიერლიგაში **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუმ" ახლახან საქართველოს ჩემპიონის დამმარცხებელ „აქტობეს" მოუგო - 2:1, ქართველს არ უთამაშია.

ქართული გოლი გავიდა ლატვიურ ვირსლიგაშიც, „ოლიმპსი" სტუმრად „ტრანზიტსს" ესტუმრა და 2:2 დაუზავდა. რიგელთა 20 წლის მცველმა **ლაშა ღონღაძემ** ჩემპიონატში მე-3 გოლი გაიტანა.

მოლდოვის ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში „დაჩია" და „შერიფი" 0:0 დაზავდნენ. კიშინიოველთა შორის 90-90 წუთი ითამაშეს **მამუკა ლომიძემ** და **დავით გამეზარდაშვილმა**, ხოლო ტირასპოლელთა შორის - **ვაჟა თარხნიშვილმა**.

უკრაინულ ვიშალიგაში VI ტურის მატჩები გაიმართა, **ვასილ გიგიაძემ** მეორე ტაიმი ითამაშა და „ტავრიას" მიერ „კრივბასის" რბევაში თავისი წვლილიც შეიტანა - 4:1. „კრივბასის" ქართველები (**ბექა გოცირიძე, სანდრო კობახიძე**) კვლავ ვერ ხვდებიან ძირითად გუნდში.

აქამდე დაუმარცხებელმა „დნიპრომ" კი შინ 0:1 წააგო ხარკოვის „მეტალისტთან". მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **უჩა ლობჟანიძემ**. **სანდრო გურულს** არ უთამაშია დონეცკში „შახტართან" მატჩში, რომელიც „კარპატიმ" 0:1 დათმო.

რუსეთის ჩემპიონატში ულამაზესი გოლი გაიტანა **გოგიტა გოგუამ**. ქართველმა ლეგიონერმა წერტილი დაუსვა „სპარტაკი"-"სიბირის" მატჩს - 4:2. გოგიტა 71-ე წუთზე შემოვიდა და გოლი სტუმართა კარში ბოლო წუთზე გაიტანა. სრულად ითამაშა **დავით სირაძემ**, რომელმაც პირველი გოლის ასისტენტობა იკისრა. ორივე ჩვენებურს „ჩემპიონატმა" 6,5-6,5 ბალი დაუწერა. თამაშის შემდეგ **იური კრასნოჟანს** ყველა ეკითხებოდა, თუ რატომ არ დააყენა თავიდანვე გოგუა. რაზეც ნალჩიკელთა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მიზეზი ლეგიონერთა კვოტაა: *„პრინციპში, ასეთი არჩევანი მქონდა - ან გოგუა ან სირაძე. პირველს შემცვლელი ასე თუ ისე ჰყავს, მეორეს - არა"*.

მახაჭყალის „ანჟი" ცსკა-სთან დაპირისპირებაში განადგურდა - 0:4. ჩვენებურები, **ნუკრი რევიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი** და **გიორგი ილურიძე** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ასევე სათადარიგოთა სკამზე იყვნენ „ტერეკისა" და „რუბინის" ქართველები, **ლევან გვაზავა** და **ლაშა სალუქვაძე**, თამაში 1:1 მორჩა. მოსკოვურ დერბიში („ლოკომოტივი"-"სპარტაკი") **მალხაზ ასათიანი** სასტარტოში იყო, ხოლო **ჯანო ანანიძე** სათადარიგო. თუმცა **კარპინმა** 88-ე წუთზე მაინც ათამაშა ჩვენებური, რომელმაც **იბსონი** შეცვალა. „სპარტაკმა" **ველიტონის** ჰეტ თრიკის წყალობით დაამარცხა „ლოკომოტივი" - 3:2. მალხაზს არ ჰქონია საუკეთესო საღამო: მან ყვითელი ბარათი მიიღო და ველიტონის ორ გოლში მიუძღვოდა „წვლილი".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი



# გაცვლა: გროსო კალაძეში

გუშინ „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „მილანის" ქართველი მცველი **კახა კალაძე** ტურინის „იუვენტუსში" გადაბარგდება, ხოლო იქიდან მილანში **ფაბიო გროსო** წავა. ერთიც და მეორეც „გაძეტას" სცენარით იჯარის წესით შეიცვლის კლუბს. ასე რომ, „მილანს" და „იუვენტუსს" საიჯარო გაცვლა მოუწევთ. „გაძეტას" კორესპონდენტი **მარკო პასოტო** ამ გაცვლის ლოგიკურ სიკეთეებს ხედავს და აღნიშნავს, რომ ცვლილება ორივე ფეხბურთელის კარიერას უთუოდ წაადგება და მათ თამაშის შანსი გაუჩნდებათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი

სუპერთასი I მატჩი

# 90 წუთი წინაა

| სევილია–ბარსელონა | 3:1 |
|---|---|

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კონკო, ესკუდე, ფასიო, დაბო - ხ. ნავასი, ზოკორა, რომარიკი (46. ჩიგარინი), პეროტი - რენატო (64. კანუტე), ლუიშ ფაბიანო (70. ნეგრედო).

**ბარსელონა (4-3-3):** მინიო - დ. ალვეში, გომესი, მილიტო (80. ადრიანო), აბიდალი - კეიტა, ორიოლი, დოს სანტოსი (66. ტიაგო ალკანტარა) - კრკიჩი, იბრაჰიმოვიჩი (52. მესი), მაქსველი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (20), 1:1 ლუიშ ფაბიანო (61), 2:1 კანუტე (72), 3:1 კანუტე (82)

**მაყურებელი:** 38 000

ესპანეთის სუპერთასის პირველი შეხვედრა „სანჩეს პისხუანზე" გაიმართა და „სევილიას" მოულოდნელი გამარჯვებით დასრულდა - ანდალუსიურმა კლუბმა 3:1 მოუგო „ბარსელონას" და სეზონის პირველ ტიტულს მიუახლოვდა. თამაშის წინ პუბლიკამ და კლუბის ხელმძღვანელობამ ტრიუმფი მოუწყვეს **ხესუს ნავასს**, ესპანეთის ნაკრების ერთადერთ წევრს კლუბიდან, როგორც მსოფლიოს ჩემპიონს.

**ხოსეპ გვარდიოლამ** გადაწყვიტა ფონს მცირე ძალებით გასულიყო და აშკარად შეცდა - საკმაოდ გადახალისებულ „ბარსელონას" არ ეყო გამოცდილება და ენერგია და მეორე ტაიმში ხელიდან გაუშვა პირველში მოპოვებული უპირატესობა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შეცვლაზე შესულმა **ფრედერიკ კანუტემ**, რომელმაც დუბლი შეასრულა. გვარდიოლამ კარში გუნდის მესამე მეკარე **მინიო** ჩააყენა, დაცვის ცენტრში ათამაშა 18 წლის პარაგვაელი **სერხიო გომესი**, შუა ხაზში თავის გამოჩენის შანსი მისცა **ორიოლ რომეუსა** და **ჯონათან დოს სანტოსს**.

მე-20 წუთზე ბრაზილიელმა **მაქსველმა**, რომელიც ლამის შეტევაში თამაშობდა, მარცხნიდან ჩაუწოდა **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** და შვედმაც ერთი მოძრაობით მოატყუა **ანდრეს პალოპი** - 0:1.

მეორე ტაიმის მე-5 წუთზე კარგად მოთამაშე იბრაჰიმოვიჩი **ლეო მესიმ** შეცვალა. ამის შემდეგ „ბარსას" შეტევებში აღარაფერი გამოსდიოდა, არადა არგენტინელი, თითქოს, აქტიურობდა. კატალონიელებმა ძალზე სუსტად მოთამაშე მინიოს კარში გოლების წვიმა მიიღეს. ჯერ „სევილიას" დებიუტანტმა **ლუკა ჩიგარინიმ** გამჭოლი პასით ბრაზილიელ **ლუიშ ფაბიანოს** გაატანინა, შემდეგ კი მალის ნაკრების ფორვარდის დროც დადგა, **რენატოს** ნაცვლად შესულმა კანუტემ 10 წუთში ორი გოლი შეაგდო. კანუტემ ჯერ **ალვარო ნეგრედოს** პასით გაიტანა, შემდეგ კი ხესუს ნავასისა და **დიეგო პეროტის** ბრწყინვალე კომბინაცია დააგვირგვინა - 3:1. ერთ კვირაში „კამპ ნოუზე" საპასუხო მატჩია და იქ სულ სხვა „ბარსელონას" ვიხილავთ.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„შედეგი აშკარად უარესია ჩვენს თამაშზე. მეორე ტაიმში შეხვედრის სადავეები ხელიდან გავუშვით და დავისაჯეთ. მეტოქე ძალზე ძლიერი გუნდია, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა. არა უშავს, 90 წუთი კიდევ წინაა".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფედერიკო ფასიოსა და ჯონათან დოს სანტოსის ორთაბრძოლა

ამბები

## დამატებითი მსაჯები საჭიროაო...

გასული მუნდიალის ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო არბიტრი, უზბეკი **რავშან ირმატოვი** ამბობს, რომ მოედანზე დამატებითი მსაჯების შეშვება მისი და მისი კოლეგების საქმეს საგრძნობლად გააადვილებს.

*„ფეხბურთში სიახლეების დანერგვა ფიფას პრეროგატივაა, ჩემი ფუნქცია კი მოედანზე გასვლა და მაქსიმალურად უშეცდომოდ მსაჯობაა. მართალია, სადავო მომენტებს ტექნიკა უფრო ზუსტად განსჯის, მაგრამ ისიც კარგი იქნება, თუ ხაზის დამატებით მსაჯებს შემოიღებენ. ასეთ შემთხვევაში არბიტრები სადავო სიტუაციებში გარკვევას გაცილებით იოლად შევძლებთ"*, - აცხადებს ირმატოვი.

## ნეტცერი: რაულმა თავიდან უნდა დაამტკიცოს



წარსულში სახელგანთქმული გერმანელი ფეხბურთელი და ამჟამად საფეხბურთო ანალიტიკოსი **გიუნტერ ნეტცერი** რაულის „შალკეში" გადასვლაზე გამოთქვამს საკუთარ აზრს და მიიჩნევს, რომ „რეალის" ცოცხალ ლეგენდას გერმანიაში საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება ხელახლა მოუწევს.

*„რაულის სახით ფელიქს მაგათმა ძალიან საინტერესო ფეხბურთელი შეიძინა. რაულს იდეალური ხასიათი აქვს, არის ძალიან წარმატებული მოთამაშე, რომელსაც უამრავი ტიტული მოუგია. თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ წარსული დამსახურებები ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავს. რაული ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ უმაღლეს დონეზე თამაში ძველებურად შეუძლია"*, - ამბობს ნეტცერი.

## კასანო: კარიერას აქ დავასრულებ

**ანტონიო კასანოს** სურს, რომ „სამპდორია" მისი საფეხბურთო კარიერის უკანასკნელი კლუბი იყოს.

*„ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ „სამპდორიადან" წავიდე. მინდა, კარიერა აქ დავასრულო. „სამპდორიაში" თავს მეფესავით ვგრძნობ, აქ ყველაფერი მახარებს, ერთი სიტყვით, უბედნიერესი ვარ"*, - აცხადებს იტალიელი თავდამსხმელი.

კასანოს გენუური კლუბის შემადგენლობაში 123 მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც 46 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამხანაგური მატჩი

# ჟოზემ დებიუტი კაიზერის თასით აღნიშნა

| ბაიერნი–რეალი | 0:0, პენ. 2:4 |
|---|---|

**ბაიერნი:** ბუტი (46. კრაფტი) - ილიხი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი (46. ბრააფჰეიდი), კონტენტო - ვან ბომელი (60. ოტლი), პრანიჩი (74. ჰაასი) - სოსა (60. შვაინშტაიგერი), მიულერი, რიბერი (60. ალტინთოფი) - კლოზე.

**რეალი:** კასილიასი - სერხიო რამოსი (58. ლასანა დიარა), კარვალიო, გარაი (44. ალბიოლი), მარსელო (85. დრენტე) - ხედირა, ჩაბი ალონსო - პედრო ლეონი (58. დი მარია), კანალესი (58. ვან დერ ვაარტი), რონალდუ - იგუაინი (59. ბენზემა).

**პენალტები:** 0:1 რონალდუ, 1:1 ბადშტუბერი, 1:2 ვან დერ ვაარტი, 1:2 ალტინთოფი (მეკარე), 1:3 ჩაბი ალონსო, 2:3 ოტლი, 2:4 ბენზემა, 2:4 ბრააფჰეიდი (მეკარე)

**მაყურებელი:** 69 000

**ფრანც ბეკენბაუერი** „ბაიერნიდან" საზეიმოდ გააცილეს. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი რამდენიმე ღონისძიება მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ ჩატარებულმა მატჩმა დააგვირგვინა, სადაც ბეკენბაუერის სახელობის თასი გათამაშდა. თამაშმა სრული ანშლაგის ფონზე ჩაიარა. „კაიზერ ფრანცი" „ალიანც არენადან" 69 ათასმა გულშემატკივარმა გააცილა.

საინტერესო იყო **ლუის ვან გაალისა** და **ჟოზე მოურინიოს** სამწვრთნელო დაპირისპირება. შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც მათი გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც პორტუგალიელმა გაიმარჯვა - „ინტერის" თავკაცის რანგში. ასე რომ, მოურინიომ „რეალში" ზუსტად იმით დაიწყო, რითაც „ინტერში" დაამთავრა. „რეალის" შემადგენლობაში ვიხილეთ ახალწვეულები - **რიკარდო კარვალიო სამი ხედირა, პედრო ლეონი, ანხელ დი მარია** და **სერხიო კანალესი...**

შეხვედრა კი მართლაც ისეთი გამოდგა, როგორიც ბეკენბაუერსა და ამ კლუბებს ეკადრებათ. მატჩის მე-7 წუთზე **იკერ კასილიასმა** გაიბრწყინა, რომელმაც ჯერ **ჰოლგერ ბადშტუბერის** მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანი მოიგერია, დამატებაზე კი **თომას მიულერს** არ გაატანინა. თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, მაგრამ ძირითად დროში გოლის გატანა ვერავინ შეძლო და დაინიშნა პენალტების სერია, სადაც კვლავ კასილიასის ჯერ დადგა. ბადშტუბერმა ამჯერად კი შეძლო „რეალის" კარის დალაშქვრა, მაგრამ სამაგიეროდ, სამეფო კლუბის გოლკიპერმა **ჰამით ალტინთოფისა** და **ედსონ ბრააფჰეიდის** დარტყმები მოიგერია და თავისიანებს ბეკენბაუერის თასი დაუბევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# მარსელი ნიანგის ცრემლებით ტირის



მამადუ ნიანგი კაპიტნის სამკლავურს ტაიე ტაივოს უტოვებს

ეს უკვე აღარ არის სახუმარო ამბავი - საფრანგეთის ჩემპიონს ორი ტურის შემდეგ ქულა არა აქვს, ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული და ცხრილის ფსკერზეა. **დიდიე დეშამის** „მარსელმა" ჯერ ახლადგადმოსულ „კაენთან" წააგო, რაც ყველამ შემთხვევითობას მიაწერა, ახლა კი სტუმრად „ვალანსიენთან" 2:3 დამარცხდა, თანაც ბოლო წუთებამდე 0:3-ს აგებდა...

უფრო მეტიც, „ვალანსიენთან" მატჩი უკანასკნელი იყო „მარსელის" კაპიტნისა და ლიდერისთვის - დღეიდან, **მამადუ ნიანგი** თურქული „ფენერბაჰჩეს" წევრია. სენეგალელმა ფორვარდმა, რომელიც შარშანდელი სეზონის ბომბარდირია, სტამბოლურ კლუბთან 4-წლიანი შეთანხმება გააფორმა. „მარსელში" კი ზუსტად 100 გოლი გაიტანა (227 თამაშში). მოკლედ, მამადუ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა და კარიერის ბოლო ოთხ სეზონს თურქეთში გაატარებს. 30 წლის ფეხბურთელი 2005 წელს გადავიდა „მარსელში" „სტრასბურიდან", მაშინ ის 7 მილიონ ევროდ იყიდეს, შაბათს კი 8 მილიონად გაყიდეს. მოკლედ, ხუთი სეზონის განმავლობაში ნიანგი გუნდის სული და გული იყო, კარიერის საუკეთესო წლები მარსელში გაატარა და კლუბმა ის სარფიანად გაყიდა. იხეირა ფორვარდმაც, რომელსაც „ფენერბაჰჩე" თვეში 480 ათას ევროს გადაუხდის.

*„კარგი იქნებოდა, რომ დღეს მოგვეგო და ისე დავმშვიდობებოდი კლუბს. „მარსელში" ხუთი ფანტასტიკური სეზონი გავატარე. გული მიკვდება, რომ აქაურობას ვტოვებ, მარსელელი ვიქნები სიკვდილამდე. ახლა ჩვენი გზები იყრება, ჩემი კარიერა თურქეთში გაგრძელდება. „ოლიმპიკის" ფანებს კი ვთხოვ, ამ ბიჭებს მხარი დაუჭირონ"*, - განაცხადა აცრემლებულმა ნიანგმა.

„ვალანსიენისა" და „მარსელის" მატჩში ყველაფერი საინტერესო მე-2 ტაიმში მოხდა, როცა **ფილიპ მონტანიეს** გუნდი გარდაისახა და შეუტია ჩემპიონს. უკვე 48-ე წუთზე **გაელ დანიჩმა დავიდ დუკურტიუს** პასით გაიტანა. შემდეგ **გრეგორი პუჟოლმა** აჯობა **გაბრიელ ჰაინცეს** და ანგარიში ორამდე გაზარდა. 57-ე წუთზე მოედანი დატოვა ნიანგმა, რომლის ნაცვლადაც ახალგაზრდა **ჯორდან აეუ** შემოვიდა. სულ მალე ანგარიში გამანადგურებელი გახდა, ახლა ესპანელ **სესარ ასპილიკუეტას** უყურადღებობის წყალობით **გაეტან ბონგმა** გადააწოდა პუჟოლს, რომელმაც დუბლი შეასრულა.

„მარსელი" ბოლო წუთებში გამოფხიზლდა და კინალამ იხსნა ქულა. **ლუჩო გონსალესის** პასით საჯარიმოში ჯორდან აეუ შეიჭრა, რომელიც მოცელეს. პენალტი ნიგერიელმა მცველმა **ტაიე ტაივომ** გაიტანა. ზუსტად სამ წუთში **ანდრე აეუმ** შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო და რიკოშეტით გაიტანა **ნიკოლა პენეტოს** კარში. ცოტაოდენი დრო კიდევ რჩებოდა, მაგრამ სტუმრებმა ველარ შეძლეს თამაშის გადარჩენა - 2:3.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„ძალიან ბევრი რამ ხდება ნეგატიური გუნდში, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ. მართალია, ფეხბურთელთა უმეტესობას კვლავ სურს „მარსელმა" გააგრძელოს მოგებები, მაგრამ მათი თამაშის დონე დაეცა. ბოლო დროს მომხდარმა ამბებმაც იქონია გავლენა ჩვენს თამაშზე. როდის მოვა ეს 31 აგვისტო, რომ დაწყნარდეს ბევრი, წამსვლელი ან წავიდეს, ან დარჩეს. არ გეგონოთ, რომ ვწუწუნებდე, უბრალოდ, მირჩევნია, გაცილებით პოზიტიურ გარემოში ვიმუშაო".*

ტური ნაკლული გამოდგა, რადგან „მონაკო"-„მონპელიე" გადაიდო. ამის მიზეზი კოკისპირული წვიმაა, „ლუი II" სათამაშოდ გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა „რენს", რომელიც ჯერ სტუმრად ერთ-ერთ ფავორიტ „ლილს" დაუზავდა და ახლა ულაპარაკოდ აჯობა „ნანსის", რომელიც პირველ ტაიმში ათი კაცის ამარა დარჩა - 3:0. საფრანგეთის ჩემპიონატში პირველად ითამაშეს ხელოვნურ საფარზე. ნანსიში ცივი და ქარიანი ამინდები იცის, რის გამოც ფეხბურთის ფედერაციამ კლუბს ხელოვნური საფარის დაგების უფლება მისცა. „ნანსიმ" ცუდად დასცადა სინთეტიკა - მე-13 წუთზე მეკარესთან პირისპირ გასული **ვიქტორ-უგო მონტანიო ალფრედ ნდიაემ** ხელით დაიჭირა, რისთვისაც სამართლიანად გააძევეს. ხუთ წუთში კი ტრავმა მიიღო **ფაბიან ლემოანმა**. „ნანსიმ" პირველ ტურში სარეზერვო გოლკიპერით ითამაშა და სწორედ **დამიენ გრეგორინის** წყალობით შეძლო სამი ქულის შენარჩუნება, როცა გრეგორინიმ ბოლო წუთზე პენალტი მოიგერია. ამის მიუხედავად კარში კაპიტანი **ჯენარო ბრასილიანო** ჩადგა, რომელმაც სამი გოლი გაუშვა.

პირველ ტაიმში სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობისგან ხეირი ვერ ნახეს, მეორეში კი თავიდანვე დაწინაურდნენ: მონტანიომ კედელი **ჟერომ ლეროასთან** გაითამაშა, ნდიაე მოედანზე აღარ იყო, რომ ხელით დაეჭირა და 26 წლის კოლუმბიელმა ფორვარდმაც ანგარიში გახსნა. ათ წუთში „რენი" ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდა, კოლუმბიელმა ახლა ასისტენტობა იტვირთა, გოლი კი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა **იასინ ბრაჰიმიმ** გაიტანა. თამაშის მიწურულს კონტრშეტევაზე გვინეელმა **ისმაელ ბანგურამ** იხეირა, რომელიც ბევრს კიევის „დინამოში" გამოსვლიდან ემახსოვრება.

უხვგოლიანი გამოდგა „სენტ ეტიენისა" და „სოშოს" მატჩი, მასპინძლებმა 3:2 მოიგეს. „ლე ვერტსი" 3:0-იც კი დაწინაურდა, თუმცა შემდეგ კინალამ გაათანაბრებინა მეტოქეს - მოკლედ, აქაც „ვალანსიენი"-"მარსელის" სცენარი გათამაშდა. ამ თამაშში 10 წუთის განმავლობაში (57-ე წუთიდან 67-ის ჩათვლით) 4 გოლი გავიდა! მატჩის გმირი „სენტ ეტიენის" კაპიტანი **ლოიკ პერენი** გახდა, რომელმაც „სოშოს" კარში დუბლი შეასრულა.

ხელოვნური საფარით შეხვდა ახალ სეზონს „ლორიანიც" (იქაც, როგორც ნანსიში, სუსხიანი ამინდები იცის), რომელიც **იან ჟოფრეს** გოლით დაწინაურდა. „ნიცამ" **ისმაელ გასეს** წყალობით გაათანაბრა, გამარჯვების გოლი კი 69-ე წუთზე საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა **ლოიკ რემიმ** გაიტანა - 2:1 „ნიცას" სასარგებლოდ. სავარაუდოდ, ეს რემის ბოლო მატჩია „ნიცას" რიგებში, „ლაჟვარდოვანი სანაპიროს" მკვიდრს „ტოტენჰემ ჰოთსპური" ელის, 23 წლის ფორვარდის სანაცვლოდ ინგლისელებს 13 მილიონი ევრო აქვთ გადანახული.

ტურის საუკეთესო გოლი უდავოდ ბრეტონის მხარეში გავიდა, სადაც „ბრესტი" „ოსერს" მასპინძლობდა. საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა წევრმა **ბენუა პედრეტიმ** მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე კუთხური ჩაახვია მასპინძელთა კარში და „ოსერს" ქულა გადაურჩინა - 1:1. მანამდე საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა **ნიკოლა რუმ** მასპინძლები დააწინაურა...

საფრანგეთის ჩრდილოეთიდან უკიდურეს სამხრეთში, ჰოლანდიელი მხატვრის **ვინსენტ ვან გოგის** საყვარელ ქალაქ არლში ჩავიდა „ლანსი" და ახალგაზრდა **დავიდ პოლეს** გოლის წყალობით შინ 3 ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

ტურის საოცრებები კვირასაც გაგრძელდა - ლიგა 1-ში დაბრუნებულმა „კაენმა" ჩემპიონ „მარსელს" „ლიონიც" მიაყოლა - 3:2. ანგარიში I ტურის გმირმა **იუსეფ ელ-არაბიმ** გახსნა - მაროკოელმა **ჟან მაკუნისა** და **ჟერემი ტულალანის** ურთიერთშეუთანხმებლობით ისარგებლა. ოთხ წუთში **ბაფეტიმბი გომისმა** გაათანაბრა. **ფრანკ დიუმას** გუნდი ისევ დაწინაურდა, **სამბუ იატაბარემ** იყოჩაღა, მაგრამ მალევე გომისმა დუბლი შეასრულა. მეორე ტაიმში გადამწყვეტი გოლი **იოან მოლოს** საჯარიმოს მოჰყვა - 2 ტურის შემდეგ „კაენი" 6 ქულით „ტულუზთან" ერთად ლიდერობს.

გარონულ დერბიში **ჟან ტიგანას** „ბორდო" „ტულუზთან" 1:2 დამარცხდა. მოკლედ, ტიგანამ ძალზე ცუდად დაიწყო ჟირონდული კარიერა. „ბორდოს" სამი ფეხბურთელი აკლდა დისკვალიფიკაციის გამო: მეკარე **სედრიკ კარასო**, მცველები **ენრიკე** და **მიკაელ სიანი**. „ტულუზს" 82-ე წუთზე **ეტიენ დიდომ** მოაგებინა, რომელმაც **მანსარეს** პასით იხეირა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## მომდევნო ტური

**21 აგვისტო.** **ლანსი-მონაკო, ლიონი-ბრესტი, მარსელი-ლორიანი, ნიცა-ნანსი, რენი-სენტ ეტიენი, ტულუზი-არლი, ოსერი-ვალანსიენი. 22 აგვისტო. მონპელიე-კაენი, სოშო-ლილი, პსჟ-ბორდო.**




### სტ. ეტიენი-სოშო 3:2

**სტ. ეტიენი (4-1-4-1):** ჟანო - ებონდო, მონსორო, მარშალი (15. ბენალუანი), მატუიდი - გილავოგუა - საკო, ლანდრინი, პაიე, პერენი - სანოგო (46. რივიერი).

**სოშო (4-4-2):** დრეიერი - სოკე, ფატი, ბრეშე, მიკარი - მარტინი, პერკისი (46. ბუდებუზი), ანინი, მორის-ბელაი - ბრაუნი (79. ბაკამბუ), მაიგა (60. ბუტენი).

**გოლები:** 1:0 სოკე (6-საკ. კარში), 2:0 პერენი (57), 3:0 პერენი (63), 3:1 ბუდებუზი (65), 3:2 მარტინი (66)

**გაფრთხილება:** პერენი, გილავოგუა - პერკისი

**კუთხური:** 7-10; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 17-16 (7-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 24 013

### ნანსი-რენი 0:3

**ნანსი (4-4-2):** ბრასილიანო - შრეტიე, სამი, ანდრე ლუიზი, ლემაიტრი - ფერე, ნდიაე, გავანონი (61. დიაკიტე), ბრიზონი - ალო ეფულუ (46. კუვილიე), ვაირუა (81. მალონგა).

**რენი (4-3-3):** დუშე - დანზე, ფანი, მანგანე, ტეოფილე კატერინე - ლემოანი (18. კემბოეკოკო), მვილა, დალმა - ლეროა, მონტანიო (83. მანდჯეკი), ბრაჰიმი (68. ბანგურა).

**გოლები:** 0:1 მონტანიო (50), 0:2 ბრაჰიმი (59), 0:3 ბანგურა (87)

**გაძევება:** ნდიაე (13)

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 9-15 (2-6); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 14 512

### ლორიანი-ნიცა 1:2

**ლორიანი (4-4-1-1):** კაპონე - სოსა (81. კონე), ბურილიონი, ეკუელე მანგა, მორელი - ჟოფრე (66. კოკელინი), რომაო, მვუემბა, ს. დიარა (57. ლე ლანი) - ამალფიტანო - გამეირო.

**ნიცა (4-3-3):** ოსპინა - დიაკიტე, სიველი, პეიჩინოვიჩი, გასე - ფაე, საბლე, ელბიკი (67. ბენ საადა) - რემი (90. ქვანსა), მულუნგუი, მუნიე (89. პოტე).

**გოლები:** 1:0 ჟოფრე (11), 1:1 გასე (12), 1:2 რემი (70)

**გაფრთხილება:** რომაო - პეიჩინოვიჩი, მუნიე

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11-14 (2-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 15 181

### ბრესტი-ოსერი 1:1

**ბრესტი (4-2-3-1):** ელანა - დაფი, აპანგა, კანტარი, დარლა (70. ფერადი) - ლიჩკა, ევოლო - პოიე, გრუჟი (77. ნგოი), ლესოიმიე - რუ (89. სუმა).

**ოსერი (4-4-1-1):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, გრიხტინგი, ბერტო (46. მინიო) - კონტუტი, პედრეტი, ნდინგა, ბირსა (46. ოლიეჩი) - ლე ტალეკი (68. ლანჟილი) - იელენი.

**გოლები:** 1:0 რუ (26), 1:1 პედრეტი (83)

**გაფრთხილება:** ლიჩკა, კანტარი - ბერტო, კონტუტი, მინიო

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 29-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-12 (3-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 934

### ვალანსიენი-მარსელი 3:2

**ვალანსიენი (4-3-3):** პენეტო - მატერი, ბიზევაცი, ანგუა, ბონგი - კადირი (43. საესი), გომისი (74. ბალდე), კოადი - დუკურტიუ, პუჟოლი, დანიჩი (69. ბენ ხალფალაჰი).

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ასპილიკუეტა, ნდიაე, ჰაინცე, ტაივო -გონსალესი, ე. სისე, კაბორე (58. შეირუ) - ვალბუენა (76. გნაბუიუ), ნიანგი (57. ჯ. აეუ), ა. აეუ.

**გოლები:** 1:0 დანიჩი (48), 2:0 პუჟოლი (53), 3:0 პუჟოლი (62), 3:1 ტაივო (82-პენ), 3:2 დუკურტიუ (85-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** ბონგი, საესი, კოადი - ა. აეუ, ვალბუენა, ჰაინცე, გონსალესი

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 20-10; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 13-14 (6-3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 15 430

### არლი-ლანსი 0:1

**არლი (4-4-2):** პლანტე - აბენზოა, მეხია, ერბატე, ფანშონი - აიტ ბენ იდირი (85. გისე), პიოსელი (77. გილასი), აიასე, ნაჯი (64. პსაუმი) - ჯა ჯეჯე, კერმორგანი.

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - ორიე, იაჰია, შელი, ბედიმო - ერმაში, დემონი - მონე-პაკე, რუდე, ედუარდო (69. პოლე) - მაულიდა (69. ბუკარი).

**გოლი:** 0:1 პოლე (70)

**გაფრთხილება:** ერბატი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 11-10 (3-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 10 881

### ბორდო-ტულუზი 1:2

**ბორდო (4-2-3-1):** ოლიმპა - შალმე, სავიჩი, სანე, ტრემულინასი - ფერნანდო (66. გუფრანი), ა. დიარა - პლაშილი, გურკუფი, ვენდელი (76. ბელიონი) - კავენაგი (72. მოდესტე).

**ტულუზი (4-3-2-1):** ვალვერდე - გუნინო, სეტო, კონგრე, ტაბანუ - დიდო, კაპუე, მაშადო - ბრაატენი, სისოკო (53. დევო) - პენტეკო (23. მანსარე).

**გოლები:** 0:1 ბრაატენი (45), 1:1 პლაშილი (48), 1:2 დიდო (82)

**გაფრთხილება:** ვენდელი, პლაშილი - მანსარე, გუნინო, მაშადო, სეტო

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 9-6 (3-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 31 614

### კაენი-ლიონი 3:2

**კაენი (4-2-3-1):** ტებო - ბარსოლა (46. ინესი), სორბონი, ორტო, ტაფორეაუ - ი. ნდიაე, მარკი - ჰამუმა, იატაბარე (72. კ. ტრაორე), მოლო - ელ-არაბი.

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი (57. გონალონსი), ტულალანი, სისოხო - მაკუნი, კალსტრიომი - ბრიანი, პიანიჩი, ბაშტოში (46. ლოვრენი) - გომისი (77. დელგადო).

**გოლები:** 1:0 ელ-არაბი (2), 1:1 გომისი (6), 2:1 იატაბარე (16), 2:2 გომისი (23), 3:2 ი. ნდიაე (77)

**გაფრთხილება:** ინესი, მარკი - ტულალანი, რივიერი

**გაძევება:** რივიერი (45)

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12-16 (7-2); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 19 137

### ლილი-პსჟ 0:0

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, რამი, ჩედჯუ, ბერია - ბალმონი, მავუბა, კაბაიე - ჟერვინიო (89. ფრო), დე მელო (72. სო), ჰაზარდი (82. ობრანიაკი).

**პსჟ (4-4-2):** კუპე - ჟალე, ზ. კამარა, სახო, სეარა - სესენიონი, მაკელელე, ბოდმერი (73. კლემანი), ნენე - ოარო, ერდინგი (74. ლუინდულა).

**გაფრთხილება:** მავუბა - სეარა, ნენე, ბოდმერი, მაკელელე

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 11-10 (1-4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 15 790

**მონაკო-მონპელიე** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტულუზი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. კაენი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3. რენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4. პსჟ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. ვალანსიენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. ნიცა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. მონპელიე | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8. სოშო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 9. ლანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10. სტ. ეტიენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 11. ნანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 12. ოსერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13. ლილი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 14. მონაკო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 15. ლორიანი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 16. ლიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 17. ბრესტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 18. მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 19. ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 20. არლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

## ლიგა 2. II ტური

**ტროა-ნანტი** 0:2

გოლები: 0:1 შეირუ (16-პენ), 0:2 ჯორჯევიჩი (74)

**ნიმი-შატორუ** 1:1

გოლები: 0:1 კორდონიე (55), 1:1 აიტე (70)

**ლე მანი-რეიმსი** 2:2

გოლები: 0:1 კრიხოვიაკი (14), 1:1 დოსევი (55), 1:2 ფორი (60), 2:2 ტომასი (90)

*გიორგი მაკარიძე* (ლე მანი) სათადარიგო იყო.

**ლე ავრი-აიაჩო** 2:0

გოლები: 1:0 ბონე (29), 2:0 ბუადლა (81)

**ლავალი-მეცი** 1:0

გოლი: 1:0 ლებუკი (59-პენ)

**ისტრი-ტური** 1:0

გოლი: 1:0 პალმიერი (52)

**ევიანი-ვანი** 4:0

გოლები: 1:0 ადნანი (21), 2:0 ფარინა (36), 3:0 ბუბი (38-პენ), 4:0 ფაივრი (79 ს.კ.)

**კლერმონი-დიჟონი** 2:2

გოლები: 1:0 პრივატი (16), 1:1 მანდანე (29), 2:1 პერინელი (45), 2:2 რიბასი (58)

**ანჟერი-ბულონი** 0:0

**სედანი-გრენობლი** 1:0

გოლი: 1:0 კოურტი (77)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავიანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. ლე მანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. ლავალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. ისტრი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 5. ლე ავრი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 6. სედანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 7. ტური | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. ნანტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. გრენობლი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10. აიაჩო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 11. ვანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| 12. კლერმონი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13. რეიმსი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 14. დიჟონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 15. შატორუ | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 16. ბულონი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 17. ანჟერი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 18. ნიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 19. ტროა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 20. მეცი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

შოტლანდია — პრემიერლიგა. I ტური

# გლაზგოელები იწყებენ და იგებენ

**პოლ ჰერტლი** „აბერდინის" კაპიტნის რანგში უკეთეს დებიუტს ვერც ინატრებდა - „ჰემილტონის" 4:0 დამარცხებაში მან სამგოლიანი წვლილი შეიტანა და სამივე გოლი... პენალტით შეაგდო. ვერ გეტყვით რას შეიძლება ნიშნავდეს, მაგრამ მოგახსენებთ: „აბერდინს" ჩემპიონატის პირველი შეხვედრა საკუთარ მოედანზე უკვე 16 წელიწადია არ მოუგია. გამარჯვებაში უდიდესი როლი გაახალგაზრდავებულმა **სონი ალუკომ** გაიტანა. პირველი ორი თერთმეტმეტრიანი სწორედ მან მოინადირა. შემდეგ მცველმა **ზენდერ დაიმონდმა** დააქუხა მესამე, ბოლოს კი „ჰემილტონის" მცველებმა **კრის მეგუირის** წინააღმდეგაც დაარღვიეს წესი და ჰერტლიმ მესამედაც შეაგდო.

„სელტიკმა" „ინვერნესი" დაამარცხა. გლაზგოელებმა მინიმალური სხვაობით 1:0 მოიგეს და შეხვედრის ერთადერთი გოლი მეორე ტაიმში **პედი მაკკოურტმა** ულამაზესად გაიტანა. გოლი სოლო გარღვევის შედეგი გახლდათ. ეს იყო ჩინებული დრიბლინგი, რომელმაც პრემიერლიგაში ახალაღზევებულ მასპინძლებს ჩემპიონატის ქულით დაწყების იმედი გადაუწურა. არადა, პირველ წუთებში „ინვერნესი" უფრო სახიფათოდ უტევდა და მე-18 წუთზე **ერიკ ოდჰიამბომ** თავური დარტყმით ანგარიში რომ ვერ გახსნა, საკუთარი თავის მეტს არავის უნდა დააბრალოს.

„რეინჯერსმა" შინ დაამარცხა „კილმარნოკი". ჩემპიონმა ანგარიში რბილად რომ ვთქვათ თავისებური გოლით გახსნა - ბურთი კარში **კენი მილერის** ზურგიდან შევარდა. ეს ნამდვილი შემთხვევითობა იყო. მეორე ტაიმის დასაწყისში კი მასპინძელთა უპირატესობა **სტივენ ნეისმიტმა** გაზარდა. მან თავის ყოფილ გუნდს გაუტანა. ერთადერთი საპასუხო გოლი პენალტით **ჯეიმი ჰემილმა** შეაგდო.

„სენტ ჯონსტონს" კი 2004 წლის შემდეგ სეზონის პირველ შეხვედრაში არ წაუგია და ეს სანაქებო ტრადიცია განაგრძო - მართალია, „ჰართსი" ფაქტობრივად მთელი შეხვედრის განმავლობაში სჯობდა, საბოლოოდ მაინც ფრე გამოვიდა. **დენი ლენონს** კი არ გაუმართლა. „სენტ მირენის" მწვრთნელს ახალ გუნდში დებიუტი ჰქონდა და თითქმის იგებდა კიდეც, მაგრამ „დანდი იუნაიტედის" ირლანდიელი თავდამსხმელის **ჯონ დეილის** მიერ 89-ე წუთზე გატანილმა გოლმა ლენონს გუნება გაუფუჭა.

„ჰიბერნიანი" თავიდან ჩამორჩა, მაგრამ **დერეკ რიორდანმა** მხსნელის როლი იტვირთა და საბოლოოდ ედინბურგის ჩრდილოეთ გარეუბნის ლეითის გუნდმა ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო. არადა, „მოზერველმა" დამსახურებულად გახსნა ანგარიში - **ჯონ სატონმა** ახლოდან შეაგდო. პირველი ტაიმი დასასრულს რომ უახლოვდებოდა, მსაჯის წამატებულ წუთებში, რიორდანის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან **ენტონი სტოკსმა** გაათანაბრა, შემდეგ კი, უკვე მეორე ტაიმში, კვლავ რიორდანის ჩაწოდებულს **პოლ ჰენლონმა** მიუჩინა ადგილი მასპინძელთა კარში. თუმცა რიორდანმა ვერც ამით მოისვენა - მესამე ეპიზოდში მან **ლაიამ მილერს** გაუწია ასისტენტობა, ბოლოს კი **ჯეიმი მერფიმ** შეამცირა სხვაობა.



პოლ ჰერტლიმ ამ დღეს სამი პენალტი გაიტანა

**აბერდინი-ჰემილტონი 4:0**

გოლები: 1:0 ჰერტლი (19-პენ), 2:0 ჰერტლი (40-პენ), 3:0 დაიმონდი (51), 4:0 ჰერტლი (65-პენ)

**ჰართსი-სენტ ჯონსტონი 1:1**

გოლები: 1:0 ელიოტი (45), 1:1 პარკინი (45)

**ინვერნესი-სელტიკი 0:1**

გოლი: 0:1 მაკკორტი (56)

**რეინჯერსი-კილმარნოკი 2:1**

გოლები: 1:0 მილერი (16), 2:0 ნეისმიტი (56), 2:1 ჰემილი (60-პენ)

**სენტ მირენი-დანდი 1:1**

გოლები: 1:0 ლინჩი (73), 1:1 დეილი (89)

**მოზერველი-ჰიბერნიანი 2:3**

გოლები: 1:0 სატონი (13), 1:1 სტოკსი (45), 1:2 ჰენლონი (64), 1:3 მილერი (73), 2:3 მერფი (75-პენ)

ილია ბაბუნაშვილი

პორტუგალია — ლიგა საგრეში. I ტური

# მძიმე სტარტი



მარიო რონდონი (მარჯვნივ) სპორტინგელ მცველს გაურბის

პორტუგალიური ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო, პარასკევის გახსნის მატჩს თუ არ ჩავთვლით, პირენეებზე მცირე რაოდენობის გოლები გავიდა - ხუთ მატჩში ფეხბურთელებმა 4 გოლი გაიტანეს.

„პორტუ" „ნავალს" ესტუმრა, თითქოსდა, აშკარა ფავორიტიც იყო, თუმცა „ნავალმა" 8 წინასასეზონო მატჩიდან 7 მოიგო. პირველ ტაიმში „ნავალი" უკეთადაც გამოიყურებოდა, მაგრამ მეორე ნახევარში მოვლენათა ვითარება შეიცვალა, ამაში მთავარი „დამნაშავე" ბრაზილიელი ფორვარდი **ჰალკი** იყო, რომელიც მომენტს მომენტზე ქმნიდა მასპინძელთა კართან. გოლის გატანის დიდებული მომენტი ჰქონდა **გუარინს**, რომელმაც ბურთი კარს გადააცილა. კვანძი ამ თამაშში 83-ე წუთზე გაიხსნა, როცა **ჟონატასმა** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. ჰალკმა პენალტით „პორტუს" ჩემპიონატის პირველი სამი ქულა მოუტანა.

„სპორტინგის" უბედობა ამ ჩემპიონატშიც გრძელდება, ლისაბონელები „პაკუშ დე ფერეირას" ესტუმრნენ და 0:1 დამარცხდნენ. „ლომები" პირველ ტაიმში სრულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გოლი ვერაფრით გაიტანეს. **პოშტიგამ** ერთხელ ბურთი ხარიხას გაარტყა, მეორედ კი მას **კასიომ** აუღო. **პოლგა** და **ლიდსონიც** ახლოს იყვნენ მიზანთან, ორივემ თავური გააცუდა. „სპორტინგი" მეორე ტაიმში დაისაჯა, როცა „ფერეირას" ახალგაზრდა ფორვარდმა **მარიო რონდონმა** გამარჯვების გოლი გაიტანა, რომელმაც **მანუელ ჟოზეს** ჩაწოდება გამოიყენა.

ევროპის ლიგაზე ზედიზედ 4 მატჩის მოგების შემდეგ ცუდი სტარტი გამოუვიდა „მარიტიმუს". მადეირელები შინ „სეტუბალთან" 0:1 დამარცხდნენ. მთელი თამაში კუნძულელები სჯობდნენ მეტოქეს, გოლი კი სტუმარმა **ჟაილსონმა** გაიტანა, რომელმაც გზად რამდენიმე მარიტიმუელი ჩამოიტოვა. სამაგიეროდ, მოიგო მადეირას მეორე კლუბმა, „ნასიონალმა", რომელმაც სტუმრად „რიუ ავე" დაამარცხა - 1:0.

**ბრაგა-პორტიმონენსე 3:1**

გოლები: 1:0 მატეუში (28), 2:0 სეზარი (45), 2:1 ელიაში (54), 3:1 სალინო (83)

**მარიტიმუ-სეტუბალი 0:1**

გოლი: 0:1 ჟაილსონი (59)

**ნავალი-პორტუ 0:1**

გოლი: 0:1 ჰალკი (83-პენ)

**ფერეირა-სპორტინგი 1:0**

გოლი: 1:0 რონდონი (59)

**რიუ ავე-ნასიონალი 0:1**

გოლი: 0:1 ლოპესი (68)

**ბეირა მარი-ლეირია 0:0**

**ბენფიკა-აკადემიკა 1:2**

გოლები: 0:1 ფიდალგო (26), 1:1 ხარა (62), 1:2 ლაინელი (90)

გაძევება: ადი (52)

ნიკოლოზ ნეფარიძე



PREMIER LEAGUE **ინგლისი**

**პრემიერლიგა. I ტური**

# მესიჯი გაგზავნილია!

ახლა ასე თქმაა მოდაში: მესიჯი გაგზავნილია! „ჩელსის" მესიჯს ვგულისხმობთ. ინგლისის ჩემპიონმა და ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელმა ახალი სეზონის პირველსავე ტურში 6:0 მოიგო. მისი მსხვერპლი გახლდათ პრემიერლიგაში ახალი დაბრუნებული „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი". ექვსიდან სამი გოლი **დიდიე დროგბამ** გაიტანა.

„სტემფორდ ბრიჯზე" ანგარიშის გახსნას მხოლოდ და მხოლოდ 6 წუთი დასჭირდა - მალუდა **პაბლო იბანიესმა** საჯარიმოსთან წააქცია. ჯარიმა დროგბამ დაარტყა, სტუმრების მეკარე **სკოტ კერსონმა** მოიგერია, ბურთი **ჯონ ობი მიკელს** მიუვიდა, რომელსაც არ გაატანინეს, თუმცა საქმეში ისევ მალუდა ჩაერთო და უპრობლემოდ შეაგდო. ამის შემდეგ გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირის ჯერი დადგა. დროგბამ ზედ შესვენების წინ მაინც გაიტანა ჯარიმიდან, შესვენების შემდეგ კი შეხვედრა მთლად ცალმხრივ მოძრაობას დაემსგავსა. ჯერ იყო და ისევ დროგბამ გამოიჩინა თავი - ამჯერად ახლოდან - 63-ე წუთზე კი **ფრენკ ლემპარდმა ნიკოლა ანელკასა** და მიკელის ჭკვიანური კომბინაცია დაასრულა მორიგი ზუსტი დარტყმით.

გოლიდან რამდენიმე წუთში ლემპარდი, რომელსაც კოჭი აწუხებს, ებრაელი **იოსი ბენაიუნით** შეცვალეს - ეს ბენაიუნის დებიუტი გახლდათ პრემიერლიგაში, ოღონდ „ჩელსის" შემადგენლობაში, თორემ რაც მას „ლივერპულში" უთამაშია... ისე, საინტერესოა, რომ „ვესტ ბრომვიჩთან" მატჩის პროგრამაში „ჩელსის" თავმჯდომარე **ბრიუს ბაკმა** „ლივერპული" მოიხსენია, როგორც „პატარა კლუბი სადღაც M25 ტრასის ჩრდილოეთით". ბაკმა ასე მწარედ „ლურჯების" ყოფილი ფეხბურთელის, მერსისაიდში გადასული **ჯო კოულის** გამონათქვამების პასუხად ილაპარაკა, თუმცა ნუ გავერთობით... 68-ე წუთზე დროგბამ ჰეთ თრიკი შეასრულა. ამჯერად კოტ დივუარელმა ძლიერად დარტყმის მოყვარულთა გემოვნება დააკმაყოფილა. ბოლო გოლი კი ისევ მალუდამ შეაგდო.

მატჩის შემდეგ ჩემპიონთა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა: *„განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ჩვენ, უბრალოდ, ჩვენი საქმე გავაკეთეთ. „ჩელსის" ეხერხება ასე თამაში, ბევრი გოლის გატანა. სეზონის წინა პერიოდი ცოტა რთული გვქონდა, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი თავის კალაპოტში დგება. გამიხარდა სწრაფი ფეხბურთის თამაში რომ შევძელით. „ვესტ ბრომვიჩი" მეორე ტაიმამდე წევდა წინააღმდეგობას, მერე კი დაგვნებდა".*

დანებებული „ვესტ ბრომვიჩის" თავკაცი კი „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელი **რობერტო დი მატეოა**. მან თქვა:

*„სეზონის პირველ შეხვედრაში მაინც და მაინც ჩემპიონთან და თან სტუმრად თამაში, რასაკვირველია, მეტისმეტად მძიმე საქმეა, თუმცა ასეთ ანგარიშს არ ვიმსახურებდით. მეტისმეტი გამოვიდა".*

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" და „მანჩესტერ სიტიმ" კი „უაით ჰართ ლეინზე" ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს. მოგეხსენებათ, ეს ორი გუნდი გასულ სეზონში ოთხეულის ადგილს ეცილებოდა ერთმანეთს და, სავარაუდოდ, ახლაც დიდი კონკურენტები იქნებიან, მაგრამ ხალხს თვალი მაინც უფრო „სიტისკენ" გაურბოდა - საქმეში ისტლენდელთა ნახვა უფრო აინტერესებდათ, რადგან ამ გუნდს ფული აქვს და დაუნანებლადაც ხარჯავს. თამაშობს კი „სიტი" დახარჯული თანხის შესაფერის ფეხბურთს? - აი, კითხვა, რომელზე პასუხსაც ფანები პირველ ტურში ლონდონში ეძებდნენ და... ნახეს ჩასაფრებული გუნდი, რომელიც სამალავიდან შიგადაშიგ თუ გამოვარდება ხოლმე. სხვათა შორის, სტუმრები გადარჩნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. **ჯო ჰარტმა** დაადასტურა, რომ **ფაბიო კაპელომ** ინგლისის ნაკრების კარი ტყუილად არ ანდო - **ჯერმაინ დეფოს, ტომ ჰადლსტოუნს** და **ბენუა ასუ-ეკოტოს** ჩინებული ბურთები აუღო. შესვენების შემდეგ „ტოტენჰემის" ფეხბურთელთაგან ყველაზე სახიფათო მომენტი **გარეთ ბეილს** ჰქონდა, მანჩესტერელთაგან კი **შონ რაიტ-ფილიპსს**.

*„ჩემთვის ძალიან სასიამოვნო დღე იყო. ფეხბურთის თამაში მიყვარს და ახლა შემდეგ მატჩს დაველოდები მოუთმენლად"*, - თქვა ნამატჩევს ჰარტმა, რომელსაც მისი ირლანდიელი კონკურენტის **შეი გივენის** შესახებ ჰკითხეს. ჰარტმა მიუგო: *„შეი გივენი ჩვენი გუნდის მეკარეა და დარწმუნებული ვარ, თამაშის საშუალება მიეცემა. ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ დავეხმარებით. გივენი დიდებული მეკარეა".*



დიდიე დროგბა პირველივე ტურში ჰეთ-თრიკით გამოირჩია

აი, პრემიერლიგაში დაბრუნება კი ისეთი უნდა, „ბლექპულს" რომ ჰქონდა - საბრალო, უმწეო „უიგანს" მის სტადიონზევე მოუგო 4:0! **იან ჰოლოუეის** გუნდი ვიგაელთათვის მეტისმეტად კარგად ორგანიზებული და მოზადებული გამოდგა. გუნდმა, რომელიც ინგლისის უმაღლეს საფეხბურთო საფეხურზე 1971 წლის შემდეგ პირველად გამოჩნდა პირველსავე ტაიმში მოამთავრა საქმე. მეტოქეები შესვენებაზე რომ გადიოდნენ ანგარიში უკვე 3:0 იყო. მატჩის შემდეგ გახარებულმა ჰოლოუეიმ თავადაც არ იცოდა, რას ლაპარაკობდა: *„ახლა ბათში წავალ, ცოლშვილთან. თან ჩემს მეუღლეს ახალი ძაღლი შეუძენია... პატარა პუდელია, ტედი დაარქვეს. ორშაბათს ბლექპულში დავბრუნდები და ცოლ-შვილსაც გადმოვიყვან, თორემ ასე ცალ-ცალკე ცხოვრება არ გამოვა".*

„ასტონ ვილამ" „ვესტ ჰემს" 3:0 მოუგო. ეს დრამატული მატჩი გახლდათ. ერთი შეხედვით, ანგარიშიდან გამომდინარე, „ვილა პარკზე" დრამატული არაფერი უნდა მომხდარიყო, არა? მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ადგილობრივი გმირი **ჯეიმს მილნერი**

სადაცაა „მანჩესტერ სიტიში" გადავა, ადვილად მივხვდებით, რა ხდებოდა ტრიბუნებზე. ფანებმა მილნერს „ბუუ" უძახეს, ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა კი ყველაფერი ყირაზე დააყენა - ჯერ იყო და კინაღამ პენალტი მონადირა (ლონდონელმა **უინსტონ რიდმა** ის თითქოსდა წააქცია, მაგრამ მსაჯმა **მაიკ დინმა** არ დაუსტვინა), ბოლოს კი **ოლბრაიტონის** პასით მასპინძელთა მესამე გოლი შეაგდო.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირას „ასტონ ვილა" მოულოდნელად დატოვა მწვრთნელმა **მარტინ ო'ნილმა**, რომლის საქმესაც მისი ყოფილი ასისტენტი **კევინ მაკდონალდი** აგრძელებს და მის გასახარად გუნდმა შესანიშნავად ითამაშა. მასპინძლებმა უკვე პირველ ტაიმში გაიტანეს ორი გოლი. ეს **სტიუარტ დაუნინგმა** და **სტილიან პეტროვმა** შეძლეს. ინგლისური პრესა წერს, რომ ამ ორმა გოლმა, რომელსაც შემდომ მილნერისაც დაემატა, პირველსავე ტურში დაამტკიცა, რომ ო'ნილის გარეშეც შეიძლება ცხოვრება და წარმატების მიღწევა.

მაკდონალდი: *„მე ვნახე ჩვენი კლუბის მეპატრონე რენდი ლერნერი. ის გუნდის დღევანდელი თამაშით აშკარად კმაყოფილი. რაც შეეხება, ვრჩები თუ არა გუნდში მთავარ მწვრთნელად, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევი მგონია. ის, რომ „ვესტ ჰემს" 3:0 მოვუგეთ სულაც არ ნიშნავს, რომ მე ძალიან მაღალი დონის მწვრთნელი ვარ. ხვალ, შესაძლოა ვეღარ გავაკეთო ის, რასაც მომთხოვენ".*

„ჩაქუჩების" ახალმა თავკაცმა **ავრამ გრანტმა** კი აღიარა, რომ „ასტონ ვილამ" მის გუნდს ყველა ასპექტში აჯობა.

*„მართალია, პირველი გოლი აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანეს, თუმცა ამის გარეშეც ჩემი გუნდის თამაშითაც უკმაყოფილო ვარ და შედეგითაც".*

და კიდევ, დრამატული თამაში გაიმართა „სანდერლენდში", სადაც მასპინძლები „ბირმინგემს" 2:0-ს უგებდნენ, მაგრამ ბოლო 13 წუთში სტუმრებმა ანგარიშის გაქვითვა მოახერხეს. ამ შეხვედრაში „სანდერლენდს" თავის გამართლება იმით შეუძლია, რომ პირველი ნახევრის მიწურულს **ლი კეტერმოლი** გაუძევეს.

*„პირველი ყვითელი რატომ აჩვენა მსაჯმა ენტონი ტეილორმა კეტერმოლს, არავინ იცის"* - თქვა მასპინძელთა განაწყენებულმა მწვრთნელმა **სტივ ბრუსმა**.

„ლივერპულისა" და „არსენალის" შეხვედრა კი თან საინტერესო გამოდგა, თან მოვლენებით დახუნძლული და იმავდროულად მძიმეც. ეს იყო შეხვედრა, სადაც არბიტრმა **მარტინ ატკინსონმა** მოედნიდან ორი ფეხბურთელი გააძევა, ერთი მასპინძელი და მეორე სტუმარი. მასპინძელი ატკინსონმა ზედ პირველი ტაიმის დამთავრების წინ გააგდო, სტუმარი კი საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე. გაძევებული ლივერპულელი გახლდათ **ჯო კოული**, რომელმაც ყმაწვილი **ჯეკ უილშერის** წინააღმდეგ იუხეშა, არსენალელი კი **ლორან კოშელნი**. თუმცა, შეხვედრის ყველაზე თვალშისაცემი მომენტი 90-ე წუთზე იყო, როდესაც მერსისაიდელთა ესპანელმა მეკარემ **პეპე რეინამ**, რომელსაც მანამდე ცუდად არ უთამაშია, ძელიდან ასხლეტილი და დაჭერილი ბურთი რალაცნაირად საკუთარ კარში შეაგდო. მეკარის ასეთი შეცდომა ძალიან იშვიათი და უჩვეულო გახლავთ.

მასპინძლებმა კი ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნეს, როდესაც **ხავიერ მასკერანომ დავიდ ნგოგს** ბურთი საჯარიმოში მიაწოდა, ფრანგმა კი ოსტატურად დაარტყა. კაცმა რომ თქვას, ამ ეპიზოდში ჩრდილოლონდონელთა გოლკიპერს **მანუელ ალმუნიასაც** შეეძლო კარგად თამაში.

### მომდევნო ტური

21 აგვისტო. **არსენალი-ბლექპული, ბირმინგემი-ბლექბერნი, ევერტონი-ვულვზი, სტოკ სიტი-ტოტენჰემი, ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი, ვესტ ჰემი-ბოლტონი, უიგანი-ჩელსი.** 22 აგვისტო. **ნიუკასლი-ასტონ ვილა, ფულჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი.** 23 აგვისტო. **მანჩესტერ სიტი-ლივერპული.**

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი 0:0

**ტოტენჰემი:** გომეში, ჩორლუკა, დოუსონი, კინგი, ასუ-ეკოტო, ლენონი (77. დოს სანტოსი), ჰადლსტოუნი, მოდრიჩი, ბეილი, დეფო (68. პავლიჩენკო), კრაუჩი (68. კინი).

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი, რიჩარდსი, კოლო ტურე, კომპანი, კოლაროვი (46. საბალეტა), იაია ტურე, დე იონგი, ბერი, რაიტ-ფილიპსი (68. ჯონსონი), ტევესი (83. ადებაიორი), სილვა.

**გაფრთხილება:** 0-2; **კარში დარტყმა:** 20-14 (8-2); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 35 928

### ასტონ ვილა-ვესტ ჰემი 3:0

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, იანგი, დანი, კლარკი, უორნოკი, ოლბრაიტონი (89. ბენანი), პეტროვი, მილნერი (85. რიო-კოკერი), დაუნინგი, იანგი (87. უაიმანი), კარეუ

**ვესტ ჰემი:** გრინი, რიდი, ტომკინსი (73. დიამანტი), აპსონი, ილუნგა, ფაბერი, კოვაჩი (46. პიქვიონი), პარკერი, ბოა მორტე (46. ბარერა), ნობლი, კოული.

**გოლები:** 1:0 დაუნინგი (15), 2:0 პეტროვი (40), 3:0 მილნერი (66)

**გაფრთხილება:** 1-2; **კარში დარტყმა:** 28-14 (5-1); **ჯარიმა:** 16-16; **კუთხური:** 16-7; **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 36 604

### ბლექბერნი-ევერტონი 1:0

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, სამბა, ნილსენი, ჟივე, ე-ჰ. დიუფი, პედერსენი, დანი (9. ნზონზი), ოლსონი, ჯონსი, კალინიჩი (60. მ. დიუფი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჟაგიელკა, დისტენი, ბეინესი, ოსმანი (59. ბეკფორდი), არტეტა, კეჰილი, ფელანი (78. როდუელი), პიენაარი, საა (73. ბილიალეტდინოვი).

**გოლი:** 1:0 კალინიჩი (14)

**გაფრთხილება:** 2-1; **კარში დარტყმა:** 6-21 (1-4); **ჯარიმა:** 20-16; **კუთხური:** 1-3; **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 25 869

### ბოლტონი-ფულჰემი 0:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, ნაითი, კეჰილი, რობინსონი, ლი, ჰოლდენი, მუამბა (86. მ. დევისი), მ. პეტროვი (86. ტეილორი), კ. დევისი, ელმანდერი (90. კლასნიჩი).

**ფულჰემი:** სტოკდეილი, პენტსილი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კელი, ს. დევისი, ეტუჰუ, მერფი, დაფი, გერა (75. დემპსი), სამორა.

**გაფრთხილება:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11-15 (5-4); **ჯარიმა:** 11-14; **კუთხური:** 4-8; **თამაშგარე:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 47%-54%.

**მაყურებელი:** 20 352

### სანდერლენდი-ბირმინგემი 2:2

**სანდერლენდი:** მანიოლე, ონუოჰა, ბრამბლი, მენსა, რიჩარდსონი, მოლბრანკი (64. რივეროსი), კეტერმოლი, ჰენდერსონი, მუჰამადი (90. უეგჰორნი), კემპბელი, ბენტი (83. უილბეკი).

**ბირმინგემი:** ფოსტერი, კარი (65. გარდნერი), ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი, ფერგიუსონი, ბოიერი, ფეჰეი (46. მაკფადენი), ჯერომი, ო'კონორი (58. ჟიგიჩი).

**გოლები:** 1:0 ბენტი (24 პ), 2:0 კარი (56 ს.კ.), 2:1 დანი (77), 2:2 რიჯუელი (88)

**გაფრთხილება:** 2-3; **კარში დარტყმა:** 9-13 (2-6); **ჯარიმა:** 15-10; **კუთხური:** 3-6; **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**გაძევება:** კეტერმოლი (43. სანდერლენდი)

**მაყურებელი:** 38 390

### უიგანი-ბლექპული 0:4

**უიგანი:** კირკლენდი, ბოისი (46. სტამი), ალკარასი, გოჰური, ფიგეროა, მოზესი (72. მაკარტური), მაკარტი, დიამე (46. ტომასი), როდალეგა, უოტსონი, ბოსელი.

**ბლექპული:** გილკსი, ბეპტისტი, ივეტი, კეთკერტი, კრეინი, ადამი, ვუგანი, გრენდინი, ორმეროდი (59. სილვესტრი), ჰერევუდი (60. ბეშემი), ტეილორ-ფლეტჩერი (79. იუელი).

**გოლები:** 0:1 ტეილორ-ფლეტჩერი (16), 0:2 ჰერევუდი (38), 0:3 ჰერევუდი (43), 0:4 ბეპტისტი (75)

**გაფრთხილება:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-10 (5-6); **ჯარიმა:** 8-12; **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 16 152

### ვულვზი-სტოკი 2:1

**ვულვზი:** ჰანემანი, ფოული, კრედოკი, ბერა, უორდი, ჯერვისი, ჰენრი, დ. ჯონსი, ვან დამი (72. ელოკობი), ებანკს-ბლეიკი, ფლეტჩერი (49. კიოჰი, 89. ჰელფორდი).

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუტი, შოუკროსი, ფაიე, ჰიგინბოტემი, უაიტჰედი, დილაპი, უილანი (67. ტონგი), ეზერინგტონი, კ. ჯონსი (14. სიდიბე/51. თუნჯაი), ფულერი.

**გოლები:** 1:0 დ. ჯონსი (37), 2:0 ფლეტჩერი (39), 2:1 ფაიე (55)

**გაფრთხილება:** 0-2; **კარში დარტყმა:** 15-10 (4-4); **ჯარიმა:** 19-16; **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 0-3; **ბურთის ფლობა:** 64%-37%.

**მაყურებელი:** 27 850

### ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი 6:0

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა (60. ივანოვიჩი), ტერი, ალექსი, ე. კოული, ლემპარდი (65. ბენაიუნი), მიკელი, ესიენი, მალუდა, ანელკა, დროგბა (70. კალუ).

**ვესტ ბრომვიჩი:** კერსონი, ხარა, ტომასი, იბანიესი, მ. ჩეხი, მულუმბუ, ბრანტი, მორისონი, ტომასი (84. ბერნესი), დორანსი (67. კოქსი), ბედნარი (67. მილერი).

**გოლები:** 1:0 მალუდა (6), 2:0 დროგბა (45), 3:0 დროგბა (55), 4:0 ლემპარდი (63), 5:0 დროგბა (68), 6:0 მალუდა (90)

**გაფრთხილება:** 1-0; **კარში დარტყმა:** 19-11 (12-1); **ჯარიმა:** 12-10; **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 41 589

### ლივერპული-არსენალი 1:1

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, შკრტელი, კარაგერი, აგერი, ჯერარდი, მასკერანო (79. ლუკასი), კუიტი, იოვანოვიჩი (66. მაქსი როდრიგესი), ჯ. კოული, ნგოგი (74. ტორესი)

**არსენალი:** ალმუნია, სანია, ვერმაელენი, კოშელნი, კლიში, ებუე (59. უოლკოტი), დიაბი (76. ვან პერსი), უილშერი (60. როსიცკი), არშავინი, ნასრი, შამახი

**გოლები:** 1:0 ნგოგი (46), 1:1 რეინა (90-საკ. კარში)

**გაძევება:** ჯ. კოული (45. ლივერპული), კოშელნი (90. არსენალი)

**გაფრთხილება:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9-17 (4-3); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 9-11; **თამაშგარე:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 44 722

**მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი** დღეს

### ჩემპიონშიპი. II ტური

**ბარნსლი-კრისტალ პალასი** 1:0

გოლი: 1:0 მაკარტი (35-საკ. კარში)

**დერბი-კარდიფი** 1:2

გოლები: 0:1 ჩოპრა (15), 1:1 ცივკა (25), 2:1 ბარკი (78)

**დონკასტერი-ბრისტოლი** 1:1

გოლები: 0:1 სტიუარტი (49), 1:1 შარპი (90-პენ)

**იფსვიჩი-ბარნლი** 1:1

გოლები: 1:0 ნორისი (86), 1:1 კერლისლი (90)

**ლესტერი-მიდლსბრო** 0:0

**მილუოლი-ჰალი** 4:0

გოლები: 1:0 მორისონი (14), 2:0 ლისბი (29), 3:0 მორისონი (52), 4:0 ტროტერი (60)

**პორტსმუთი-რედინგი** 1:1

გოლები: 1:0 ჩიპტჩი (8), 1:1 კებე (87)

**სკანთორპი-ნორვიჩი** 0:1

გოლი: 0:1 ჰოლტი (90)

**შეფილდ იუნ-ქუინზ პარკი** 0:3

გოლები: 0:1 ეფრაიმი (11), 0:2 მეკი (20), 0:3 ტაარაბტი (23-პენ)

**სუონსი-პრესტონი** 4:0

გოლები: 1:0 დობი (23), 2:0 პრეტლი (40), 3:0 დაიერი (43), 4:0 კოტერილი (56-პენ)

**უოტფორდი-ქოვენთრი** 2:2

გოლები: 1:0 ბაკლი (45), 2:0 იუსტეისი (58), 2:1 ბელი (88), 2:2 იუცკევიჩი (90-პენ)

**ნოტინგემი-ლიდსი** 1:1

გოლები: 1:0 ბლექსტოკი (9), 1:1 სემი (36)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილუოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 2. ქუინზ პარკი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 3. იფსვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4. ქოვენთრი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 5. დონკასტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6. უოტფორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 7. კარდიფი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8. ბარნლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9. სუონსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 10. დერბი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 10. კრ. პალასი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 12. ნორვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 13. სკანთორპი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 14. ჰალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 15. ბარნსლი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| 16. ლესტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 17. რედინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 18. ლიდსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 19. ნოტინგემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 20. მიდლსბრო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 21. პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 22. ბრისტოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 23. შეფილდ იუნ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 24. პრესტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

ბომბარდირები: 2 - ისტვუდი (ქოვენთრი), გრემი (უოტფორდი).

### პირველი ლიგა

#### II ტური

ლეიტონი-ჩარლტონი 1:3, ბურნმუთი-პიტერბორო 5:1, ბრენტფორდი-უოლსოლი 1:2, ბრაიტონი-როჩდეილი 2:2, ბრისტოლი-იეოვილი 2:1, კოლჩესტერი-შეფილდ უენსდი 1:1, ჰარტლპული-სვინდონი 2:2, ჰადერსფილდი-ტრანმერი 0:0, ოლდჰემი-ნოტს ქაუნთი 3:0, პლიმუთი-კერლისლი 1:1.

### მეორე ლიგა

#### II ტური

ოლდერშოტი-საუთენდი 1:0, ბარნეტი-ბარტონი 0:0, ბრედფორდი-სტივენიჯი 1:0, ჩელტენჰემი-ქრუ 3:2, ჰერეფორდი-ჯილინგემი 0:0, ლინკოლნი-თორგუეი 0:2, მაკლსფილდი-შრუსბერი 0:1, მორკეიმბი-როტერჰემი 0:0, ნორთემპტონი-ეკრინგტონი 0:0, ოქსფორდი-ბერი 1:2, პორტ ვეილი-ჩესტერფილდი 1:1, სტოკპორტი-უაიკომბი 0:0.

### კონფერენსი

#### I ტური

ქროული-გრიმსბი 0:1, დარლინგტონი-ნიუპორტი 1:0, გეიტსჰედი-კეტერინგი 0:0, ჰეიესი-ბათი 2:1, ჰისტონი-ბეროუ 3:1, ლუტონი-ოლტრინჩემი 2:1, მენსფილდი-ფორესტ გრინი 3:1, რაშდენი-ფლიტვუდი 1:1, საუთპორტი-უიმბლდონი 0:1, ტემუორთი-ისტბერნი 4:2, ვრექსჰემი-კემბრიჯი 1:0, იორკი-კიდერმინსტერი 1:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

ატლეტიკო-მალიორკა 2:3
ლაციო-ლევანტე 3:1
ნუმანსია-სარაგოსა 0:2
სპორტინგი-სოსიედადი 1:0
ვალენსია-ოსასუნა 1:0

## იტალიის თასი

პორტოგრუარო-სუდტიროლი 2:1
კომო-ვარეზე 1:3
მოდენა-სორენტო 4:1
პიაჩენცა-ლანჩანო 5:3 დ.დ.
ატალანტა-ფოლინიო 3:1
ჩიტადელა-ვერონა 2:0
კროტონე-ტრიესტინა 1:0
ალბინოლეფე-პესკარა 3:1
ვიჩენცა-ბენევენტო 2:1
ემპოლი-რეჯინა 4:1
ლივორნო-კრემონეზე 1:0
ნოვარა-ტარანტო 3:1 დ.დ.
პადოვა-რავენა 1:0
სასუოლო-მონცა 3:1
ასკოლი-ლუმეცანე 3:1
ფროზინონე-გრაპანი 3:1
გროსეტო-გუბიო 5:0
რეჯიანა-ალესანდრია 1:0
ტორინო-კოზენცა 3:1 დ.დ.

## გერმანიის თასი

ალენი-ვერდერი 0:4
ბაბელსბერგი-შტუტგარტი 1:2
ბურგჰაუზენი-დორტმუნდი 0:3
ხემნიცი-სტ. პაული 1:0
ჰანზა-ჰოფენჰაიმი 0:4
ობერნოილანდი-ფრაიბურგი 0:1
პირმაზენსი-ლევერკუზენი 1:11
პფულენდორფი-ჰერტა 0:2
ფიურტი-მიუნხენი 1:2
ბრაუნშვაიგი-ფიურტი 1:2 დ.დ.
ელვერსბერგი-ჰანოვერი 0:0 პენ. 5:4
ავე-ბორუსია (მ) 1:3
ზანდჰაუზენი-აუგსბურგი 4:4 პენ. 1:3
კობლენცი-ფორტუნა 1:0
ესენი-ალემანია 1:2
ჰეხინგენი-კოტბუსი 1:2
ვიქტორია-ობერჰაუზენი 1:0
მოისელვიცი-კიოლნი 0:2
ბერლინი-მაინცი 1:2
ტრირი-ნიურნბერგი 0:2
ჰალეშერი-უნიონი 1:0
ოფენბახი-ბოხუმი 3:0
მუნსტერი-ვოლფსბურგი 1:2
ტორგელოვერი-ჰამბურგი 1:5
გერმანია-ბაიერნი დღეს
აალენი-შალკე დღეს

## ჰოლანდია

II ტური

აიაქსი-ვიტესი 4:2
ალკმაარი-გრონინგენი 1:1
პსვ ეინდჰოვენი-გრააფსხაპი 6:0
ვენლო-ჰერაკლესი 1:0
ტვენტე-ჰერენვენი 0:0
ექსელსიორი-ფეიენოორდი 3:2
დენ ჰააგი-როდა 1:3
უტრეხტი-ბრედა 3:1
ვილემი-ნაიმეგენი 3:5

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ ეინდჰოვენი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| 2. ნაიმეგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 3. აიაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-4 | 4 |
| 4. როდა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. ჰერაკლესი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 6. ფეიენოორდი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 7. ვიტესი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 8. უტრეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 9. ვენლო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10. ექსელსიორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 11. გრააფსხაპი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-6 | 3 |
| 12. გრონინგენი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13. ალკმაარი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 14. ტვენტე | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 15. ბრედა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 16. ჰერენვენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17. დენ ჰააგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 18. ვილემი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |

## ბელგია

III ტური

სტანდარდი-ლოკერენი 3:3
გენკი-ეუპენი 2:1
ანდერლეხტი-ბეერსხოტი 4:0
კორტრეიკი-სტ. ტრუიდენი 2:0
მეხელენი-ლიერსი 1:0
ვესტერლო-ვარეგემი 1:1
გენტი-შარლერუა 5:0
სერკლი-ბრიუგე 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| 2. მეხელენი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 3. ანდერლეხტი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 4. კორტრეიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 5. გენტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-5 | 6 |
| 6. სტანდარდი | 3 | 1 | 2 | 0 | 8-5 | 5 |
| 7. სერკლი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 8. ვესტერლო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 9. ბრიუგე | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 10. სტ. ტრუიდენი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 11. ვარეგემი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 12. ლოკერენი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-6 | 2 |
| 13. შარლერუა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-6 | 2 |
| 14. ბეერსხოტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| 15. ეუპენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| 16. ლიერსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

## ისლანდიის თასი

### ფინალი

ჰაფნარი-რეიკიავიკი 4:0

## პორტუგალია

I ტური

ბრაგა-პორტიმონენსე 3:1
მარიტიმუ-სეტუბალი 0:1
ნავალი-პორტუ 0:1
ფერეირა-სპორტინგი 1:0
რიუ ავე-ნასიონალი 0:1
ბეირა მარი-ლეირია 0:0
ბენფიკა-აკადემიკა 1:2
ოლჰანენსე-გიმარაეში დღეს

## პორტუგალია

### ლიგის თასი

ჟილ ვისენტე-ფეირენსე 2:1
მორეირენსე-ფატიმა 1:1
არუკა-პენაფიელი 1:0
ფრეამუნდე-ბელენენსეში 5:1
ვარზიმი-ოლივეირენსე 0:1
ესტორილი-სანტა კლარა 1:1
ავეში-ლეიქსოეში 0:2
კოვილია-ტროფენსე 2:0

## შოტლანდია

I ტური

ინვერნესი-სელტიკი 0:1
აბერდინი-ჰამილტონი 4:0
ჰარტსი-სტ. ჯონსტონი 1:1
რეინჯერსი-კილმარნოკი 2:1
სტ. მირენი-დანდი იუნ 1:1
მოზერველი-ჰიბერნიანი 2:3

### I დივიზიონი

II ტური

დანფერმლაინი-მორტონი 2:0; პარტიკი-დანდი 1:0; ქუინი-რეითი 1:3; როსი-ფალკირკი 0:1; სტირლინგი-კოუდენბითი 1:3.

### II დივიზიონი

II ტური

ეირდრი-ეირი 2:2; ალოა-ისტ ფაიფი 3:2; ბრეჩინი-სტენჰაუზმური 0:0; დამბარტონი-ლივინგსტონი 1:2; პიტერჰედი-ფორფარი 1:2.

### III დივიზიონი

II ტური

არბროა-ანანი 0:2; ბერუიკი-ელჯინი 6:2; ისტ სტირლინგი-მონროუზი 2:1; ქუინზ პარკი-კლაიდი 0:1; სტრანრარი-ალბიონი 3:2.

## დანია

V ტური

კოპენჰაგენი-ნორდშელანდი 2:0
სიონდერიისკი-ოდენსე 1:3
სილკებორგი-ჰორსენსი 1:2
რანდერსი-ლუნგბიუ 2:1
ბრონდბიუ-ესბერგი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-5 | 13 |
| 2. ბრონდბიუ | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 3. მიდტიულანდი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-1 | 9 |
| 4. რანდერსი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| 5. ოდენსე | 5 | 2 | 1 | 2 | 9-6 | 7 |
| 6. ლუნგბიუ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 7. ჰორსენსი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 8. ნორდშელანდი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-8 | 6 |
| 9. სონდერიისკი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-8 | 6 |
| 10. ოლბორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 11. სილკებორგი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 12. ესბერგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-12 | 1 |

### II დივიზიონი

II ტური

ნაესტვედი-კიოგე 1:2; სკივე-ჰობრო 4:2; აგფ ორჰუსი-ბრონსჰოი 3:1; აკადემისკი-ჰვიდოვრე 1:1; ფრედერისია-კიოლდინგი 2:0; ჰიორინგი-როსკილდე 2:1; ვიბორგი-ვესტსილანდი 1:2; ფინი-ვეილე 2:3.

## ფინეთი

XVIII ტური

იუვასკილა-კუოპიო 1:3
ჰიკ-ჰონკა 0:1
ინტერი-ტურკუ 1:2
მიუპა-ლაჰტი 1:1
ჰაკა-ტამპერე დღეს
ვაასა-იარო დღეს
მარიეჰამნი-ოულუ დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 18 | 11 | 4 | 3 | 31-11 | 37 |
| 2. ჰონკა | 18 | 10 | 4 | 4 | 29-18 | 34 |
| 3. კუოპიო | 18 | 10 | 3 | 5 | 33-25 | 33 |
| 4. ტურკუ | 18 | 7 | 6 | 5 | 24-20 | 27 |
| 5. ტამპერე | 17 | 7 | 4 | 6 | 26-29 | 25 |
| 6. იარო | 17 | 7 | 3 | 7 | 26-21 | 24 |
| 7. მიუპა | 18 | 5 | 8 | 5 | 25-25 | 23 |
| 8. ინტერი | 18 | 6 | 4 | 8 | 22-25 | 22 |
| 9. მარიეჰამნი | 17 | 5 | 6 | 6 | 28-26 | 21 |
| 10. ვაასა | 17 | 6 | 3 | 8 | 17-25 | 21 |
| 11. იუვასკილა | 18 | 6 | 2 | 10 | 20-24 | 20 |
| 12. ჰაკა | 17 | 5 | 4 | 8 | 20-30 | 19 |
| 13. ოულუ | 17 | 4 | 4 | 9 | 18-29 | 16 |
| 14. ლაჰტი | 18 | 2 | 9 | 7 | 15-26 | 15 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

ესპოო-იიპო 0:0; ჰამეენლინა-კლუბი 04 1:0; კპვ-როვანიემი 0:0; მიკელი-ტპვ ტამპერე 0:2; პოპა-კოტპე 1:2; კემი-პკ35 2:0; ვიიკინგიტი-ოპს დღეს.

## სლოვენია

V ტური

მარიბორი-ნაფტა 3:1
დომჟალე-ტრიგლავი 3:0
კოპერი-გორიცა 1:0
პუბლიკუმი-ოლიმპია 1:1
პრიმორიე-რუდარი 1:1

## ირლანდია

XXVI ტური

ბოჰემიანსი-გალვეი 0:2
ბრეი-სტ. პატსი 3:2
დროგედა-შემროკი 0:2
სპორტინგი-დანდალკი 1:0
სლაიგო-უნივერსიტი 4:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შემროკი | 25 | 13 | 9 | 3 | 34-18 | 48 |
| 2. სტ. პატსი | 25 | 13 | 6 | 6 | 40-18 | 45 |
| 3. სლაიგო | 26 | 11 | 9 | 6 | 43-24 | 42 |
| 4. სპორტინგი | 25 | 10 | 11 | 4 | 34-23 | 41 |
| 5. ბოჰემიანსი | 24 | 11 | 7 | 6 | 32-22 | 40 |
| 6. დანდალკი | 25 | 9 | 6 | 10 | 27-32 | 33 |
| 7. უნივერსიტი | 25 | 8 | 6 | 11 | 29-29 | 30 |
| 8. გალვეი | 26 | 7 | 8 | 11 | 25-33 | 29 |
| 9. დროგედა | 25 | 4 | 6 | 15 | 22-50 | 18 |
| 10. ბრეი | 24 | 3 | 4 | 17 | 18-55 | 13 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

დერი-კორკი 0:1; მერვუ-ლიმერიკი 0:1; უოტერფორდი-უექსფორდი 1:0; შელბურნი-მონეგანი 2:1; ლონგფორდი-ფინ ჰარპსი 1:0; სოლტჰილი-ეთლონი 1:1.

## ნორვეგია

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

ფრედრიკსტადი-სარპსბორგი 1:1
ბოდო გლიმტი-მიონდალენი 0:2
ნილი-ბრომსდალენი 1:0
სანდნესი-მოსი 1:2

## ნორვეგიის თასი

### 1/4 ფინალი

რანჰეიმი-სტრიომსგოდსეტი 1:2
როზენბორგი-სტარტი 4:3
ფოლო-სიოგნდალი 3:1
ოდ გრენლანდი-ვიკინგი 2:1

## შვედეთი

XIX ტური

ელფსბორგი-კალმარი 4:1
აიკ-გაის 1:0
მალმიო-გეფლე 2:0
გიოტებორგი-ჰელსინგბორგი 0:0
ატვიდაბერგი-ჰალმსტადი დღეს
მიალბიუ-ერებრო დღეს
ტრელებორგი-ჰაკენი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგი | 19 | 13 | 4 | 2 | 30-13 | 43 |
| 2. მალმიო | 19 | 13 | 3 | 3 | 36-18 | 42 |
| 3. ელფსბორგი | 19 | 9 | 6 | 4 | 38-24 | 33 |
| 4. ერებრუ | 18 | 10 | 2 | 6 | 25-20 | 32 |
| 5. მიალბიუ | 18 | 7 | 5 | 6 | 20-15 | 26 |
| 6. გიოტებორგი | 19 | 6 | 7 | 6 | 27-15 | 25 |
| 7. კალმარი | 19 | 6 | 7 | 6 | 23-27 | 25 |
| 8. გაის | 19 | 6 | 6 | 7 | 16-20 | 24 |
| 9. აიკ | 19 | 6 | 4 | 9 | 16-21 | 22 |
| 10. ბრომაპოიკარ | 18 | 6 | 4 | 8 | 15-20 | 22 |
| 11. ჰაკენი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-27 | 22 |
| 12. ტრელებორგი | 18 | 6 | 3 | 9 | 17-27 | 21 |
| 13. იურგორდენი | 18 | 5 | 5 | 8 | 18-24 | 20 |
| 14. ჰალმსტადი | 18 | 6 | 2 | 10 | 17-25 | 20 |
| 15. გეფლე | 19 | 5 | 4 | 10 | 19-26 | 19 |
| 16. ატვიდაბერგი | 18 | 3 | 4 | 11 | 16-31 | 13 |

### II დივიზიონი

XXI ტური

ვასბი-ტროლჰატანი 2:2; დეგერფორსი-სუნდსვალი 0:2; ოსტერსი-ბრაგე 0:1; ჰამარბიუ-ასირისკა 3:2; სირიანსკა-ფალკენბერგი 4:0; ლანდსკრონა-იორგრიტე დღეს.

## შვეიცარია

V ტური

ბაზელი-ლუცერნი 1:4
იანგ ბოიზი-ქსამაქსი 0:1
სიონი-თუნი 1:1
სტ. გალენი-გრასჰოპერსი 1:2
ციურიხი-ბელინცონა 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუცერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 15-7 | 10 |
| 2. თუნი | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 3. ბაზელი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-8 | 9 |
| 4. ციურიხი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-9 | 8 |
| 5. სიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 6. ბელინცონა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 7. იანგ ბოიზი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 8. გრასჰოპერსი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 9. ქსამაქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-12 | 4 |
| 10. სტ. გალენი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-14 | 3 |

### ჩელენჯლიგა

IV ტური

კრინსი-ლოკარნო 1:1; შაფჰაუზენი-ივერდონი 0:1; სტად ნიონე-ვილი 0:3; ვოლენი-ბილი 1:1; ვინტერტური-სერვეტი 3:1; ლოზანა-დელემონი 2:1; კიასო-არაუ 1:1; ვადუცი-ლუგანო დღეს.

## არგენტინა

II ტური

კოლონი-ბანფილდი 0:1
ბოკა ხუნიორსი-რასინგი 1:2
ლანუსი-ნიუელსი 1:1
ტიგრე-არსენალი 1:2
სან ლორენსო-გოდოი 2:2
უერაკანი-რივერ პლეიტი 0:1
ოლ ბოისი-ველეს სარსფილდი 1:2
ესტუდიანტესი-კილმესი გვ. დასრულდა
ოლიმპო-ხიმნასია გვ. დასრულდა
ინდეპენდიენტე-ა. ხუნიორ გვ. დასრულდა

## თურქეთი

I ტური

გაზიანთეპი-ქასიმფაშა 0:0
სივასი-გალათასარაი 2:1
ბუკა-ბეშიქთაში 0:1
ესქიშეჰირი-გენჩლერი 0:0
ანკარაგიუჯუ-ტრაბზონი 0:2
ქარაბუქი-მანისა 2:1
ფენერბაჰჩე-ანთალია 4:0
ბურსა-კონია დღეს
ბუიუქშეჰირი-კაისერი დღეს

## უელსი

I ტური

ტნს-პრესტატინი 5:2
ბანგორი-ნიუთი 2:1
ჰავერფორდვესტი-ნიუთაუნი 0:1
კარმარტენი-აბერისტვითი 2:3
ეირბასი-ლანელი 1:2
პორტ ტელბოტი-ბალა 2:0

## ბელარუსი

XXI ტური

პარტიზანი-მინსკი 1:4
ბატე-შახტიორი 2:0
ნაფტანი-ნემანი 4:1
დინამო (მნ)-დინამო (ბრ) 2:2
დნეპრი-ტორპედო 3:1
ვიტებსკი-ბელშინა 0:0

## ბოსნია

III ტური

ბუდუჩნოსტი-ჩელიკი 1:1
ზვიეზდა-ლეოტარი 1:0
რუდარი-დრინა 1:0
ტრავნიკი-ჟელეზნიჩარი 2:1
ბორაცი-ველეჟი 1:1
სარაევო-სლობოდა 3:0
ზრინსკი-სლავია 4:2
ოლიმპიკი-შიროკი ბრიეგი 1:0

## ბულგარეთი

III ტური

რაკოვსკი-ცსკა 2:2
ჩერნო მორე-აკადემიკი 1:0
მონტანა-მინიორი 3:1
სლივენი-ლოკომოტივი (პ) 0:1
ლიტექსი-პირინი 2:1
სლავია-ბეროე 1:2
ჩერნომორეცი-ლევსკი 2:1
ლოკომოტივი (ს)-კალიაკრა დღეს

## ხორვატია

IV ტური

დრაგოვოლიაცი-ისტრა 1:1
დინამო-კარლოვაცი 4:2
შიბენიკი-ზაგრები 0:1
ოსიეკი-ლოკომოტივა 0:0
რიეკა-ვარტექსი 1:1
ზადარი-ციბალია 0:0
სპლიტი-სლავენი 3:0
ინტერი-ჰაიდუკი 0:5

## ჩეხეთი

V ტური

პრშიბრამი-სპარტა 0:1
ბანიკი-სიგმა 1:2
იაბლონეცი-ბოჰემიანსი 3:1
ბუდეიოვიცე-ჰრადეცი 0:0
პლზენი-სლოვაცკო 3:0
სლავია-ლიბერეცი 1:3
ბრნო-ბოლესლავი დღეს
უსტი-ტეპლიცე დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-5 | 13 |
| 2. სიგმა | 5 | 3 | 2 | 0 | 11-4 | 11 |
| 3. სპარტა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-4 | 9 |
| 4. იაბლონეცი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 8 |
| 4. სპარტა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 8 |
| 6. ბოლესლავი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 7. ბუდეიოვიცე | 5 | 1 | 4 | 0 | 3-2 | 7 |
| 8. ლიბერეცი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| 9. სლოვაცკო | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 10. ბოჰემიანსი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 10. ბანიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 12. ჰრადეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 13. პრშიბრამი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 5 |
| 14. უსტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 15. ტეპლიცე | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |
| 16. ბრნო | 4 | 0 | 0 | 4 | 3-10 | 0 |

### II დივიზიონი

III ტური

იჰლავა-ზნოიმო 2:0; სპარტა II-კლადნო 2:1; ტრშინეცი-ვლაშიმი 0:0; მოსტი-პლუჩინი 3:0; ჟლინი-სეზიმოვო 2:0; ვიქტორია-სლოვანი 2:0; კარვინა-დუკლა 1:1; ჩასლავი-სოკოლოვი 3:0.

## ესტონეთი

XXV ტური

კურესაარე-ტრანს ნარვა 1:4
კალევი-ტულევიკი 5:2
კალიუ-ლევადია 1:5
ფლორა-ლოოტუსი 5:0
პაიდე-ტამეკა 3:4

## ეკვადორი

VI ტური

დეპ. კუენკა-ემელეკი 1:1
ელ ნასიონალი-ესპოლი 0:0
ინდეპენდიენტე-ოლმედო 1:1
მანტა-დეპ. კიტო 1:2
მაკარა-ლდუ კიტო 2:4
ბარსელონა-უ. კატოლიკა გვ. დასრულდა

## პოლონეთი

II ტური

კრაკოვია-შლიონსკი 2:3
პოლონია (ვ)-ლეგია 3:0
იაგელონია-ბელხატოვი 3:1
პოლონია (ბ)-ლეხია 1:1
ლეხი-არკა 0:0
ზაგლებე-გურნიკი 1:2
კორონა-ვიძევი 1:2
რუხი-ვისლა 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონია (ვ) | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. იაგელონია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. რუხი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 4. შლიონსკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ვიძევი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. ბელხატოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 7. გურნიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 8. ვისლა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 9. ლეხი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 9. ლეხია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 11. კორონა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 11. ზაგლებე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13. არკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14. პოლონია (ბ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 15. კრაკოვია | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 16. ლეგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

## რუსეთი

XVII ტური

ტომი-კრილია 1:1
ზენიტი-დინამო 1:1
სატურნი-როსტოვი 0:2
ნალჩიკი-სიბირი 4:2
ამკარი-ალანია 1:0
ცსკა-ანჟი 4:0
ტერეკი-რუბინი 1:1
ლოკომოტივი-სპარტაკი 2:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 16 | 12 | 4 | 0 | 26-7 | 40 |
| 2. ცსკა | 16 | 10 | 3 | 3 | 28-13 | 33 |
| 3. რუბინი | 17 | 9 | 6 | 2 | 18-7 | 33 |
| 4. ნალჩიკი | 17 | 9 | 4 | 4 | 25-18 | 31 |
| 5. როსტოვი | 17 | 9 | 1 | 7 | 19-22 | 28 |
| 6. ლოკომოტივი | 17 | 6 | 5 | 6 | 22-18 | 23 |
| 7. სპარტაკი | 16 | 6 | 5 | 5 | 23-20 | 23 |
| 8. ტომი | 17 | 6 | 4 | 7 | 22-25 | 22 |
| 9. ტერეკი | 17 | 5 | 6 | 6 | 16-15 | 21 |
| 10. სატურნი | 17 | 5 | 5 | 7 | 12-15 | 20 |
| 11. დინამო | 16 | 4 | 8 | 4 | 17-17 | 20 |
| 12. ანჟი | 17 | 5 | 4 | 8 | 17-21 | 19 |
| 13. ალანია | 17 | 5 | 3 | 9 | 16-25 | 18 |
| 14. ამკარი | 17 | 4 | 3 | 10 | 11-19 | 15 |
| 15. კრილია | 17 | 2 | 6 | 9 | 10-24 | 12 |
| 16. სიბირი | 17 | 2 | 3 | 12 | 23-39 | 9 |

## უკრაინა

VI ტური

ზორია-ილიჩოვეცი 2:2
ვორსკლა-დინამო 3:1
კრივბასი-ტავრია 1:4
დნეპრი-მეტალისტი 0:1
მეტალურგი (ზ)-ობოლონი 1:2
არსენალი-ვოლინი 1:1
შახტარი-კარპატი 1:0
სევასტოპოლი-მეტალურგი (დ) 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-2 | 16 |
| 2. დნეპრი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-2 | 15 |
| 3. ვორსკლა | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| 4. დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 5. მეტალისტი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 6. კარპატი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| 7. ტავრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-6 | 7 |
| 8. მეტალურგ (დ) | 6 | 2 | 1 | 3 | 6-7 | 7 |
| 8. არსენალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-7 | 7 |
| 10. ზორია | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 11. ილიჩოვეცი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-10 | 6 |
| 12. კრივბასი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-7 | 6 |
| 13. ობოლონი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-11 | 5 |
| 14. ვოლინი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-8 | 5 |
| 15. სევასტოპოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 1-9 | 5 |
| 16. მეტალურ (ზ) | 6 | 0 | 2 | 4 | 2-6 | 2 |

## უნგრეთი

III ტური

ვაშაში-დიორი 2:1
სოლნოკი-პაკში 3:1
მტკ-ვიდეოტონი 0:3
დებრეცენი-კეჩკემეტი 6:2
კაპოშვარი-ჰალადაში 1:0
შიოფოკი-უიპეშტი 1:1
ფერენცვაროში-ჰონვედი 1:3

## ლატვია

XV ტური

ბლაზმა-იელგავა 0:0
მეტალურგსი-სკონტო 1:2
დაუგავა-იურმალა 1:0
ტრანზიტსი-ოლიმპსი 2:2
იაუნიბა-ვენტსპილსი 0:5

## ლიტვა

XXI ტური

ბანგა-ჟალგირისი 1:1
კრუოია-ატლანტასი 1:1
კლაიპედა-შიაულიაი 0:2
მაჟეიკიაი-ტაურასი 1:3
ეკრანასი-სუდუვა 1:1

## სლოვაკეთი

V ტური

რუჟომბეროკი-ჟილინა 1:1
ბისტრიცა-მორავცე 0:0
შენიცა-კოშიცე 1:0
ნიტრა-სლოვანი 1:0
ტატრანი-დუბნიცა 1:1
ტრნავა-დ. სტრედა 1:1

## [illegible]

IV ტური

დაჩა-შერიფი 0:0
კოსტულენი-აკადემია 1:5
ოლიმპია-ცსკა 3:0
გაგაუზია-ვიიტორული 0:2
ისკრა-ზიმბრუ 2:1
ნისტრუ-დინამო 0:2
ტირასპოლი-სფინტული 1:0

## რუმინეთი

IV ტური

კლუჟი-ასტრა 2:2
გლორია-პანდური 3:0
უნირეა-უნივერსიტატეა (კლ) 0:1
ვასლუი-ბრაშოვი 2:1
გაზ მეთანი-სპორტული 3:0
დინამო-რაპიდი 3:2
უნივერსიტატეა (კრ)-ტიმიშოარა 1:1
ოცელული-ტარგუ დღეს
სტიაუა-ვიქტორია დღეს

## სერბეთი

I ტური

ბორაცი-იავორი 1:1
სპარტაკი-ბორჩა 1:1
ჰაიდუკი-სლობოდა 1:2
ოფკ-მეტალაცი 1:0
რადი-ჩუკარიჩკი 4:0
სარტიდი-ცრვენა ზვეზდა 0:0
ვოივოდინა-იაგოდინა 0:0
პარტიზანი-ინდია 2:1

## ბრაზილია

XIV ტური

ატ. გოიანიენსე-ბოტაფოგო 0:2
ატ. მინეირო-გუარანი 3:1
ფლამენგო-სეარა 1:0
პალმეირასი-ატ. პარანაენსე 2:0
ავაი-კორინთიანსი 3:2
ფლუმინენსე-ინტერნასიონალი 3:0
გრემიო პრუდენტე-ვასკო 1:2
სან პაულუ-კრუზეირო 2:2
გრემიო-გოიაში გვ. დასრულდა
ვიტორია-სანტოსი გვ. დასრულდა

## ჩილე

XX ტური

აუდაქსი-სან ფელიპე 1:0
უონდერერსი-კოლო კოლო 0:1
უნ. ესპანიოლა-პალესტინო 3:2
უნ. კონსეპსიონი-ო'ჰიგინსი 2:1
ნუბლენსე-უაჩიპატო 1:1
ს. მორნინგი-უნ. კატოლიკა 0:2
სან ლუისი-ლა სერენა 0:1
კობრესალი-კობრელოა 0:1
უნ. დე ჩილე-ევერტონი გვ. დასრულდა

## კოლუმბია

V ტური

სანტა ფე-ენვიგადო 1:0
კუკუტა-მილიონარიოსი 2:1
ატ. უილა-დეპ. პერეირა 3:2
ჩიკო-ლა ეკიდადი 0:0
დეპ. კინდიო-დეპ. კალი 0:0 შეწყდა
ინდეპენდიენტე-კორტულუა 2:1
ონსე კალდასი-ტოლიმა 1:3
ამ. კალი-რ. კარტახენ გვ. დასრულდა
ატ. ხუნიორ-ატ. ნასიონ გვ. დასრულდა

## პერუ

XXIX ტური

ალ. ლიმა-სესიანო 2:1
კოლეგიო-ხოსე გალვესი 1:1
მელგარი-უნ. პერუ 0:4
ლეონი-ალ. ატლეტიკო 3:1
ტოტალ ჩალაკო-სპ. კრისტალი 1:0
სპორტი-სესარ ვალეხო 1:0
სან მარტინი-სპორტ ბოისი 2:1
ხუან აურიჩი-ინტი გასი 1:0

## მექსიკა

IV ტური

ნეკაქსა-კერეტარო 1:1
კრუს აზული-პაჩუკა 4:1
მონტერეი-პუმასი 5:2
ს. ლაგუნა-ხაგუარესი 1:0
სან ლუისი-მორელია 1:0
პუებლა-ატლანტე 1:1
ტოლუკა-ტიგრესი 1:1
ამერიკა-ატლასი გვ. დასრულდა
გვადალახარა-ტეკოსი გვ. დასრულდა

## აშშ

XV ტური

ფილადელფია-კოლორადო 1:1
ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი 0:1
დი სი იუნაიტედი-დალასი 1:3
ნიუ ინგლენდი-ჰიუსტონი 1:0
სოლტ ლეიკი-კოლამბუსი 2:0
სან ხოსე-კანზასი 1:0
ჩივასი-სიეტლი 0:0

## იაპონია

XVIII ტური

კობე-შონანი 0:0
შიმიძუ-იოკოჰამა 1:2
კაშიმა-ტოკიო 1:1
ნაგოია-ურავა 3:1
ვეგალტა-გამბა 1:3
კიოტო-სერეზო 0:1
ომია-ჯუბილო ივატა 0:0
კავასაკი-ჰიროშიმა 2:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ჩარტერით პორტუგალიაში

« მე-3 გვერდიდან

- ჩვენმა გუნდმა მატჩი სტაბილურად ჩაატარა, დამსახურებულად გაიმარჯვა და საზოგადოებას დაანახვა, რომ პოლონეთთან მოგება შემთხვევითობა არ იყო. მატჩში თერთმეტმა კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა, რაც გუნდური თამაშის ნიშანია. ბულგარეთში მოგება კალათბურთელების ფსიქოლოგიაზე დადებითად იმოქმედებს.

**- ეს გამარჯვება სატურნირო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო.**

- წაგების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლის ისეთივე შანსი გვექნებოდა, როგორიც დანარჩენ სამ გუნდს. წარმატებამ კი სერიოზული უპირატესობა მოგვცა - დღევანდელი გადასახედიდან პირველ ადგილზე გასვლის სხვებზე მეტი შანსი გვაქვს, თუმცა წინ კიდევ 4 მატჩია და ნაკრებს ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება მართებს. მთავარია, ბიჭებს ენერგია ბოლომდე შერჩეთ.

**- პოლონეთთან კარსმომდგარ დაპირისპირებაზე რას იტყვით?**

- რთული ბრძოლა გველის. პოლონელებმა ბელგიას 20 ქულის სხვაობით აჯობეს და ჩვენი დამარცხებისთვისაც ყველაფერს ილონებენ. იმედი მაქვს, კალათბურთელები ბულგარეთთან მატჩის შემდეგ ძალების აღდგენას მოასწრებენ. ასევე ვიმედოვნებ, რომ ზაზა ფაჩულია ფეხს მოიშუშებს...

**- ზაზას მუხლი ისევ აწუხებს?**

- ბულგარეთთან მატჩამდეც სტკიოდა და სოფიაში ცოტა გაუმიზეზდა. ვფიქრობ, 17 აგვისტომდე ზაზა მწყობრში ჩადგება.

გუშინ, სალამოს საქართველოს ნაკრები სოფიიდან ვარშავაში გაფრინდა, პოლონეთის დედაქალაქიდან კი ლოძისკენ ავტობუსით გაეშურა.

ვაჟა სიმონიშვილი

U 16. B დივიზიონი. ტალინი. V-VIII ადგილები

# მეხუთე...

**14 აგვისტო**

**საქართველო-შვეიცარია 75:60**

20:16, 16:19, 15:15, 24:10

საქართველო: **გოლეთიანი (4 წთ), გოგბაიძე (25 წთ, 2ქ, 3ჩ), რამიშვილი (6 წთ, 2ქ), ბურჯანაძე (33 წთ, 15ქ, 12მ, 3ჩ), გრძელიძე (31 წთ, 6ქ, 3ჩ), ლოლიშვილი (28 წთ, 13ქ, 6მ), მიქელაძე (34 წთ, 18ქ, 6პ, 4მ), ცირეკიძე (11 წთ, 8ქ, 3მ), ნადირაძე (10 წთ, 2ქ), ფხაკაძე (17 წთ, 9ქ), ხეთაგური (1 წთ)**

შვეიცარია: **მაკალისტერი (10ქ, 5მ, 5ფ), ნდუმბა-კაპელა (27ქ, 24მ)...**

**15 აგვისტო**

**საქართველო-უნგრეთი 76:71**

22:22, 17:24, 14:10, 23:15

საქართველო: **გოგბაიძე (9 წთ), რამიშვილი (26 წთ, 5ქ, 4ჩ, 3პ), ბურჯანაძე (34 წთ, 29ქ, 14მ), გრძელიძე (21 წთ, 2ქ, 3ჩ), ლოლიშვილი (32 წთ, 11ქ, 5მ), მიქელაძე (34 წთ, 14ქ, 3პ), ცირეკიძე (23 წთ, 10ქ, 10მ), ნადირაძე (18 წთ, 5ქ, 4მ), ხეთაგური (3 წთ)**

უნგრეთი: **მოპეი (12ქ), მესტერაზი (11ქ), ნაგი (11ქ), ვარადი (14ქ, 8მ)...**

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ B დივიზიონში გამოსვლა უნგრეთთან მატჩით დაასრულა. **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა ბოლო მატჩიც მოიგეს და ტურნირი მეხუთე ადგილზე დაასრულეს.

ქართველებმა რვიდან შვიდი მატჩი მოიგეს და სულ ცოტა დააკლდათ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად. გადამწყვეტი ჰოლანდიასთან 14 ქულიანი წაგება აღმოჩნდა. თუმცა, მიქელაძე-ბურჯანაძე-ლოლიშვილის წინამძღოლობით 16-წლამდელებმა მეხუთე ადგილისთვის მატჩებშიც დაამტკიცეს, რომ მეორე ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

ევროპის ჩემპიონატზე თამაში კარგი იქნებოდა, თუმცა აგვისტოს მატჩებმა გაცილებით მნიშვნელოვანი რამ დაგვანახა - ქართულ კალათბურთს 1993-94-იანების ნიჭიერი თაობა ეზრდება.

ვაჟა სიმონიშვილი

ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშები

# ათვლა დაიწყო

სინგაპურში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშები. მთელი პლანეტის 204 ქვეყნის 3500-ზე მეტი ათლეტი ორი კვირის განმავლობაში იბრძოლებს მედლებისთვის. 14-18 წლის გოგონები და ვაჟები სპორტის 26 სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

საზეიმო გახსნის ცერემონიალში, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, 5 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის სინგაპურის 47 სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ. შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგმა** და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა. ახალგაზრდა სპორტსმენებს წარმატება უსურვა ლეგენდარულმა ამერიკელმა მოცურავე **მაიკლ ფელპსმა**, რომელმაც პეკინის ოლიმპიადაზე 8 ოქროს მედალი მოიპოვა.

ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების პატივი სინგაპურის წლის საუკეთესო სპორტსმენს, მეზღვაურ **დარენ ჩოის** ერგო.

თამაშების პირველი მედლები გუშინ გათამაშდა. ჩვენი სპორტსმენებიდან შეჯიბრებაში დღეს მოცურავე **გიორგი მთვრალაშვილი** ჩაებმება, ხვალ კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები - **ირაკლი მოსიძე** (63) და **გენო პეტრიაშვილი** (100) გავლენ ხალიჩაზე.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# საამიროების ორი ხელისუფალი

აბუ-დაბის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის ოსტატთა ტურნირში 12 ქვეყნის 26 წარმომადგენელი მონაწილეობს. მათ შორისაა თბილისელი დიდოსტატი **ზურაბ სტურუა**, რომელმაც განვლილ სამ ტურში ორი ქულა მოაგროვა: სტარტზე **აბდულა ფასალი** (საამიროები) დაამარცხა, შემდეგ კი სომხებს — **ავეტიკ გრიგორიანსა** და **ჰოვანეს გაბუზიანს** დაუზავდა. მე-3 ტურში, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: **აშოტ ანასტასიანი** (სომხეთი) - **ბასემ ამინი** (ეგვიპტე), **იასემ ალჰუმარი** (საამიროები)-**შარხან გულიევი** (აზერბაიჯანი), **შრინათ ნარაიანანი** (ინდოეთი)-**ავეტიკ გრიგორიანი, ალექსანდრ რაეტსკი** (რუსეთი)-**გადირ ჰუსეინოვი** (აზერბაიჯანი), ხოლო **მოჰამედ ტისირმა** (მაროკო) **ანტონ კორიბოვთან** (უკრაინა) წააგო, **ვადიმ მალახატკომ** (ბელგია) **ადელ ომირატის** (სირია) აჯობა.

სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ანასტასიანი და ამინი ლიდერობენ, 8 მოჭადრაკეს (სტურუასაც) 2-2 ქულა აქვთ. ქართველი დიდოსტატი მე-4 ტურში გულიევს შეხვდება.

ვაჟა დანელია

# ფინიშამდე ტურით ადრე

უნგრეთში დიორდ მარქსის მემორიალზე მოჭადრაკეებმა გასულ უქმეებზე კიდევ ორი ნაბიჯით წაიწიეს წინ და ფინიშს მიუახლოვდნენ. მე-8 ტურში **ნონა გაფრინდაშვილმა** თეთრებით უნგრელ **ილდიკო მადლს** სძლია და მე-3 ტურში მარცხისთვის რევანში აიღო. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ქალები. **სიდონია ვაიდა** (უნგრეთი)-**ტატიანა კონონენკო** (უკრაინა) 0:1, **ლილი ტოდი** (უნგრეთი)-**ლილით გალოიანი** (სომხეთი) 1:0. ვაჟები. **იან ტიმანი** (ჰოლანდია)-**ფერენც ბურკეში** (უნგრეთი) 0:1, **ვიქტორ ლაზნიჩკა** (ჩეხეთი)-**ზოლტან ალმაში** (უნგრეთი) 0,5:0.5, **რეი რობსონი** (აშშ)-**პეტერ აში** (უნგრეთი) 0:1.

მე-9 ტური. **ქალები.** ტოდი-გაფრინდაშვილი 0:1, გალოიანი-ვაიდა 0,5:0,5, კონონენკო-მადლი 0,5:0,5. **ვაჟები.** რობსონი-ტიმანი 1:0, აში-ლაზნიჩკა 0:1, ალმაზი-ბერკეში 0,5:0,5.

9 ტურის შემდეგ: კონონენკო, გაფრინდაშვილი — 6-6, მადლი — 5, გალოიანი, ვაიდა — 4-4, ტოდი — 2; ლაზნიჩკა — 7, ალმაში — 5,5, ბეკეში — 5, აში — 4, რობსონი — 3, ტიმანი - 2,5 ქულა.

ბოლო, მე-10 ტურში ითამაშებენ: გაფრინდაშვილი-კონონენკო, მადლი-გალოიანი, ვაიდა-ტოდი; ტიმანი-ალმაში, ბერკეში-აში, ლაზნიჩკა-რობსონი.

ვაჟა დანელია

# დღეს გაირკვევა...

პოლონურ ხოტოვა-გზარნაში 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობის მე-11 ტურში **სოფიკო გურამიშვილმა** შავი ფიგურებით პოლონელ **ანა ვარაკოვსკას** მოუგო და ლიდერებს მჭიდროდ მიუახლოვდა, მაგრამ გუშინ რუს **ოლგა გირიასთან** დამარცხდა და ბოლო ტურის წინ მედლის მოპოვების შანსი დაკარგა - ამერიკელი **ალისა მელიოხინას** მძლეველი ინდოელი **როუთ რადმინი** 1,5 ქულით უსწრებს ჩვენებურს, ხოლო ტურნირის რეიტინგ-ფავორიტს სლოვენიელ **ანა მუზიჩუკს** (გუშინ იგი პერუელ **ესტელა დეისი თელო გორის** დანებდა) და გირიას 2-2 ქულით ჩამორჩება.

ასპარეზობის ცხრილის ლამის ფსკერზე დაშვებულმა **ნანი უნაფქოშვილმა** გუშინ ერთქულიან კვიპროსელ **პეარ ვისი-ბრიანს** მოუგო და 4,5 ქულას მოუყარა თავი.

ვაჟებში **დავით ლომსაძემ** მე-11 ტურში სლოვაკ **მარტინ პატერკასთან** დათმო პარტია, გუშინ კი პოლონელი **იან ჟუჩკო** დაჯაბნა და 6 ქულა მოაგროვა. 9,5-9,5 ქულით რუსები - **დმიტრი ანდრეიკინი** და **სანან სიუგიროვი** მეწინავეობენ. მე-12 ტურში ანდრეიკინი თანამემამულე **მაქსიმ მატლაკოვს** დაუზავდა, სიუგიროვმა კი შვედი **ერიკ ბლომკვისტი** დაამარცხა. 8,5-8,5 ქულით **ლუდვიგ ჰამერი** (ნორვეგია) და **სალეხ სალემი** (საამიროები) მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ.

დღეს ბოლო ტურის პარტიები გათამაშდება.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# 6 ქულაც საქმეა

22 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (406) სტამბოლის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გასვლა იკმარა, იქ მე-2 ნომრად განთესილ ქართველს მე-3 ნომრად განთესილმა პორტუგალიელმა **მაგალი დი ლატრემ** (440) სძლია სამ სეტში - 6:4, 2:6, 6:1. საბოლოოდ თურქული ტურნირი მასპინძელმა **პემრა ოზგენმა** (488) მოიგო, რომელმაც ფინალში იყოჩალა. სოფიომ სტამბოლში 6 სარეიტინგო ქულა მოიპოვა და მე-4 ასეულში დაბრუნდება.

მომდევნო კვირა კიდევ უფრო უინტერესო იქნება ქართული ჩოგბურთის მოყვარულებისთვის - არც ერთი ქართველი ჩოგბურთელი ქალი არ ითამაშებს! ზოგი ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადისთვის ემზადება (ლიდერები), ზოგს კი 10-ათასიან ტურნირებში (ერთის გარდა ყველა ტურნირი ამ კვირაში ასეთია) თამაში არ ხიბლავს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

წყალხტომა

# სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გააკვირვეს



ირაკლი ბართაია და ჭოლა ჭანტურია

შარშან იტალიაში წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატზე **ჭოლა ჭანტურიამ** 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მე-18 ადგილი დაიკავა. ეს იყო მისი დებიუტი უფროსებში. ამ დღეებში კი მსგავს შეჯიბრებაზე მეორედ მოსინჯა ძალები. შეჯიბრებას ბუდაპეშტმა უმასპინძლა. მედლებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 31 წარმომადგენელი იბრძოდა. ქართველმა სპორტსმენმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 378,40 ქულა მოაგროვა და ფინალში მე-11 შედეგით შევიდა.

— უძლიერესთა პაექრობაში 4 ნახტომის შემდეგ მე-7 ადგილზე ვიყავი, — მითხრა ჭოლამ. — მაგრამ მე-5 ნახტომი ცუდად შევასრულე და 381 ქულით საბოლოოდ მე-9 ადგილი დავიკავე. მიმაჩნია, რომ ეს ჩემთვის წარმატებაა, რადგან დიდებში ასეთი შედეგისთვის ინდივიდუალურ შეჯიბრებაში არასდროს მიმიღწევია. 1997 წლიდან ვვარჯიშობ წყალხტომაში მამა-შვილ ალექსანდრე და ირაკლი ბართაიების ხელმძღვანელობით. 2005 წლამდე შემოდგომიდან ზაფხულამდე რვა თვის განმავლობაში ბატუტზე ხტომაში ვმეცადინეობდი ფორმის შესანარჩუნებლად. მას შემდეგ, რაც ვაკის ზამთრის საცურაო აუზი გაიხსნა, სავარჯიშო პირობები გაგვიუმჯობესდა. თუმცა უცხოეთში ტურნირებზე ადაპტაცია გვიჭირს, რადგან, იქ პაექრობები უმთავრესად ღია აუზში ეწყობა. კიდევ კარგი, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით ამ ევროპის ჩემპიონატზე რამდენიმე დღით ადრე გავემგზავრეთ და შოთა კორახაშვილთან ერთად იქ ექვსდღიანი შეკრებაც გავიარე, რაც ძალიან გამოგვადგა. ცუდია ისიც, რომ მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე იშვიათად გამოვდივართ და მსაჯებიც ნაკლებად გვიცნობენ. არადა, ამ ასპექტსაც დიდი ყურადღება ექცევა ტურნირებზე...

სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა 463 ქულით გერმანელმა **პატრიკ ჰაუზდინგმა** მოიგო, რომელმაც ბუდაპეშტში ორი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მეორეზე გავიდა რუსი **ილია ზახაროვი** (458). ბრინჯაოც მის თანამემამულე **ევგენი კუზნეცოვს** (455) ერგო. კორახაშვილი 23-ე ადგილით დაკმაყოფილდა. შოთამ სინქრონულ ხტომებშიც დაუშვა შეცდომა, რის გამოც ქართველთა დუეტმა მეათე ადგილი დაიკავა და ფინალში გასასვლელად ჰოლანდიელებს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა. ჩვენმა ბიჭებმა უნგრეთის დედაქალაქში 344 ქულა მოაგროვეს, არადა, ამ შეჯიბრებამდე ორი კვირით ადრე მსოფლიოს გრან-პრიზე მადრიდში 382 ქულას მოუყარეს თავი. ერთგვარი ცოდვა არბიტრებმაც დაიდეს კისერზე. არც არის გასაკვირი — წყალმხტომელთა მთავარი მსაჯი ხომ ნიდერლანდელი **ფრანს კონენბურგი** გახლდათ.

— ყველაფერს მსაჯობას ვერ დავაბრალებთ, — მითხრა საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ**. — კორახაშვილს მე-5 ხტომა ნორმალურად რომ შეესრულებინა, დამატებით 15 ქულას მაინც მივიღებდით, რაც ფინალში შესასვლელად საკმარისი იქნებოდა. ყოველივეს მიუხედავად, უკმაყოფილო მაინც არ ვარ. ბიჭებს წინსვლა ეტყობათ. ასპარეზობის შემდეგ იტალიური წყალხტომის ლეგენდამ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კლაუს დიბიასმა მკითხა, რა რესურსები გაქვთ საქართველოში, რომ თქვენმა ჭანტურიამ ჩვენს ტომაზო მაიკონისა და მიჩელე ბენედეტის (ისინი შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები არიან) რომ აჯობაო. რომ ავუხსენი, ერთი აუზი გვაქვს, ორი მწვრთნელი ვართ და სხვადასხვა ასაკში სულ 15 სპორტსმენი გვყავს-მეთქი, კაცმა გაოცებისგან კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. სამომავლოდ სათანადო დაფინანსება თუ გვექნება, ბევრ სხვასაც გავაკვირვებთ...

გაისად 17-31 ივლისს ქართველი წყალმხტომელები შანხაიში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ, სადაც ინდივიდუალურში 12 და სინქრონულში 4 ლიცენზია გათამაშდება, დანარჩენი საგზურები (22 - ინდივიდუალურში, 3 - სინქრონულში) 2012 წლის 20-26 თებერვალს ლონდონში მსოფლიოს თასზე განაწილდება. იმედია, ქართველი წყალმხტომელები საუკეთესოთა შორის მოხვდებიან.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

წყალბურთი

# პირველივე ცდა ფიასკოთი დამთავრდა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ შტუტგარტში 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობაზე ორი ტურის შეხვედრები გაიმართა და პირველი-მეთექვსმეტე ადგილებიც განაწილდა. სამწუხაროდ, ფინალურ ეტაპზე ჩვენი გუნდი ყველაზე სუსტი აღმოჩნდა — ექვსივე მატჩი დათმო და ბოლო ადგილით დაკმაყოფილდა. შაბათს ჩვენებურებს ჰოლანდიელებმა სძლიეს 6:4 (3:0, 2:2, 1:1, 0:1), გუშინ კი ბულგარელებთან დავმარცხდით 1:6 (1:0, 0:2, 0:4, 0:0). ასე რომ, დიდ სარბიელზე. ბულგარელებმა, რომლებსაც ბოლო შეხვედრამდე, ასევე, ყველა მატჩი წაგებული ჰქონდათ, ერთი საფეხურით გვაჯობეს. დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა.

| | |
|---|---|
| მე-13 ად. ჰოლანდია-სლოვენია | 18:6, |
| მე-11. გერმანია-რუსეთი | 15:9. |
| მე-9. სლოვაკეთი-თურქეთი | 8:6. |
| მე-7. ჩერნოგორია-ესპანეთი | 3:5 |
| მე-5. უნგრეთი-საფრანგეთი | 7:8 |
| მე-3. ხორვატია-სერბეთი | 8:6 |
| ფინალი. საბერძნეთი-იტალია | 12:13 |

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



მარცხნივ მამუკა გორგოძე

# უიღბლო დასაწყისი

ქართველ მორაგბეთა გუნდებისთვის საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი უიღბლოდ დაიწყო. ელიტური, პირველი დივიზიონის პირველ ტურში ჩვენებურთა ექვსივე გუნდმა წააგო.

ყველაზე დიდ ინტერესს ქვეყნის ჩემპიონის, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის" დაპირისპირება იწვევდა სტუმრად შარშანდელ ფინალისტ „პერპინიანთან". კატალონიელებმა ფინალში დამარცხებისთვის რევანში აიღეს, „ვულკანებს" 21:13 მოუგეს. მასპინძლებმა გამარჯვებას ფულბეკ **ჟერომ პორიკალისა** და მგეზავ **დავიდ მელეს** ფეხბურთელობის წყალობით მიაღწიეს. ფინალისაგან განსხვავებით პორიკალმა ყველა, ხუთივე საჯარიმო გაიტანა, რასაც მელემ ორი არეკნი მიუმატა. კლერმონელმა **ნაპოლეონ ნალაგამ** ერთი ლელო კი გაახერხა, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

ზირაქაშვილმა მატჩამდე, ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხის კუნთი დაიშავა და არ უთამაშია.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი", რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, მოულოდნელად შინ დამარცხდა ბასკურ „ბაიონთან" - 22:26. ტულონელები 69-ე წუთამდე მდევრის როლში იყვნენ და საჯარიმო ლელოს წყალობით დაწინაურდნენ - 19:16. „ფელიქს მაიოზე" შეკრებილი ტულონელი ქომაგის სამწუხაროდ ჩვენებურის გუნდმა ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო და სტარტზევე მარცხი იწვნია.

ტრავმის გამო არ უთამაშია ინგლისის ნაკრების მგეზავ **ჯონი ვილკინსონს.** მის პოზიციაზე იდგა არგენტინელი **ფელიპე კონტეპომი,** რომელმაც ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (17 ქულა). ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა პარიზულ „მეტრო რასინგთან" **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი" - 18:23. ჩვენებურთა გუნდი 25-ე წუთამდე 0:10-ს აგებდა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე 47-ე წუთზე შეამცირა - 9:10, თუმცა მეტის მიღწევა ვეღარ შეძლო და დამარცხდა.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს. კაკოვინი განაცხადში არ იყო, რაც, სულ მცირე, უცნაურია, რადგან მან „ბრივის" ყველა საკონტროლო მატჩში ითამაშა და ერთი ლელოც გაიტანა.

პირველი დივიზიონის დებიუტანტი **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი" სტუმრად დამარცხდა ფრანგული რაგბის ფლაგმან „ტულუზთან"- 24:44. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ აჟენელებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს, მეტოქეს სამი ლელოც გაუტანეს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს. „ტულუზის" მძლეველი საფრანგეთის ჩემპიონატში ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება.

შეყლაშვილი განაცხადში არ იყო, არადა, კაკოვინის მსგავსად, ისიც რეგულარულად თამაშობდა საკონტროლო შეხვედრებში.

„ყველაზე ქართული" ფრანგული კლუბი, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" სტუმრად დამარცხდა ბასკურ „ბიარიცთან" - 22:30.

მონპელიელებმა პირველი ტაიმი 3:21 წააგეს. მეორეში ოდნავ გამოცოცხლდნენ და 49-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა 7 ქულამდე შეამცირეს - 17:24, თუმცა ბასკების ქართული წარმოშობის ფრანგი ცხრა ნომრის, **დიმიტრი იაშვილის** ფეხბურთელობის წინააღმდეგ ვერას გახდნენ. იაშვილმა ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (20 ქულა).

გორგოძე და შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. „გულივერამ" სრულად ითამაშა და 57-ე წუთზე არბიტრმა მოედნიდან ათი წუთით გააძევა. შველიძე 51-ე წუთზე შეცვალეს. ჟღენტი თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო, ექვსი წუთის მერე მოედანზე ჩხაიძეც გამოჩნდა. ნარიაშვილი განაცხადში არ იყო.

**აქსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა" მოულოდნელად წააგო სტუმრად პირველი დივიზიონის დებიუტანტ „ლა როშელთან" - 17:22. მასპინძლები ანგარიშში მუდმივად წინ იყვნენ და კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს. მატჩის გმირი გახდა „ლა როშელის" ფულბეკი **სებასტიან ბობული,** რომელმაც ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაიტანა (12 ქულა).

ფეიქრიშვილმა ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრაში ფეხი იტკინა და არ უთამაშია. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

I ტური: **სტად ფრანსე-ბურგუენი 43:12, ტულუზი-აჟენი 44:24, ტულონი-ბაიონი 22:26, ბიარიცი-მონპელიე 33:22, ბრივი-მეტრო რასინგი 18:23, პერპინიანი-კლერმონი 21:13, ლა როშელი-კასტრი 22:17.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. სტად ფრანსე - 5 ქულა, 2. ტულუზი - 5, 3. ბიარიცი - 4, 4. პერპინიანი - 4, 5. ლა როშელი - 4, 6. მეტრო რასინგი - 4, 7. ბაიონი - 4, 8. ტულონი - 1, 9. ბრივი - 1, 10. კასტრი - 1, 11. კლერმონი - 0, 12. მონპელიე - 0, 13. აჟენი - 0, 14. ბურგუენი - 0.**

II ტური: **ბურგუენი-კლერმონი, ბრივი-პერპინიანი, სტად ფრანსე-ლა როშელი, მონპელიე-მეტრო რასინგი, ბაიონი-აჟენი, ბიარიცი-ტულონი, კასტრი-ტულუზი.**

ელიტური, მეორე დივიზიონის გათამაშება 27 აგვისტოს დაიწყება. მანამდე კი გუნდები საკონტროლო შეხვედრებს მართავენ. **გურამ კავთიძის** „ლიონმა" მეორე დივიზიონის „სენტ ეტიენს" უმასპინძლა და 38:13 დაამარცხა. ლიონელები, რომლებიც შარშანდელი ჩემპიონატის პლეი ოფის მონაწილეები არიან, წლეულსაც პირველი დივიზიონის საგზურისთვის აპირებენ ბრძოლას და სერიოზულად ემზადებიან. კავთიძეს საკონტროლო მატჩში არ უთამაშია.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" ფედერალ 1 დივიზიონში დაქვეითებული „ლანამეზანი" გაანადგურა 57:8. მაგრაქველიძემ ერთი ტაიმი ითამაშა. მირცხულავა განაცხადში არ იყო.

**ირაკლი მაჩხანელისა** და **ბესო უდესიანის** „მაკონი" სტუმრად დამარცხდა მეორედივიზიონელ „ოიონაქსთან" - 9:23. ჩვენებურთა გუნდი ფედერალ 2 დივიზიონიდან წლეულს გადავიდა ფედერალ 1 დივიზიონში და, სავარაუდოდ, აქ ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. მაჩხანელმა და უდესიანმა „ოიონაქსის" წინააღმდეგ თითო ტაიმი ითამაშეს.

**გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა" შინ უმძიმეს ბრძოლაში „ექსს" აჯობა - 15:13. „ალპელები", ისევე როგორც შარშან, წლეულსაც პირველ დივიზიონში ალზევებისთვის იბრძოლებენ.

**საკონტროლო შეხვედრები**

**ლიონი-სენტ ეტიენი 38:13, ოიონაქსი-მაკონი 23:9, ტარბი-ლანამეზანი 57:8, გრენობლი-ექსი 15:13, კოლომიე-ოში 18:11, ორიაკი-ალბი 28:28, პო-ნარბონი 45:32**

ქარის თასი

# ვესტერნ პროვანსი ისევ დაუმარცხებელია

„ქარის თასის" გათამაშების პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე სატურნირო ცხრილს სათავეში დაუმარცხებლად უდგას კეიპტაუნის „ვესტერნ პროვანსი". მას ფეხდაფეხ მიჰყვება დურბანის „ნატალ შარქსი", რომელიც ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება.

„დასავლელებს" მე-6 ტურში შინ უმძიმესი ბრძოლა გადახდათ „ქარის თასის" შარშანდელ გამარჯვებულ პრეტორიის „ბლუ ბულზთან". კეიპტაუნელებმა შეხვედრა მაქსიმალური მობილიზებით ჩაატარეს და შეცდომების მინიმალური რაოდენობის წყალობით მრისხანე მეტოქე 15:12 დაამარცხეს.

მასპინძლებმა „ბლუ ბულზზე" ერთით მეტი საჯარიმო გაიტანეს. „დასავლელთა" მგეზავმა **ვილემ დე ფაალმა** მეტოქის კარის ძელებს შორის ბურთი საჯარიმოდან ხუთჯერ გაატარა. იმავეს გაკეთება „ბლუ ბულზის" დამრტყმელმა **იაკო პოთხიტერმა** მხოლოდ ოთხჯერ შეძლო.

თამაში სანახაობრივად დიდი ვერაფერი გამოვიდა. გუნდები ზედმეტად ფრთხილობდნენ და ძირითადად ტაქტიკური მონახაზების ზედმიწევნით ზუსტად შესრულებით იყვნენ დაკავებული. შემოქმედება, იმპროვიზაცია არსად ჩანდა. ეს გასაგებიცაა, რადგან მატჩს ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

„ვესტერნ პროვანსმა" ამ გამარჯვებით ლიდერობა შეინარჩუნა. „ბლუ ბულზი" კი 17 ქულით მეოთხე ადგილამდე დაქვეითდა. მას სამი ქულით გაუსწრო „გრიკასმა", რომელსაც პრეტორიელები მომდევნო, პირველი წრის ბოლო, მეშვიდე ტურში შინ ეთამაშებიან.

„გრიკასმა" მე-6 ტურში შინ ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „პუმასი" დაამარცხა - 58:28. მაყურებელმა მშვენიერი რაგბი და უჩვეულოდ ბევრი, თერთმეტი ლელო იხილა. გრიკასელებმა მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს, აქედან ორ-ორი ცხრა ნომერ **სარელ პრეტორიუსისა** და ფულბეკ **რიან ვილჯოენის** ანგარიშზეა. ბრწყინვალედ გაისარჯა მგეზავი **პეტრუს იგნატიუს ულიფიე,** რომელმაც ექვსი საჯარიმო და ორი გარდასახვა მიითვალა (22 ქულა).

დურბანის „ნატალ შარქსმა", როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრად გაანადგურა აუტსაიდერი „ლეოპარდსი" - 51:6. დურბანელებმა მასპინძლებს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან ორი შუამარბმა **სტივენ ტერბლანჩმა** მიითვალა.

გარდასახვებსა და საჯარიმოებს თავიდან ახალგაზრდა მგეზავი **პატრიკ ლამბიე** ურტყამდა (3 გარდასახვა, ორი საჯარიმო), მაგრამ მერე რამდენიმე დარტყმა გაუცუდდა და ეს მისია ცხრა ნომერმა **რორი კოქოთმა** ითავა (ერთი გარდასახვა, ორი საჯარიმო). მის ანგარიშზე ერთი ლელოცაა.

„ნატალ შარქსს" უძნელესი გამოცდა მომდევნო ტურში ელის, როცა დურბანში გათამაშების ლიდერ „ვესტერნ პროვანსს" დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში „ზვიგენები" პირველ წრეს პირველ ადგილზე დაასრულებენ.

დრამატულად განვითარდა მოვლენები იოჰანესბურგში ადგილობრივი „ლაიონზისა" და ბლუმფონტეინის „ჩიტაზის" დაპირისპირებაში. მასპინძლებმა პირველი ტაიმი 13:9 მოიგეს. თუმცა მერე, შესვენების შემდეგ სტუმრები მძლავრად ამოქმედდნენ და 68- ე წუთისთვის ათი ქულით - 26:16 დაწინაურდნენ.

ეს ანგარიში 75-ე წუთამდე შენარჩუნდა. ამ დროს ლაიონზელთა მგეზავმა **ენტონ იანტისმა** იყოჩაღა და მასპინძელთა მრავალფაზიანი შეტევა მარჯვენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს ლელოთი დაასრულა. გარდასახვა ძალზე არახელსაყრელი პოზიციიდანაც თვითონვე გაიტანა - 23:26.

„ჩიტაზმა" თამაში მოედნის ცენტრიდან დაიწყო. „ლომებმა" ცენტრთან ახლოს რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს. მერე ჯვარედინი კომბინაცია გაითამაშეს, შუამარბმა **მაიკლ მურეიმ** მეტოქის ხაზი გაჭრა, ბურთი ფეხით სტუმართა ლელოსკენ გადაკიდა, თვითონვე მიჰყვა, მაგრამ ოვალური ბურთი ისე დაეცა და ახტა, რომ მურეიმ გვერდით ჩაურბინა. მასპინძელთა საბედნიეროდ, მურეის თანაგუნდელი, შეცვლაზე შესული ფულბეკი **ჯენი ბიშოფი** მიჰყვებოდა. ბურთი მისი ნადავლი გახდა, არეულობით ისარგებლა და გამარჯვების ლელოც გაიტანა. იანტისმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 30:26.

**VI ტური**

**გრიკასი-პუმასი 58:25, ლეოპარდსი-ნატალ შარქსი 6:51, ვესტერნ პროვანსი-ბლუ ბულზი 15:12, ლაიონზი-ჩიტაზი 30:26.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ვესტერნ პროვანსი - 27 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 26, 3. გრიკასი - 20, 4. ბლუ ბულზი - 17, 5. ჩიტაზი - 15, 6. ლაიონზი - 10, 7. პუმასი - 5, 8. ლეოპარდსი - 4**

VII ტური: **ბლუ ბულზი-გრიკასი, პუმასი-ლაიონზი, ჩიტაზი-ლეოპარდსი, ნატალ შარქსი-ვესტერნ პროვანსი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**



ვესტერნ პროვანსი-ბლუ ბულზი

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ამბები

### კალათბურთი

## მეჯიქს დეტროიტი უნდა

ლეგენდარული **მეჯიქ ჯონსონი** იმ ჯგუფთან შეერთებას აპირებს, რომელსაც NBA-ის კლუბის - „დეტროიტ პისტონზის" შეძენა აქვს ჩაფიქრებული. ამ მომენტისთვის, ასოციაციის ხუთგზის ჩემპიონს თავისი ყოფილი კლუბის - „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" აქციათა ხუთი პროცენტი ეკუთვნის.

ადრე 50 წლის მეჯიქ ჯონსონმა ვერ შეძლო „გოლდენ სტეიტ უორიორზის" შეძენა.

## ვეტერანმა თამაში დაასრულა

ვეტერანმა იტალიელმა ცენტრმა **სტეფანო რუსკონიმ** 24-წლიანი კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 41 წლის მოთამაშე იტალიური კალათბურთის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია, ვინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოსინჯა ძალები. კერძოდ, რუსკონიმ 1995-96 წლების სეზონში შვიდი მატჩი ჩაატარა „ფინიქს სანზის" შემადგენლობაში.

ამ ზაფხულს ვეტერანმა იტალიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ მოგვიანებით მიიჩნია, რომ სეზონის სტარტამდე უნდა დაასრულოს კარიერა.

## შევსება დიდების დარბაზში

**ჯონ ნეისმიტის** სახელობის დიდების დარბაზში ახალი წევრები მიიღეს. როგორც უკვე ვწერდით, ამ საპატიო კლუბში შეიყვანეს ამერიკის 1992 წლის ოლიმპიური ნაკრები - „დრიმ თიმი". ანალოგიური პატივი ხვდა წილად აშშ-ის 1960 წლის ოლიმპიურ გუნდს.

ამ გუნდების გარდა, დიდების დარბაზში რვა ახალი წევრი მოხვდა - NBA-ის ყოფილი ვარსკვლავები: **სკოტი პიპენი** და **კარლ მელოუნი**, ქალთა NBA-ის პირველი წარმომადგენელი **სინთია კუპერი**, სან ანტონიოს სკოლის გუნდის მწვრთნელი **ბობ ჰარტლი** და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მფლობელი **ჯერი ბასი**. სიკვდილის შემდეგ შეიყვანეს დიდების დარბაზში **დენის ჯონსონი**, **გას ჯონსონი** და ბრაზილიელი **მასიელ პერეირა**.

### ჩოგბურთი

## სტოსური ამერიკის ღიაზე ითამაშებს

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი **სამანტა სტოსური** ხელის ტრავმის მიუხედავად მზად არის ამერიკის ღია პირველობაზე სათამაშოდ. ამის შესახებ ჟურნალისტებს ავსტრალიელი ჩოგბურთელის მწვრთნელმა **დევიდ ტეილორმა** აცნობა.

როლან გაროსის ფინალისტმა ტრავმა სან დიეგოს ტურნირის მეოთხედფინალში მიიღო და ამ მიზეზით გამოტოვა ცინცინატის უმაღლესი კატეგორიის ტურნირი. ასევე არ ითამაშებს სამანტა ამ კვირას მონრეალში. ტეილორის თქმით, აღდგენითი პროცესი კარგად მიმდინარეობს და სტოსური ნიუ ჰეივენის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, რითაც აშშ-ის ღია პირველობის წინ სათამაშო პრაქტიკას აღიდგენს.

*„წელს მას ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, ასე რომ, ეს პაუზა აუცილებელი იყო, - ამბობს დევიდ ტეილორი. - სამანტა სეზონის ბოლომდე აღარ ითამაშებს წყვილებში, რადგან წელს ისედაც გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა".*

## ვენუსი მონრეალში არ იქნება

სტოსურის მსგავსად, მონრეალში არ ითამაშებს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი **ვენუს უილიამსი**. ამერიკელ ჩოგბურთელს კვლავ მარცხენა მუხლი აწუხებს და ამერიკის ღია პირველობამდე რისკზე წასვლა არ სურს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დაზიანების გამო, უფროსმა უილიამსმა გასულ კვირას ვერც ცინცინატის ტურნირზე ითამაშა.

*„მუხლში ძლიერ ტკივილებს ჯერ ვერაფერი მოვუხერხე"*, - გვამცნობს ვენუსის კომენტარს სააგენტო AP.

## როდიკმა წარუმატებლობების მიზეზი იპოვა

ამერიკელმა **ენდი როდიკმა** განაცხადა, რომ მისი ბოლოდროინდელი სათამაშო პრობლემები ვირუსული ინფექციის - მონონუკლეოზის ბრალია. სწორედ ამ დაავადების გამო ვერ შეძლო როდიკმა ლოს ანჯელესისა და ვაშინგტონის ტურნირებზე თავის გამოჩენა და ATP-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულის მიღმა აღმოჩნდა.

*„ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მონონუკლეოზის იოლი ფორმა მქონდა. ექიმები მეუბნებიან, რომ თითქმის მთლიანად გამოვჯანმრთელდი. ახლა შემიძლია აღარ ვინერვიულო იმის გამო, რომ ვერ ვახერხებ ფორმის აღდგენას"*, - ამბობს ენდი როდიკი.

### ველოსპორტი

## ვინო ერთი წლით დარჩა

გამოცდილმა ყაზახმა ველომრბოლმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა** ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი ველოჯგუფ „ასტანასთან", არადა, ვეტერანი სპორტსმენი 2010 წლის სეზონის შემდეგ სერიოზულად ფიქრობდა აქტიური კარიერის დასრულებას.

ვინოკუროვი ყაზახურ ველოგუნდში 2009 წლის აგვისტოდან გამოდის, სადაც ის ორწლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ დაბრუნდა. წელს ყაზახმა დიდი როლი ითამაშა თანაგუნდელ **ალბერტო კონტადორის** ტურ დე ფრანსზე გამარჯვებაში.

### ფორმულა 1

## კორეაში გრან-პრი იქნება

კორეის საერთაშორისო ავტოდრომის მშენებლობა დათქმულ ვადებში დასრულდება - წერს საინფორმაციო სააგენტო Yonhap. წელს სამხრეთ კორეის გრან-პრის დებიუტი აქვს - ახალი ტრასა პილოტებს 24 ოქტომბერს უმასპინძლებს.

ავტოდრომი, რომელიც „სამეფო ავტორბოლების" მთავარი არქიტექტორის **ჰერმან ტილკეს** პროექტით არის შექმნილი, ოფიციალურად 5 სექტემბერს გაიხსნება. ასე რომ, არ გამართლდა ჭორები იმის თაობაზე, რომ აზიური მხარე ვერ მოასწრებდა ავტოდრომის მშენებლობის დასრულებას და კორეის გრან-პრი მომავალი წლისთვის გადაიდებოდა.

ახალ ავტოდრომზე პირველი ტურნირი „ფორმულა-BMW"-ის აზიური ჩემპიონატი იქნება, ამას მოჰყვება Porsche Carrera Cup და ბოლოს, ფორმულა 1-ის მიმდინარე ჩემპიონატის მე-17 ეტაპი.

## შუმახერი თავს იმართლებს

„მერსედეს გრან-პრის" პილოტი **მიხაელ შუმახერი** მიიჩნევს, რომ ამ სეზონში მისი გუნდის სუსტი შედეგები ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ პილოტებს მონაწილეობა არ მიუღიათ მანქანის შექმნაში. ლეგენდარულ გერმანელს იმედი აქვს, რომ მომავალი სეზონისთვის სიტუაცია შეიცვლება.

*„ახლა აქცენტი მომავალი წლის ბოლიდის შექმნაზე გვაქვს გადატანილი. ამ სეზონში არც მე და არც ჩემს პარტნიორ **ნიკო როსბერგს** მანქანის შექმნის პროცესში მონაწილეობა არ მიგვიღია. საქმისადმი ასეთი მიდგომა შეცდომად მიმაჩნია, რადგან ბოლიდი კონკრეტულ პილოტს უნდა ერგებოდეს. გარდა ამისა, გარკვეულ პრობლემებს საბურავებიც ქმნის. თუმცა გავიმეორებ, რომ წლევანდელი მანქანა შორს არის იდეალურისგან და საბურავები აქ არაფერ შუაშია"*, - ამბობს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი.

## მძლეოსნობა

# გაი სეზონის ლიდერი გახდა




დიქსი (მარცხნივ) გაის ვერ დაეწია

ლონდონური წვიმის, ქარისა და დაბალი ტემპერატურის მიუხედავად, ამერიკელმა **ტაისონ გაიმ** „ბრილიანტის ლიგის" მორიგ ეტაპზე, 100 მეტრ დისტანციაზე სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა - 9,78 წამი.

„ბრილიანტის ლიგის" ლონდონური ეტაპი უნიკალურია. ჯერ ერთი, ეს არის ამ კომერციული სერიის ერთადერთი ორდღიანი სტარტი, გარდა ამისა, ის უახლოესი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში ტარდება. ლონდონი მძლეოსნებს საფირმო წვიმიანი და ცივი ამინდით შეხვდა. საბედნიეროდ, წვიმამ მალე გადაიღო და ტურნირის დიდი ნაწილი მშრალ ამინდში გაიმართა. ამან მორბენლებს მაღალი შედეგების ჩვენების საშუალება მისცა, ტექნიკური სახეობების წარმომადგენლებს კი წვიმამ მაინც შეუშალა ხელი.

რა თქმა უნდა, მთავარი მოვლენა, როგორც ყოველთვის, კაცების სპრინტი იყო. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ ამ ეტაპზე ყველა საუკეთესო სპრინტერი მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ, **უსაინ ბოლტმა** ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა სეზონი, მეორე იამაიკელმა **ასაფა პაუელმა** კი ასევე ტრავმა მოიმიზეზა და ზედიზედ მეორე ეტაპი გამოტოვა. ამის გამო გაი დისტანციაზე უკონკურენციოდ იყო, თუმცა ორგანიზატორებმა ინტრიგის შესაქმნელად ამ გარბენს გაისა და **უოლტერ დიქსის** დუელი უწოდეს. ამერიკელ დიქსს ტაისონი წელს 200 მეტრზე ჰყავს დამარცხებული, ცოტა ხნის წინ, 100 მეტრზე 9,88 წამი აჩვენა, მაგრამ ამჯერად საპრიზო სამეულში მოხვედრაც ვერ შეძლო. ლონდონში გაის ერთადერთი რეალური კონკურენტი გამოუჩნდა - იამაიკელმა **იოჰან ბლეიკმა** 9,89 წამი დააფიქსირა.

სველი ბილიკისა და მცირე შემხვედრი ქარის პირობებშიც კი, ტაისონ გაიმ სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა - 9,78! სამწუხარო ის არის, ფინიშის შემდეგ ამერიკელმა საზარდულზე მოიკიდა ხელი, რომელიც სეზონის პირველ ნახევარში აწუხებდა. შეიძლება ისე მოხდეს, რომ „ბრილიანტის ლიგის" ბოლო ეტაპებზე გაიც ველარ ვიხილოთ სარბენ ბილიკზე.

გაი ერთადერთი არ ყოფილა, ვინც სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა. კანადელმა **პრისცილა ლოპეს-შლიპმა** ბარიერულ სპრინტში გამოიჩინა თავი. სტარტი უკეთ **სალი პირსონს** გამოუვიდა, მაგრამ „ბრილიანტის ლიგის" წინა ეტაპის სენსაციურმა გამარჯვებულმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო, კანადელმა კი დისტანცია 12,52 წამში დაფარა.

ეტაპის გმირი აღმოჩნდა ამერიკელი მორბენალი **ელისონ ფელიქსი**, ვინც ქალებს შორის 200 და 400-მეტრიანი დისტანციები მოიგო. სარბენ ბილიკზე არც სხვა დისციპლინებში მომხდარა სენსაციები. **უოლას სპირმონმა** 200 მეტრზე იმარჯვა, **ჯერემი უორინერმა** - ორჯერ გრძელ დისტანციაზე. 110 მეტრზე თარჯრბენში ისევ **დევიდ ოლივერმა** მოიგო, ოღონდ მეტად მოკრძალებული შედეგით - 13.06 წამი, რაც ამინდის ბრალი იყო. ერთადერთი მოულოდნელობა გახლდათ ქალებს შორის 100 მეტრზე ამერიკელი **კარმელიტა ჯეტერის** მარცხი - მას ნაკლებად ცნობილმა თანამემამულემ **მარშევეტ მიერსმა** მოუგო.

გადავიდეთ ტექნიკურ სახეობებზე, სადაც რამდენიმე ფავორიტს ხელი მოეცარა. პირველ რიგში, აღსანიშნავია კაცებს შორის ჭოკით ხტომა, სადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა **სტივენ ჰუკერმა** და ამ სეზონის ლიდერმა **რენო ლავინიემ** მოულოდნელად ვერ აიღეს პირველი სიმაღლე - 5,51 მეტრი. მათი ჩავარდნით ისარგებლა პოლონელმა **ლუკაშ მიხალსკიმ**, რომელმაც სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

გაუჭირდათ სიგრძეზე მხტომელებს. ფავორიტმა **დუაიტ ფილიპსმა** მხოლოდ მეოთხე ცდაზე გადალახა რვა მეტრი და 8,18 აჩვენა, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. მის გარდა რვა მეტრზე შორს არავინ გადამხტარა.

ნორვეგიელმა შუბის მტყორცნელმა **ანდრეას ტორკილდსენმა** სტოკჰოლმის ეტაპზე მარცხისთვის რევანში აიღო. შვედეთის დედაქალაქში მისმა მძლეველმა **ტერო პიტკამიაკიმ** მესამე ადგილი დაიკავა, ტორკილდსენს კი გერმანელ **დე ზორდოსთან** ჰქონდა დუელი და მესამე ცდაზე შუბის 87,38 მეტრზე ტყორცნით გამარჯვებაც მოიპოვა. ნორვეგიელს უკვე განაღდებული აქვს „ბრილიანტის ლიგაზე" გამარჯვება.

ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომაში ხორვატ **ბლანკა ვლასიჩს** კონკურენტი არ ჰყოლია. მისი მთავარი მეტოქეები მალე გამოეთიშნენ ბრძოლას და ვლასიჩს 1,98 მეტრი ეყო პირველობის მოსაპოვებლად. ამის შემდეგ მან 2,01 მეტრი აიღო, ბოლოს კი უშედეგოდ მიიტანა იერიში 2,04 მეტრზე.

19 აგვისტოს ციურიხში გაიმართება „ბრილიანტის ლიგის" პირველი ფინალური ეტაპი. სწორედ იქ გათამაშდება ბრილიანტების ნახევარი. პრიზების მეორე ნახევარს 27 აგვისტოს ბრიუსელში დაარიგებენ.

### კაცები

**100 მ.** 1. ტაისონ გაი (აშშ) - 9,78 (სეზონის საუკეთესო შედეგი); 2. იოჰან ბლეიკი (იამ) - 9,89... **200 მ.** 1. უოლას სპირმონი (აშშ) - 20,12... **400 მ.** 1. ჯერემი უორინერი (აშშ) - 44,67; **800 მ.** 1. აბუბაკერი კაკი (სუდ) - 1.44,38... **3000 მ.** 1. ბერნარდ ლაგატი (აშშ) - 7.40,36... **110 მ/თარჯრბენი.** 1. დევიდ ოლივერი (აშშ) - 13.06... **400 მ/თარჯრბენი.** 1. ბერშოუნ ჯექსონი (აშშ) - 48.12... **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. პოლ კიპსიელ კოეჩი (კენ) - 8.17,70.... **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ივან უხოვი (რუს) - 2,29... **სამხტომი.** 1. კრისტიან ოლსონი (შვედ) - 17,41... **სიგრძეზე ხტომა.** 1. დუიატ ფილიპსი (აშშ) - 8,18... **ჭოკით ხტომა.** 1. ლუკაშ მიხალსკი (პოლ) - 5,71... **ბადროს ტყორცნა.** 1. გერდ კანტერი (ესტ) - 67,82... **ბირთვის კვრა.** 1. რიზ ჰოფა (აშშ) - 21,44... **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 87,38...

### ქალები

**100 მ.** 1. მარშევეტ მიერსი (აშშ) - 11.01... **200 მ.** 1. ელისონ ფელიქსი (აშშ) - 22.37... **400 მ.** 1. ელისონ ფელიქსი (აშშ) - 50,79... **800 მ.** 1. მარია სავინოვა (რუს) - 1.58,64... **1500 მ.** 1. ნენსი ლაგატი (კენ) - 4.07,60... **5000 მ.** 1. ტირენუშ დიბაბა (ეთი) - 14.36,41... **100 მ/თარჯრბენი.** 1. პრისცილა ლოპეს-შლიპი (კან) - 12,52... **400 მ/თარჯრბენი.** 1. კალის სპენსერი (იამ) - 53,78... **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. მილჩა ჩეივა (კენ) - 9.22,49... **ჭოკით ხტომა.** 1. ფაბიანა მურერი (ბრა) - 4,46... **სამხტომი.** 1. იარელის სავინი (კუბ) - 14,86... **სიგრძეზე ხტომა.** 1. დარია კლიშინა (რუს) - 6,65... **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლაშიჩი (ხორ) - 2,01... **ბადროს ტყორცნა.** 1. იარელის ბაროისი (კუბ) - 65,62... **ბირთვის კვრა.** 1. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბლრ) - 20,27... **შუბის ტყორცნა.** 1. ბარბორა შპოტაკოვა (ჩეხ) - 63,50...

## ფორმულა 1

# ტრიატლონი ნიკომაც შეიყვარა

„მაკლარენის" პილოტ **ჯენსონ ბატონის** შემდეგ, ტრიატლონში ძალების მოსინჯვა სცადა „მერსედეს გრან-პრის" წევრმა **ნიკო როსბერგმა**. გერმანელმა ავსტრიის ქალაქ კიტცბუელში საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ოლიმპიური დისტანცია გაიარა - 1500 მეტრი გაცურა, 40 კილომეტრი ველოსიპედით დაფარა და 10 კილომეტრი ირბინა.

როსბერგს საკმაოდ წარმატებული დებიუტი გამოუვიდა - მთელი დისტანციის დასაფარად 2 საათი, 7 წუთი და 23 წამი დასჭირდა. შედარებისთვის, ერთი კვირის წინ, ლონდონის ტრიატლონში ჯენსონ ბატონის დრო იყო - 2 საათი, 14 წუთი და 14 წამი. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ მაშინ ბრიტანელს ანგინა სჭირდა და ამის გამო ვერ შეძლო შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

*„ადრე ტრიატლონში არასოდეს მიმიღია მონაწილეობა - ეს სულ ახალი გამოცდილებაა ჩემთვის. სპორტის ეს სახეობა ძალიან მომწონს. ჯერ კიდევ ბავშვობაში ველოსიპედის დიდი მოყვარული ვიყავი და ადრიატიკის ზღვაშიც ბევრს ვცურავდი. ამიტომაც, დიდი ხანია მინდოდა ამ სახეობაში დებიუტი.*

*თავიდან ცურვა გამიჭირდა, რადგან მონაწილეებს შორის გზას რთულად მივიკვლევდი და ერთი მომენტი წყლის ქვეშ აღმოვჩნდი, ამიტომაც სუნთქვის პრობლემები შემექმნა. სამაგიეროდ, ველორბოლამ და სირბილმა შესანიშნავად ჩაიარა. შეიძლება ითქვას, რომ ტრიატლონი ჩემი ახალი გატაცებაა"*, - ამბობს გერმანელი პილოტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




როსბერგი ტრიატლონის სტარტის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დრიმ თიმი-ჩინეთი: +47



დენი გრეინჯერი

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რუბენ მანიანუმ** დაასახელა იმ 12 კალათბურთელის გვარი, რომლებიც 28 აგვისტოდან თურქეთში პლანეტის პირველობაზე აილებენ სტარტს. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის დამრიგებელმა საბოლოო შემადგენლობა ნიუ იორკში, პუერტო რიკოსთან წაგებული (55:77) ამხანაგური მატჩის შემდეგ გამოაქვეყნა.

ბრაზილიელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება: **ცენტრები** - მურილუ ბეკერი („ფრანკა"), ნენე ილარიო („დენვერი", NBA), ტიაგო სპლიტერი („სან ანტონიო", NBA); **ფორვარდები** - მარკუშ ვიეირა („მონტეგრანარო", იტალია), ანდერსონ ვარეჟაო („კლივლენდი", NBA), გილერმე ჯოვანიონი („ვირტუსი", იტალია); **მცველები** - მარსილინიო მაშადო („ფლამენგო"), ლეანდრო ბარბოზა („ტორონტო", NBA), ნეზინიო („უნივერსუ"), ალექს გარსია („ბრაზილია"), მარსელინიო უერტასი („ბილბაო", ესპანეთი), პაულ ნეტუ („მინას ჟერაისი").

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბრაზილია ესპანეთში გაემგზავრა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას გააგრძელებს. 16 და 17 აგვისტოს ეს გუნდი ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს არგენტინასთან და ესპანეთთან, ხოლო 22-24 აგვისტოს ლიონში საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას (მეტოქეები იქნებიან - საფრანგეთი, ვირჯინიის კუნძულები და ავსტრალია).

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ბრაზილია B ჯგუფში ითამაშებს ხორვატიასთან, ირანთან, ტუნისთან, სლოვენიასთან და აშშ-სთან ერთად.

■ ■ ■

ჯერჯერობით საბოლოო შემადგენლობა არ დაუსახელებია მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტ ამერიკის ნაკრებს. **მაიკ კრჟიჟევსკის** გუნდმა შაბათს, ნიუ იორკში მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა - „დრიმ თიმის" მეტოქე ჩინეთის ნაკრები იყო, რომელიც NBA-ის ვარსკვლავი ცენტრის - **იაო მინის** გარეშე თამაშობდა.

ამერიკელებმა 47 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს - 98:51. მათ რიგებში ყველაზე შედეგიანი **დენი გრეინჯერი** იყო - 22 ქულა. შემდეგ მოდიან: **ერიკ გორდონი** (15), **კევინ დურანტი** (14) და **დერიკ როუზი** (12).

# 105 ქულა ერთ მატჩში



კორი ფიშერი

უნიკალური შედეგი დაფიქსირდა ნიუ იორკში ტრადიციულ ტურნირზე (Dyckman Park Basketball), რომელიც ღია მოედანზე მიმდინარეობს. გუნდ „ვილანოვას" წევრმა **კორი ფიშერმა** მეტოქეს 105 (!) ქულა ჩაუგდო. ამ ინფორმაციას „ნიუ იორკ დეილი ნიუსი" ავრცელებს.

*„პირველი სამი მეოთხედის შემდეგ ჩემს ანგარიშზე 71 ქულა იყო. ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ სროლა გავაგრძელე და რეკორდსაც მივაღწიე",* - განაცხადა უნიკალური შედეგის ავტორმა.

ფიშერმა გააუმჯობესა ასეთი ტიპის ტურნირების რეკორდი, რომელიც **ჯეიმს უილიამსს** ეკუთვნოდა - მან 1978 წელს 100 ქულა დააგროვა.

შეხვედრა „ვილანოვამ" 138:130 მოიგო. 22 წლის ფიშერმა 28 სამქულიანი ისროლა და აქედან 23 მოათავსა კალათში.

# კარმელო, ალბათ, წავა



კარმელო ენტონი

„დენვერ ნაგეტსის" ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** ჯერ ვერ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. შეგახსენებთ, რომ NBA-ის ვარსკვლავს „დენვერი" სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს, რომლის ღირებულებაც 65 მილიონი დოლარია.

*„მე ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. მოსაფიქრებლად საკმარისი დრო დამრჩა. ჩემი აზრით, „დენვერს" უკვე დავუმტკიცე ერთგულება - ამ კლუბს კარიერის შვიდი წელი შევწირე, მაგრამ ადრე თუ გვიან დგება დრო, როცა ისეთი ნაბიჯი უნდა გადადგა, რომელიც მნიშვნელოვანია შენთვის და შენი ოჯახისთვის.*

*ეს ჩემი გადაწყვეტილება იქნება და მასზე კლუბის ხელმძღვანელობა ან მწვრთნელები გავლენას ვერ მოახდენენ. ჩემს მომავალს საკუთარი შეხედულების მიხედვით განვსაზღვრავ",* - ამბობს ენტონი.

როგორც იცით, მომავალ ზაფხულში ეს კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება და „დენვერის" შეფობას ახლავე სურს გაარკვიოს კარმელოს გეგმები. ამ ეტაპზე ყველაზე რეალური ვარიანტია გაისად ენტონის „ნიუ იორკ ნიქსში" გადასვლა, რომელიც ამ ზაფხულს **ამარე სტაუდმაიერით** გაძლიერდა.

ამჟამად „ნაგეტსი" ახალ გენერალურ მენეჯერს ეძებს, თუმცა კარმელოს თქმით, ახალი ხელმძღვანელი გავლენას ვერ მოახდენს მის გადაწყვეტილებაზე.

კრივი

# რაჰმანი და ორი საჩემპიონო ბრძოლა

ჰასიმ რაჰმანი



გასულ უქმეებზე ოკეანის გაღმა რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა, მათ შორის ორი საჩემპიონო შეხვედრა იყო.

ტეხასის შტატში გათამაშდა მჩატე წონაში IBF-ის საჩემპიონო ქამარი, რომელიც 2009 წლის შემდეგ ვაკანტური გახლდათ. ჩემპიონობისთვის მექსიკელი **მიგელ ვასკესი** (26-3, 12 KO) და კორეელი **ჯი-ჰუნ კიმი** (21-6, 18 KO) იბრძოდნენ. სხვათა შორის, აზიელი მეტოქეზე ორი საფეხურით მაღლა იდგა IBF-ის რეიტინგში.

მიუხედავად ამისა, ბრძოლა მექსიკელის სრული უპირატესობით წარიმართა და მსაჯებმა ვასკესის გამარჯვება დააფიქსირეს: 119:109, 120:108, 118:110.

■ ■ ■

27 წლის კანადელმა **ჟაკ პასკალმა** (26-1, 16 KO) WBC-ის ტიტული შეინარჩუნა მეორე საშუალო წონაში. პასკალს მონრეალის რინგზე სერიოზული მეტოქე ჰყავდა - აქამდე დაუმარცხებელი **ჩედ დოუსონი** (29-1, 17 KO).

მთელი ბრძოლის განმავლობაში უპირატესობა ჩემპიონს ჰქონდა. მხოლოდ მეცხრე რაუნდში განახორციელა პირველი სერიოზული შეტევა დოუსონმა, რომელსაც ბრძოლის გადასარჩენად ნოკაუტი თუ უშველიდა. ამერიკელი ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ მე-11 რაუნდში მეტოქეები თავებით შეეჯახნენ ერთმანეთს, რის გამოც დოუსონს წარბი გაუსკდა და რეფერიმ ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცა. საბოლოოდ, პასკალმა ტიტული შეინარჩუნა და თან დოუსონს IBO-ის საჩემპიონო ქამარი ჩამოართვა. ბრძოლის შეწყვეტის მომენტში მსაჯების ჩანაწერები კანადელის უპირატესობაზე მიუთითებდა: 108:101, 106:103, 106:103.

სავარაუდოდ, პასკალის მომდევნო მეტოქე მეორე საშუალო წონაში IBF-ის ჩემპიონი **ლუჩან ბუტე** იქნება.

■ ■ ■

სუპერმძიმე წონის მოყვარულებსაც ელოდათ საინტერესო ბრძოლა. WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ჰასიმ რაჰმანი** (48-7-2, 39 KO) ისევ გავიდა რინგზე - ამჯერად მისი მეტოქე ვეტერანი **დეიმონ რიდი** (45-14, 32 KO) იყო.

რაჰმანის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. ყოფილი ჩემპიონი ექვსი რაუნდის განმავლობაში დომინირებდა და ბრძოლის ეკვატორზე ზუსტი დარტყმით მეტოქე ნოკაუტში გაგზავნა.

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აშშ-საფრანგეთი | 86:55 |
| პუერტო რიკო-ჩინეთი | 92:76 |
| ხორვატია-ლიტვა | 82:93 |
| გერმანია-თურქეთი | 68:54 |
| ესპანეთი-არგენტინა | 83:76 |
| რუსეთი-ახ. ზელანდია | 89:76 |
| სლოვენია-სერბეთი | 73:82 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ტორონტო** | |
| მიურეი-ფედერერი | 7:5, 7:5 |
| **WTA. ცინცინატი** | |
| კლაისტერსი-შარაპოვა | გვიან დასრ. |

TV პროგრამა

**16 აგვისტო. ორშაბათი**

**რუსთავი 2**

23:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი (LIVE).

**I არხი**

22:00 არენა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ტულუზა.
08:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ექსელსიორი-ფეიენოორდი.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-პსჟ.
12:00 ახალი ამბები.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ტულუზა.
14:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჰერენვეენი.
16:00 ახალი ამბები.
16:20 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ექსელსიორი-ფეიენოორდი.
19:10 საფეხბურთო პროგრამა.
19:40 ახალი ამბები.
20:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-პსჟ.
21:55 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
23:45 ახალი ამბები.
00:05 საფეხბურთო ღამე.
00:35 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
02:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ვალანსი-მარსელი.
04:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჰერენვეენი.

**EUROSPORT**

10:30 ველოსპორტი. რბოლა Cyclassics. ჰამბურგი. გერმანია.
11:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. კიმ კლაისტერსი-მარია შარაპოვა. ცინცინატი. აშშ.
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 117. აინზილდენი. შვეიცარია.
13:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
14:30 წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 10 მ. ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
15:30 ველოსპორტი. რბოლა Cyclassics. ჰამბურგი. გერმანია.
16:30 ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 117. აინზილდენი. შვეიცარია.
17:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
19:00 წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 10 მ. ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 117. აინზილდენი. შვეიცარია.
21:15 სათხილამურო რბოლა. ზაფხულის საჩვენებელი გამოსვლები. 15 კმ. ქალები. ნორვეგია.
22:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. მონრეალი. კანადა.
03:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

ამბები

**ცურვა**

**ევროპის ჩემპიონატი**

**კაცები**

**100 მ. თავისუფალი.** 1. ალან ბერნარი (საფ) - 48,49; 2. ევგენი ლაგუნოვი (რუს) - 48,52; 3. უილიამს მეინარი (საფ) - 48,56... **800 მ. თავისუფალი.** 1. სებასტიან რუო (საფ) - 7.48,28; 2. კრსტიან კუბუში (გერ) - 7.49,12; 3. სამუელ პიცეტი (იტა) - 7.49,94... **1500 მ. თავისუფალი.** 1. ლოტე ფრიისი (დან) - 15.59,13; 2. გრენ მერფი (ირლ) - 16.02,29; 3. ერიკა გარსია (ესპ) - 16.05,08... **50 მ. ბრასი.** 1. ფაბიო სკოცოლი (იტა) - 27,38; 2. დრაგოშ არაჩე (რუმ) - 27,47; 3. ლენარტ სტეკელენბურგი (ჰოლ) - 27,51... **100 მ. ბატერფლაი.** 1. ევგენი კოროტიშკინი (რუს) - 51,73; 2. იორი ვერლინდენი (ჰოლ) - 51,82; 3. კონრად ჩერნიკი (პოლ) - 52,16... **200 მ. გულაღმა.** 1. სტანისლავ დონეცი (რუს) - 1.57,18; 2. მარკუს როგანი (ავსტრია) - 1.57,31; 3. ბენჟამინ სტასიულისი (საფ) - 1.57,37... **4x200 მ. თავისუფალი.** 1. რუსეთი - 7.06,71; 2. გერმანია - 7.08,13; 3. საფრანგეთი - 7.09,70....

**ქალები**

**200 მ. თავისუფალი.** 1. ფედერიკა პელეგრინი (იტა) - 1.55,45; 2. სილკე ლიპოკი (გერ) - 1.56,98; 3. აგნეშ მუტინა (უნგ) - 1.57,12... **50 მ. გულაღმა.** 1. ალექსანდრა გერასიმენია (ბლრ) - — 27,64; 2. დანიელა სამულსკი (გერ) - 27,99; 3. მერსედეს პერისი (ესპ) - 28,01... **200 მ. ბრასი.** 1. ანასტასია ჩაუნი (რუს) - 2.23,50; 2. სარა ნორდენსტამი (ნორ) - 2.24,42; 3. რიკი პედერსენი (დან) - 2.24,99... **100 მ. ბატერფლაი.** 1. სარა სიოსტრიომი (შვედ) - 57,32; 2. ფრანჩესკა ჰელსოლი (ბრიტ) - 57,40; 3. ტერეზა ალშამარი (შვედ) - 57,80...

**ჰოკეი**

## ფორსბერგი მიდის

სახელგანთქმული შვედი ფორვარდი **პეტერ ფორსბერგი**, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელია ტრავმების გამო ერთი სრული სეზონი არ ჩაუტარებია, კარიერის დასრულებისკენ იხრება. მას მიაჩნია, რომ ქრონიკული ტრავმები არასოდეს მისცემს სრული ძალით თამაშის საშუალებას. 36 წლის ჰოკეისტმა თავისი ამჟამინდელი გუნდის „მოდოს" რიგებში საჩვენებელი მატჩი გამართა და განაცხადა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა არც ისე სახარბიელო აქვს.

*„ჯერჯერობით ყველაფერი ცუდად არის,* - ამბობს ფორსბერგი TSN-თან კომენტარისას. - *ნორმალურად სრიალსაც ვერ ვახერხებ. თუ მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეიცვლება, ჰოკეის თამაშს აღარ გავაგრძელებ".*

**ავტოსპორტი**

## ტრაგედია კალიფორნიაში

ტრაგედიით დასრულდა სამხრეთ კალიფორნიაში ჯიპებით საერთაშორისო რბოლა. ერთ-ერთი მონაწილე მაყურებლებში შევარდა და როგორც პოლიცია იტყობინება, ინციდენტმა რვა ადამიანი იმსხვერპლა. კიდევ 12-მა მძიმე დაზიანება მიიღო.

თვითმხილველთა თქმით, ერთ-ერთმა მანქანამ მართვა დაკარგა და პირდაპირ მაყურებელთა დიდი ჯგუფისკენ აიღო გეზი. ჯერჯერობით ინციდენტის სხვა დეტალები უცნობია. პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

*„ყვირილის ხმები მესმოდა - დაზარალებულები დახმარებას ითხოვდნენ. დავინახე ქალი, რომელსაც თავი ჰქონდა გატეხილი და სისხლის გუბეში იწვა. დანარჩენი ადამიანების სხეულის ნაწილები მანქანის ძირში ეყარა",* - განაცხადა ერთ-ერთმა ფოტოგრაფმა.

რბოლას, რომელიც ასეთი ტრაგიკული შედეგით დასრულდა, „კალიფორნია-200" ჰქვია. ის ლოს ანჯელესიდან 100 მილის მანძილზე, ლიუცერნის ველზე, დამშრალი ტბის ფსკერზე იმართება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# ᲣᲘᲚᲑᲚᲝ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ


ივანოვიჩს არ გაუმართლა

ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ დასასრული ჰქონდა ცინცინატის ტურნირზე სერბი **ანა ივანოვიჩის** გამოსვლას. დიდხნიანი პაუზის შემდეგ, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ნომერმა, როგორც იქნა, ხარისხიანი ჩოგბურთი აჩვენა და უმაღლესი კატეგორიის ტურნირის ნახევარფინალში გავიდა - ასეთი რამ კარგა ხანია არ მომხდარა. ანასთვის კარგი გამოცდა უნდა ყოფილიყო ბელგიელ **კიმ კრაისტერსთან** ნახევარფინალური შეხვედრა, მაგრამ საქმეში გაუთვალისწინებელი ფაქტორი ჩაერია.

თამაშის დაწყებიდან სულ რაღაც 10 წუთი იყო გასული, როცა ერთ-ერთი დარტყმის შესრულებისას ივანოვიჩმა კორტზე ცუდად დადგა ფეხი და კოჭლობით დაბრუნდა თავის სკამთან. სერბმა ექიმი გამოიძახა, რომელმაც ჩოგბურთელს მტკივან ტერფზე სპეციალური სახვევი დაადო. ივანოვიჩმა თამაშის გაგრძელება სცადა, მაგრამ პირველივე გათამაშების შემდეგ ბადისკენ წავიდა და ხელი ჩამოართვა მოწინააღმდეგეს. ასეთი დრამატული ფინალი ჰქონდა პირველ ნახევარფინალს.

გუშინ გაირკვა ივანოვიჩის პირველი სამედიცინო შემოწმების შედეგები. საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ანამ თავად გვიამბო Facebook-ის სოციალური ქსელის მეშვეობით: *„გუშინ ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო დღე იყო. თავიდან ტრავმა, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის ჩატარების საშუალება არ მომცა, შემდეგ სამედიცინო გამოკვლევის შედეგების ლოდინი. კარგი ამბავიც მაქვს - არაფერი მომიტეხია, მხოლოდ კუნთი დამეჭიმა.*

*ისევე როგორც თქვენ, მეც მოუთმენლად ველი კორტზე დაბრუნებას, მაგრამ ზუსტად არაფრის თქმა არ შემიძლია. დღეს ისევ წავალ ექიმთან და რამდენიმე დღეში უფრო მეტი მეცოდინება. ვცდილობ კარგი განწყობა შევინარჩუნო, მით უმეტეს, რომ ამ კვირას ძალიან კარგი ჩოგბურთი ვაჩვენე“.*

კლაისტერსის მეტოქე რუსულ დერბიში ირკვეოდა, რომელშიც **მარია შარაპოვა** და **ანასტასია პავლიუჩენკოვა** ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს ამ ჩოგბურთელების პირველი დაპირისპირება იყო პროფესიულ ტურში. პირველ სეტში 19 წლის პავლიუჩენკოვა თანაბრად ებრძოდა ტიტულოვან და გამოცდილ მეტოქეს - კარგად აწვდიდა (პირველი მოწოდების სიზუსტემ 80 პროცენტს მიაღწია) და იოლად იგებდა საკუთარ გეიმებს, მილებაზეც პერიოდულად წარმატებით თამაშობდა და ოთხი ბრეიკ-პოინტიც მიიღო, მაგრამ მათი რეალიზება ვერ შეძლო. მეცხრე გეიმში პავლიუჩენკოვას ხელი აუკანკალდა - ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომით გეიმი აჩუქა მეტოქეს, რომელმაც სეტზე ჩააწოდა და პარტია მოიგო - 6:4.

როცა მარიამ მეორე სეტში ბრეიკით წაიყვანა ანგარიში და თან მისმა მოწინააღმდეგემ კორტზე ექიმს უხმო, მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. მაგრამ სამედიცინო ტაიმ-აუტმა და ამის შემდეგ ცენტრალურ კორტზე შუქის წასვლით (!) გამოწვეულმა 15-წუთიანმა პაუზამ შარაპოვაზე ცუდად იმოქმედა. მან შეცდომებს უმატა და პავლიუჩენკოვამ ანგარიში გაათანაბრა. მერვე გეიმში შარაპოვამ ყველა გათამაშება საკუთარი შეცდომების გამო დათმო და მისმა მოწინაალმდეგემ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა - 6:3.

მაგრამ მესამე სეტისთვის ანასტასიას ძალა აღარ ეყო. თავი იჩინა წინა ეტაპებზე **შაარ პეერთან** და **იანინა ვიკმაიერთან** ორმა მარათონულმა მატჩმა. პავლიუჩენკოვას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ორი გეიმის განმავლობაში შვიდი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, მაგრამ მერვეზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და სწორედ აქ წააგო სეტი. 4:2-ის შემდეგ შარაპოვამ შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

■ ■ ■

ფინალისტები გამოვლინდნენ ტორონტოს მასტერსზეც. აქ ნახევარფინალში ATP-ის რეიტინგის პირველი ოთხი ნომერი გავიდა, ასე რომ, გუშინდელმა მატჩებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თავდაპირველად ურთიერთობა გაარკვიეს პირველმა და მეოთხე ჩოგნებმა - **რაფაელ ნადალმა** და **ენდი მიურეიმ**. შოტლანდიელი მისთვის არადამახასიათებელ აქტიურ ჩოგბურთს აჩვენებდა, რითაც ძალიან გააკვირვა თავისი მეტოქე. ამ ტაქტიკამ შედეგი მოიტანა - 6:3, 6:4 მიურეის სასარგებლოდ. თუმცა შეიძლება იმის თქმაც, რომ ორივე პარტიაში იყო მომენტები, როცა ყველაფერი შეიძლება პირიქით მომხდარიყო. ესპანელისთვის განსაკუთრებით დასანანი მეორე სეტში მარცხი იყო, როცა მან სტარტზე წაგებული ბრეიკი დაიბრუნა და ორი გეიმით წინ გასვლის ბრწყინვალე შანსი ვერ გამოიყენა. ამის გამო ბრიტანელმა ძალიან მალე დასაჯა ტურნირის უმთავრესი ფავორიტი.

მიურეის ფინალში **როჯერ ფედერერი** შეხვდება, რომელსაც ზედიზედ მეორე სამსეტიანი მატჩის ჩატარებამ მოუწია. სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** შეხვედრას დამატებითი ინტრიგაც ახლდა თან - ფაქტობრივად ეს იყო მატჩი რეიტინგის მეორე ადგილისთვის.

თავიდან ჯოკოვიჩს არაფერი გამოსდიოდა. პირველ სეტში მან 16 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ამასთან, აქტიური მოქმედებით მხოლოდ ორი ქულა აიღო. აქედან მოდის სეტის გამანადგურებელი ანგარიში - 6:1 შვეიცარიელის სასარგებლოდ. მეორე პარტია ახალი დაწყებული იყო, როცა ფედერერმა მორიგი ბრეიკი გააკეთა და 2:0 დაწინაურდა. და სწორედ აქ სერბმა თავისი საბრძოლო ხასიათი სრულად გამოავლინა. მან ანგარიში გაათანაბრა და წინ გავიდა, გადამწყვეტი კი მეშვიდე გეიმი გამოდგა, რომელიც 15 (!) წუთი გაგრძელდა. ორი ბრეიკ-პოინტის მიუხედავად, ჯოკოვიჩმა შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, რის შემდეგაც როჯერმა ჩააგდო საკუთარი გეიმი. ფედერერს შეეძლო პარტიის გადარჩენა, მაგრამ სერბმა მაინც ჩააწოდა სეტზე - 6:3.

გადამწყვეტ პარტიაში ისევ შვეიცარიელმა შეძლო წინ გასვლა - ჯოკოვიჩმა მას ბრეიკი აჩუქა, როცა ერთი გეიმის განმავლობაში ოთხი უნებლიე შეცდომა დაუშვა. 1:4-ზე ნოვაკმა ჩოგანი შეცვალა და მაშინვე გამოასწორა თამაში. ისევე როგორც მეორე სეტში, მან ამჯერადაც შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მე-11 გეიმში მეტოქის მოწოდებაზე სერბმა სამი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ეს ბრწყინვალე შანსი ვერ გამოიყენა. განაწყენებულმა „ჯოკერმა“ თავისი ბედნიერი ჩოგანი დაამსხვრია და ამის შემდეგ მატჩში მეხუთედ წააგო საკუთარი გეიმი - 5:7. ამ მოგებით ფედერერმა დაიბრუნა რეიტინგში მეორე პოზიცია.

### ATP
### Rogers Cup

ტორონტო (კანადა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 430 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 3:6, 6:3, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:2, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7) 6:3, 5:7, 7:6(5); **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:2, 6:2.

**1/2 ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:3, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 6:1, 3:6, 7:5.

### WTA
### Women's Open

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 4)**-ფლავია პენეტა (იტა, 11) 7:6(6), 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 10)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 16) 6:1, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 12) 7:5, 3:6, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:1, 6:3;

**1/2 ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 4)**-ანა ივანოვიჩი (სერ) 2:1 ივანოვიჩის უარი; **მარია შარაპოვა (რუს, 10)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:4, 3:6, 6:2.

ჟურნალი მამაკაცებისათვის!




# ᲗᲔᲗᲠᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვწერდით, ლონდონის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი უიმბლდონის კორტებზე ჩატარდება. თუმცა 2012 წლის ზაფხულის თამაშების დროს არ იმოქმედებს უიმბლდონის ტრადიციული წესი, რომლის მიხედვითაც ჩოგბურთელები ვალდებულნი არიან მხოლოდ თეთრი ფორმით გავიდნენ კორტზე. სხვათა შორის, ეს წესი მაშინაც არ იყო ძალაში, როცა 2008 წელს ბრიტანეთი დევისის თასზე ავსტრიის ნაკრებს მასპინძლობდა.


ოლიმპიადაზე თეთრი მოდაში არ იქნება

უიმბლდონის საჩოგბურთო არენის აღმასრულებელმა დირექტორმა **იან რიტჩიმ** განაცხადა, რომ ოლიმპიადა არ უნდა გახდეს უიმბლდონის გამეორება და უფრო მრავალფეროვანი აუდიტორია უნდა მიიზიდოს. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაზე საჩოგბურთო ტურნირი 28 ივლისს დაიწყება - „დიდი სლემის“ ტურნირის დასრულებიდან 20 დღის თავზე.

*„პეკინის ოლიმპიადაზე სპორტის ყველა სახეობაში სპორტსმენები ეროვნული ფერების ტანსაცმელში გამოდიოდნენ. კარგი იქნება, თუ ჩოგბურთშიც ასე მოხდება. ოლიმპიადა - უდიდესი სპორტული ღონისძიებაა მსოფლიოში, სადაც ყველას ეამაყება თავისი ქვეყნის ღირსების დაცვა. ასე რომ, ყველანი ეროვნული ფერებით უნდა გავიდნენ არენებზე, მათ შორის, საჩოგბურთო კორტებზეც“*, - ამბობს ბრიტანული ჩოგბურთის ლიდერი **ენდი მიურეი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**